# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 24 აპრილი 2001 №72 (1345) | ფასი 50 თეთრი


# ჩანწყობა მიეწყო

## საგანგებო კომიტეტს საქმე არ ელევა: ჯერ გორდა — სიონი ახლა მერანი — კოლხეთი

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

## 5 ტური

### I-VI ადგილები

22 აპრილი, კვირა

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| ტორპედო | 2 |
| ლოკომოტივი | 0 |
| მერანი | 2 |
| კოლხეთი | 4 |

სფფ-მ მატჩის შედეგი გააუქმა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 34 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 33 |
| დინამო | 5 | 1 | 4 | 0 | 7:6 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 26 |
| კოლხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 22 |
| მერანი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:4 | 18 |

### VII-XII ადგილები

21 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| ბათუმი | 2 |
| თსუ | 0 |
| სიონი | 1 |
| დილა | 0 |
| გორდა | 2 |
| იბერია | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბათუმი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:2 | 22 |
| გორდა | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 18 |
| სიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 18 |
| თსუ | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | 16 |
| დილა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 16 |
| იბერია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:16 | 3 |

„გორდა“ — „სიონის“ მონაწილეებს ჩაეთვალათ წაგება 0:3 და ჩამოაკლდათ 3-3 ქულა, „გორდას“ სწორედ გარიგებულ მატჩში (3:2) მოპოვებული


იხილეთ მესამე-მეოთხე-მეხუთე გვერდები




ელდარ კურტანიძე ეს-ესაა მეოთხედ გახდა ევროპის ჩემპიონი

# ელდარ კურტანიძის მეოთხე ოქრო

## ევროპული მედლების ქართული კომპლექტი

ბუდაპეშტში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა მედლების სრული კომპლექტი მოიპოვეს: ელდარ კურტანიძე (97კგ) ჩემპიონი გახდა, ალექსანდრე მოდებაძე (130კგ) — ვერცხლის პრიზიორი, ხოლო ოთარ თუშიშვილი (63კგ) — ბრინჯაოსი. ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორმა ელდარ კურტანიძემ მეოთხედ ირგუნა კონტინენტის ჩემპიონის ტიტული. მისი პირველი ევროპული ტრიუმფი 1996 წელს სწორედ ბუდაპეშტში შედგა.


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი


# საქართველო ისრაელი

## დღეს მზრამლები ჯერ ითამაშებენ, მერე ილოცებენ ქართველები კი ისევ ძველ საქმეებს არჩევენ


იხილეთ მეორე გვერდი





გურამ ციცქიშვილის ფოტო

ებრაელთა დანიელი მწვრთნელი
რიჭარდ მიოლერ-ნილსენი ქართული ხანჯლით



რევაზ ძოძუაშვილი





გუშინ რიქარდ მიოლერ-ნილსენმა ებრაელები „ეროვნულზე“ ავარჯიშა

# დღეს ებრაელები ჯერ ითამაშებენ, მერე ილოცებენ

## საქართველოს ნაკრებმა დროს გაუსწრო

*საქართველოს ნაკრების თავკაცებმა, რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა ჟურნალისტებს კიდევ ერთი „სიურპრიზი“ მოგვიმზადეს — ეროვნულ სტადიონზე ვარჯიში, რომელიც მწვრთნელებმა ექვს საათზე დანიშნეს, სამი საათით ადრე დაიწყეს და იქ მისულნი ებრაელების 45-წუთიანი ვარჯიშის ცქერასღა დავჯერდით. თუმც კი ისიც სათქმელია, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიგეს, ნაკრებმა ადრე ივარჯიშაო, მწვრთნელებს სთხოვეს, სტადიონზე მიბრუნდით და ჟურნალისტებს შეხვდითო. ისინიც დათანხმდნენ ფედერაციის ჩინოსანთა თხოვნას და ისრაელის ნაკრები ვარჯიშს რომ ამთავრებდა, სტადიონზე გამოჩნდნენ.*

**იქამდე** კი ებრაელებმა, როგორც ვთქვით, 45 წუთს ივარჯიშეს. ფეხბურთელები სულ თექვსმეტნი იყვნენ: იოსი აბუქსისი, ოფერ ტალქარი, ტალ ბანინი, ავი ნიმნი, ილან ტალი და ეიალ ბერკოვიჩი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ჩამოვიდნენ თბილისში და ებრაელთა დანიელი მწვრთნელი რიქარდ მიოლერ-ნილსენიც იძულებული გამხდარა, 16 ფეხბურთელი წამოეყვანა. 16 კი წამოიყვანა, მაგრამ დღეს, ალბათ, მატჩის განაცხადში 15 გვარს ჩამოწერს. საქმე ის გახლავთ, რომ ვარჯიშისას დაშავდა სტუმართა ძირითადი მეკარე, ჰაიფას მაკაბელი ნირ დავიდოვიჩი.

— ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. ამ საღამოს ექიმები დავიდოვიჩს უწამლებენ და არ არის გამორიცხული, მან ხვალ ითამაშოს — განაცხადა მიოლერ-ნილსენმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ისრაელის ნაკრები, ჩვენი ებრაელი კოლეგის თქმით, ქართველებთან თამაშისთვის თბილისში წამოსვლის წინ შეიკრიბა და ჩვენს „ეროვნულზე“ პირველად ივარჯიშა. ებრაელებს თურმე თავად უთხოვიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის, მატჩი სამ საათზე დავიწყოთო. დღეს ისრაელში ბოლოდროინდელ ომებში დაღუპულ ჯარისკაცებს მოიხსენიებენ, მათთვის 24 აპრილი წმინდა დღე ყოფილა და საღამოთი თამაში არ შეუძლიათ. ჩვენებიც დაყაბულდნენ მათ თხოვნას და მატჩის დაწყებაც სამ საათზე გადაწყვიტეს.

— ლიხტენშტაინთან მომავალ ოფიციალურ მატჩამდე საქართველოსთან თამაში წაგვადგება. ქართველებს კარგი გუნდი გყავთ. მახსოვს, შარშან აშქელონში რომ ფრედ ვითამაშეთ, ქართველმა ფეხბურთელებმა გვარიანი პრობლემები შეგვიქმნეს — თქვა მიოლერ-ნილსენმა და გააგრძელა — ახლა ისეთი დროა, ევროპის ქვეყნებში გაგანია ჩემპიონატებია და კლუბები ფეხბურთელებს ნაკრებში არ უშვებენ. ვიცი, რომ იგივე პრობლემა ქართველთა მწვრთნელებსაც აქვთ. ჯერ შემადგენლობას ვერ დაგისახელებთ, ვერც იმას ვიტყვი, შეიცვლება თუ არა ჩემი რჩეული ტაქტიკური სქემა 5-4-1. ევროპის 1992 წლის ჩემპიონ დანიის ნაკრების მსგავსად სათამაშოდ ისრაელის ეროვნულ გუნდს ბევრი აკლია. ელემენტარულად, საშუალება არ მაქვს სტაბილურად ვათამაშო 11 კაცი. ხან ვის შეექმნება პრობლემა, ხან ვის, თუმც კი ბიჭები ნელ-ნელა სწავლობენ იმას, რაც მე მსურს — გვითხრა ისრაელის ნაკრების ტიტულოვანმა დანიელმა მწვრთნელმა და თავის ქართველი კოლეგებისგან სახსოვრად ხარჯალი მიიღო.

მერე კი რევაზ ძოძუაშვილმა და დავით ყიფიანმა ილაპარაკეს, თუმც სადღეისო მატჩზე ბევრიც არაფერი უთქვამთ, უფრო, ძველი ამბები გაიხსენეს.

**რევაზ ძოძუაშვილი:**

— ჩვენ დაგეგმილი ასე გვქონდა: ლეგიონერები თუ მოასწრებდნენ სამ საათამდე ჩამოსვლას, მაშინ სამზე ვივარჯიშებდით, თუ არა და ექვს საათზე. ისე მოხდა, რომ ხიზანიშვილის გარდა ყველა ჩამოვიდა და ვარჯიშიც აღარ გადავდეთ, მით უმეტეს, მატჩიც სამ საათზე იწყება.

ბუნებრივია, ფეხბურთელები წაგების გამო, მით უმეტეს, როცა თავად არ თამაშობენ, გაღიზიანებულნი არიან. ჩვენ, მე და დავით ყიფიანი ჯამარაულს, იაშვილსა და ჯანაშიას არ ავყვებით. ისინი დაფიქრდებიან და იმედი მაქვს, მომავალში ჩამოვლენ.

იაშვილს ნაკრებში ერთობ ძლიერი კონკურენტი ჰყავს — შოთა არველაძე, რომელიც ჩვენ დღესდღეობით პირველად მიგვაჩნია. ესეც რომ არა, რამდენჯერ ჩავიფიქრეთ იაშვილს ვათამაშებთო, მან იმდენჯერ ფეხი იტკინა. ასე იყო უკრაინასთან ამხანაგური მატჩის წინ, ასე იყო „კიოლნთან“ შეხვედრამდე.

კობიაშვილი და შეყილაძე კი გამოვიძახეთ, მაგრამ მათი თბილისში ჩამოსვლა პრობლემა გახდა, თანაც, არც კლუბები იყვნენ მოწადინებულნი, ისინი გამოეშვათ.

პირობას გაძლევთ, ებრაელებთან აუცილებლად ითამაშებენ ქინქლაძე, შოთა და არჩილ არველაძეები და ქეცბაია. მეკარე ზოიძე ტრავმირებულია და მის ნაცვლად ალბათ ლომაიას დავაყენებთ. სიტყვამ მოიტანა და მოწამლულია მეორე ტორპედოელი თოდუა.

**დავით ყიფიანი:**

— რატომ მოუწონეთ ჯამარაულსა და იაშვილს გადაწყვეტილება? ასე არ შეიძლება. ჩვენი არა, ეს ერის უპატივცემულობაა. აგერ, რუმინელი განიას მაგალითი აიღეთ. იტალიელებთან მატჩისას ის მწვრთნელს რომ წაეჩხუბა, ნაკრებიდან იმ მატჩის შემდეგვე დაითხოვეს, მერე კი ფეხბურთელმა ბოდიში მოიხადა.

მე ერთხელაც ვიტყვი — შოთა არველაძე დღესდღეობით ყველაზე ძლიერი ქართველი ფორვარდია და შესაბამისად პასუხისმგებლობაც სხვებზე მეტი აქვს.

ახლა ვფიქრობ, რომ ნაკრების თეორიული მეცადინეობა ფირზე ჩავწეროთ და მერე თქვენ, ჟუნალისტებს გაჩვენოთ. დარწმუნდებით, ჩვენ ბიჭებს ყველაფერს კარგად ვუხსნით, სხვა საქმეა, ისინი რას როგორ აკეთებენ და დავალებას როგორ ასრულებენ.

შემადგენლობას დღეს ვერ დაგისახელებთ. ამაზე ამაღამ ვიფიქრებთ.

ასე დამთავრდა პრესკონფერენცია. ძოძუაშვილი და ყიფიანი მანქანაში ჩასხდნენ და ნაკრების სასტუმროსკენ გაეშურნენ. ჩვენ კი ვნახოთ, ხვალ რა გველის. ისევ იმედგაცრუება? თუმც ქომაგს ხელი უკვე ჩაქნეული აქვს, როგორც გვითხრეს, დღეის მატჩისთვის გუშინ შუადღემდე სულ 150 ცალი ბილეთი გაყიდულა.

**ძოგა ინასარიძე**

# ფერერს მოეფერნენ და... გაუშვეს





ლორენს სერა ფერერი კარლოს რექსაჩმა შეცვალა

## ბარსელონა რექსაჩს და ალესანკოს ჩააბარეს

**მოსახდენი** მოხდა. გუშინ სამ საათიანი დავა-კამათის შემდეგ კატალონიური „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა კლუბის დირექტორატთან შეთანხმებით გადაწყვეტილება მიიღო — გათავისუფლდეს „ბარსელონას“ მწვრთნელის თანამდებობიდან ლორენს სერა ფერერი.

„ოსასუნასთან“ მარცხი უკვე მეტისმეტი იყო, სეზონის დაწყების წინ მე დავნიშნე სერა ფერერი მწვრთნელად და მევე ვათავისუფლებ. თუმცა, გამოგიტყდებით, გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა — გაამხილა გასპარმა და იქვე „ბარსელონა“ სეზონის ბოლომდე ორ ცნობილ პიროვნებას ჩააბარა.

კარლოს რექსაჩი იოჰან კრუიფის ხანაში „ბარსაში“ თანაშემწედ მუშაობდა. კატალონიურ გრანდსაც სეზონს სწორედ რექსაჩი ჩაამთავრებინებს, დამხმარედ კი გასპარმა „დიდი ბარსელონელი“, კლუბის სიმბოლოდ ქცეული კაპიტანი ხოსე რამონ ალესანკო დაუნიშნა.

ფერერი? იგი თავის ძველ პოსტს — კლუბის ტექნიკურ დირექტორობას დაუბრუნდება. მართალია, არ დაეთანხმა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, მაგრამ...

აღდგომა და ხვალეო. რექსაჩმა ცხელ გულზე „ბარსას“ გულშემატკივარი ჟურნალისტების წინაშე დაამშვიდა: „ვეცდები სიახლე შევიტანო და გუნდს შელახული რეპუტაცია აღვუდგინო“.

**გიორგი გუგაძიძე**

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXX ტური

დუისბურგი 0:2 გლადბახი

### ინგლისი

II დივიზიონი

გადადებული მატჩი

ბორნმუთი 2:0 უიკომბი

III დივიზიონი

გადადებული მატჩი

როჩდეილი 3:1 ლინკოლნი

### პორტუგალია

XXIX ტური

ბელენენსეში 4:2 ფარენსე

### შოტლანდია

XXXIV ტური

სენტ მირენი 2:1 დანდი იუნ.

### იტალია

სერია B. XXXII ტური

ვენეცია 2:1 ტერნანა

საქართველოს უმაღლესი ლიგის 12 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 5 ტური

## I–VI ადგილები

# ჩაწყობა მიეწყო

# ფედერაციამ მეორე სპექტაკლი დახურა

თბილისი
21 აპრილი
16 საათი
სინათლე
1000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 2:4 კოლხეთი**

1:0, 2:0 გოდერძიშვილი (25, 28), 2:1, 2:2 შავგულიძე (35, 47), 2:3 მუმლაძე (62), 2:4 გვასალია (82)
**მერანი:** ნაქყეპია, ცქიფურიშვილი (მუხინი 34), ქინქარაული, გუჯაბიძე, კოშკაძე, დევიძე, კვეკვესკირი, შ. ხუჯაძე, ხუციშვილი (კრავეიშვილი 69), დ. გოდერძიშვილი (ქადაგიძე 52), მინაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე, ბაჯელიძე, ილურიძე, ბოლქვაძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, შალამბერიძე, ქუხთელია, კვირკველია, ჭანტურიძე, ლალანიძე (ცართაგავა 64), ტორჩინავა (შავგულიძე 29), ხუჭუა (ბაჩილავა 43), ქობულაძე, მუმლაძე, გვასალია
სათადარიგონი: ჩემია, აკობია
**გაფრთხილება:** ნაქყეპია (83), ბაჩილავა (89)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

**კობა ინასარიძე**

**საეჭვო** იყო ბევრი რამ. არ ნერვიულობდნენ მწვრთნელები, გოლის შემდეგ ისე რა გამოხატავდნენ სიხარულს ფეხბურთელები, ძალიან უხეშად ცდებოდნენ სრულიად უვნებელ სიტუაციაში, რასაც გოლები მოჰყვებოდა ხოლმე. უჩვეულო იყო სამი შეცვლა შესვენებამდე, უცნაური კი, ერთ-ერთი მასპინძელი ფეხბურთელი შუა თამაშისას ტრიბუნაზე მყოფ მეუღლეს რომ ელაპარაკებოდა...

ესეც ისეთი მატჩი იყო, რომლის აღწერაც არ ღირს. არ ღირს კალმისა და ქაღალდის ხარჯად, არ ღირს, მკითხველმა თვალები დაიღალოს..

## სფფ-ს საგანგებო კომიტეტის განცხადება

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო კომიტეტმა გადაწყვიტა არ დაამტკიცოს XII ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპის V ტურის მატჩის თბილისის „მერანი-91" — ფოთის „კოლხეთი-1913" შედეგი — 2:4, რადგან მატჩის მსვლელობისას არ იგრძნობოდა სპორტული სულისკვეთება ფეხბურთელთა მხრიდან და ადგილი ჰქონდა ფეარ-ფლეის პრინციპების დარღვევას. საგანგებო კომიტეტმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც დეტალურად გამოიძიებს ამ საკითხს და 3 მაისამდე წარუდგენს დასკვნას საგანგებო კომიტეტს.*



ზურაბ ქვაჩახიას და ფოთის „კოლხეთს" გატანილიც და გაშვებულიც წყალში ჩაეყარათ

ნუკრი ბარბაქაძის ფოტო

# ოთარ გაბელია: უჩემოდ გარიგება როგორ იქნებოდა?!

# თენგიზ ქოიავა: კოლხეთს და მერანს თამაშის ჩაწყობის საფუძველი არ ჰქონდათ



**მაშ ასე,** „გორდა" — „სიონის" სკანდალურ მატჩს კიდევ ერთი მიემატა, თუმც ჯერ ყოველივე ბურუსითაა მოცული და სწორედ საქმის ვითარებაში უკეთ გასარკვევად მივმართეთ „მერანის" მთავარ მწვრთნელ **ოთარ გაბელიას.**

— ასეთი ბინძური საქმისთვის ჩემთან მოსვლას ვერავინ გაბედავს და არც მე მიმიმართავს როდესმე ვინმესთვის. განა შესაძლებელია, ასეთი გარიგება გუნდის მთავარი მწვრთნელის გვერდის ავლით მოხერხდეს? მაგრამ თუ მაინც მოხდა და ამს დაამტკიცებენ, მაგას რა სჯობს, ოღონდ ყველაფერი დასაბუთებული უნდა იყოს.

— ვფიქრობ, რომ მოგონილია, ნაღდი თამაში იყო. ჩვენი მეკარე უბრალოდ აიჭრა და საიდანაც დაურტყეს, იქიდან გაუტანეს, ხოლო ფოთელმა ქვაჩახიამ 2:3-ზე ჩვენიანის ოთხი მეტრიდან დარტყმული ბურთი მოიგერია. ერთი სიტყვით, არა მგონია, რომ მატჩი ჩაწყობილი იყო. რატომ დაუდგინა სფფ-ის საგანგებო კომიტეტმა სპეციალურ კომისიას გამოსაძიებელ ვადად 3 მაისი? თუ ყველაფერი ნათელია, მაშინ ამდენით დახანება რაღა საჭიროა? რაშია საქმე?

— მაშინ ის როგორ მოხდა, რომ „ვიტ ჯორჯია" ქუთაისის „ტორპედოს" 3:0-ს უგებს, „ლოკომოტივთან" კი 0:2-ს აგებს? გამოდის, გუნდს თამაში ვერ მოუგია და ვერ წაუგია...

**დავით თავართქილაძე**



**გუშინ** ფოთის „კოლხეთის" მწვრთნელ სოსო ფილიასთან ვცადეთ დაკავშირება, მაგრამ ამაოდ. მერე „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტ **თენგიზ ქოიავას** შევეხმიანეთ, რომელმაც „მერანთან" საეჭვო მატჩის თაობაზე ეს გვითხრა:

— უპირველესად მაინტერესებს, თუ ასეთი ეჭვი გაუჩნდათ, ჩვენ რატომ არ დაგვიკავშირდნენ. თქვენგან გავიგეთ ყოველივე და მერე მატჩის კომისარ ბადრი ქარქაშაძეს თავად შევეხმიანეთ, მან კი, მე არაფერი დამიწერიაო. ვერ გამიგია, რა უნდათ, ჯერ იმაზე იეჭვიანეს, ქუთაისის „ტორპედოსთან" რომ წავაგეთ შინ, თითქოსდა მათ თამაში დავუთმეთ და ახლა „მერანთანაც" იგივეს ფიქრობენ.

მე ვუთხარი ქარქაშაძეს, თქვენი მოტივი ის არის, რომ „მერანი" 2:0 იგებდა და 2:4 როგორ წააგო? მაშინ, „ვიტ ჯორჯიაც" უგებდა „დინამოს" 2:0, მაგრამ რა, ის თამაშიც ჩაწყობილი იყო? ან თუნდაც, თუ ჩვენი შეხვედრა ჩაწყობილი გახლდათ, რატომ გავიტანეთ მეოთხე გოლი, 3:2-იც ხომ ხელს გვაძლევდა?

დაბეჯითებით ვაცხადებ, ეს თამაში არ იყო ჩაწყობილი, არავისთან და მით უფრო „მერანთან" არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია. მე ძალიან მაინტერესებს, ვის დაებადა ეს აზრი. კი, ბატონო, იმუშაოს კომისიამ და ვნახოთ, რას გამოიძიებენ. ჩვენ არსად არ გავრბივართ, აგერაა ორივე მატჩის ფირი „ტორპედოსთან" და „მერანთან", ნახონ, გაარჩიონ, ვფიქრობ, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ მატჩი ჩაგვეწყო, მცდელობაც კი არ ყოფილა. ან „მერანს" რატომ აყენებენ შეურაცხყოფას, ან ჩვენ. რაშია საქმე, რა პრეტენზიები აქვთ, რაში დასჭირდათ ამხელა აჟიოტაჟის ატეხვა, ვერ გამიგია. ჩემპიონობისთვის ან მეორე ადგილისთვის რომ ვიბრძოდეთ, შეიძლება ჰქონოდათ კიდეც ამის საბაბი, მაგრამ გეკითხებით, ექვსეულში მოვხვდით, არ გავვარდებით, მეხუთე ადგილზე მყარად ვართ და თურმე „მერანთან" ამ ადგილისთვის თამაშს ვაწყობთ, მე შენ თამაში მომეცი, მეხუთეზე მე გავალ და მეექვსეზე შენო, ეს ხომ აბსურდია.

ფედერაციამ თავისი ეჭვებით „მერანსაც" ჩირქი მოსცხო, „კოლხეთსაც" და მთლიანად ქართულ ფეხბურთსაც. მე „მერანსაც" თანავუგრძნობ და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გარიგება ჩვენს შორის არ ყოფილა, ალალად გეუბნებით.

**გიორგი გუგაძიძე**

ქუთაისი
21 აპრილი
16 საათი
ტორპედო
11 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 2:0 ლოკომოტივი**

1:0, 2:0 ასათიანი (63, 86)
37-ე წუთზე გოგიჩაიშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)
**ტორპედო:** ზოიძე, ქემოკლიძე, აბრამიძე, ლევან სილაგაძე, თოდუა, გუჩუა, დიდავა, ვ. კვეტენაძე (ასათიანი 51), იონანიძე, აშვეთია (მახვილაძე 70), ჯანაშია (იმედაძე 46)
სათადარიგონი: ტოგონიძე, ი. ვაშაკიძე, ჩხეტიანი, მ. ბობოხიძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე, ბაქრაძე (მანჯგალაული 85), ქიქვეიშვილი, ანჩაბაძე, დათვაძე, გოგიჩაიშვილი, გ. შენგელია (კაიდარაშვილი 69)
სათადარიგონი: ასლანაძე, შელია, მორჩილაძე, გოგნაძე, პარამონოვი
**გაფრთხილება:** ბალაშვილი (27), სალუქვაძე (29), თოდუა (37)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. შილაკაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

იყიდება
ტელ:. 95-90-32,
39-71-98,
877 42-82-83
ოროთახიანი სუფთა ბინა
90 კვ.მ. მიშენებით
დიღმის მასივში
მე-4-ე კვარტალი
მე-19-ე კორპუსი
ბირველი სართული
ფასი შეთანხმებით



# უჯანო ჯანიანები

თბილისი
21 აპრილი
16 საათი
ეროვნული
2 000 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:2 ვიტ ჯორჯია

0:1, 0:2 მელქაძე (33, 35), 1:2 ზირაქიშვილი (62), 2:2 მიკუჩაძე (86)
დინამო: ხაჩირაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, მაზიაშვილი, მანწკავა, იაგორაშვილი, ბურდული, მიკუჩაძე ი. შენგელია (აფციაური 71), ზირაქიშვილი, ტ. ვ. მიქაძე (თუთარაშვილი 78)
სათადარიგონი: გერგედავა; ჩივაძე, თ. მაისურაძე ქარდავა, მუშკუდიანი
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ქანჯოტაძე, ინწკირველი, დილმელაშვილი, ჯ. მუჯირი, გოგობერიშვილი, ლ. ნოზაძე (წუწუნავა 84), ყიფიანი, ადამია (ვ. გოჩაშვილი 59), ლ. მელქაძე (გოცირიძე 70)
სათადარიგონი: ქურაძე; გიორგი ქორიძე, ი. ხაჭაპურიძე, სულთანიშვილი
გაფრთხილება: მუჯირი (20), მანწკავა (46), მაზიაშვილი (72)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიშვილი

მამუკა კვანტალიანი

ორბურთიანი დეფიციტი და უიმედოდ წაგებული პირველი ტაიმი... ქვეყნის ათგზის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ ჩავარდა მძიმე ვითარებაში, მაგრამ ახალგაზრდა დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გასაჭირიდან ორჯერვე თავი დაიძვრინეს.

ახლოს იყო ვიცე-ჩემპიონი მიზანთან. კიდევ ერთხელ, „ეროვნულზევე" შეეძლო წაექცია საპრიზო ადგილისთვის მებრძოლ „ვიტ ჯორჯიას" უპირველესი კონკურენტი, მაგრამ შრომით მოპოვებული ქარს გაატანა და ქულასღა დასჯერდა.

რა მოუვიდა „ვიტ ჯორჯიას"? რა დამბლა დაეცა კარნევალის გუნდს მეორე ტაიმში? „ეროვნულზე" შეკრებილი მაყურებლისთვის ეს იყო უპირველესი საკითხავი.

ჯანი კარნევალიმ ჩაგდებული მეორე ტაიმის მიზეზად არასაკმარისი ფიზიკური მომზადება დაასახელა. ქომაგებში სხვადასხვა ვერსიებს მოისმენდით, ჩვენ კი „ვიტ ჯორჯიას" უფერულ მეორე ტაიმს დაღლილობასთან ერთად არასწორ და დაგვიანებულ შეცვლებს დავაბრალებთ.

პირველი ტაიმი კი კარგს არაფერს უქადდა აღორძინების გზაზე შემდგარ ათგზის ჩემპიონს. „დინამომ", რომელსაც ძირითადის ოთხი მოთამაშე აკლდა, დალაგებულად მხოლოდ საწყისი ათი წუთი ითამაშა.

იმ ათ წუთში დაწინაურებაც შეეძლოთ მასპინძლებს. ეს მაშინ, როცა იაგორაშვილმა მარჯვენა ფლანგზე მცველი ჩამოიშორა და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. ვიტელთა ათლეტურ დაცვას შეტევის მოგერიება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ შედარებით ტანმორჩილმა მიქაძემ თავით თამაში მაინც მოახერხა. სტუმართა საბედნიეროდ, ბურთი მერლანს პირდაპირ ხელში მიუვიდა.

ეს იყო და ეს. „დინამოს" პირველ ტაიმში მეტოქის მეკარე აღარ შეუწუხებია. „ვიტ ჯორჯიამ" კი ნელ-ნელა თამაში დაალაგა და მალე საგოლედაც შეუტია მასპინძელს. გოგობერიშვილის ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ხაჩირაშვილმა გაჭირვებით გადააგდო კუთხურზე. სტუმრები ნელ-ნელა აძლიერებდნენ ზეწოლას, თუმც გოლი მაშინ გაიტანეს, როცა „დინამოს" საშიშროება თითქოს არსაიდან ემუქრებოდა.

32-ე წუთზე მასპინძლებმა ვეტერინართა იერიში მოიგერიეს. ბურთი მოედნის ცენტრში მუჯირმა მოიგდო და ორიოდ მეტრში მდგომ ყიფიანს მიაწოდა. გიორგის ბევრი არ უფიქრია, პირდაპირ საჯარიმოში ჩააწოდა. „დინამომ" სწორედ ამ დროს მოინდომა ხელოვნური თამაშგარეს მოწყობა, ხაჩირაშვილმაც ანგარიშმიუცემლად დატოვა კარი. ბურთთან პირველი მელქაძე გაჩნდა და წინ გამოსულ მეკარეს თავით თავზე გადაუგდო.

„ვიტ ჯორჯიამ" „დინამოს" გონზე მოსვლა არ აცალა და ორ წუთში მეორედაც დალაშქრა მეტოქის კარი. მელქაძემ მოედნის სიღრმიდან მიიღო ბურთი, ორ მცველთან ჭიდილში შეინარჩუნა, ოდნავ წინ წაიწია და მოჭრილი დარტყმით მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა ხაჩირაშვილს.

მეორე ტაიმის ათი წუთი „ვიტ ჯორჯიამ" ისევ ყინჩად ითამაშა, მერე კი თითქოს ერთბაშად ძალა გამოელიაო, დადგა გუნდი.

სხვაობის შემცირება თავიდანვე ზირაქიშვილს შეეძლო. მერლანთან პირისპირ შეყრილმა მეკარეს ფეხზე მოარტყა ბურთი, ხოლო მანწკავას დამატებული მცველმა გააუვნებლა.

და მაინც, რომ არა სტუმართა უხეში შეცდომები, „დინამო", ალბათ, ქულას ვერ ეღირსებოდა. 61-ე წუთზე „ვიტ ჯორჯიამ" სახიფათო იერიში წამოიწყო. ნოზაძემ ბურთი მეტოქის ნახევარზე გადაიტანა და გადაწყვიტა, გარღვევაზე გაჭრილი გოგობერიშვილისთვის მიეწოდებინა. პასი სუსტი და უხეირო გამოვიდა. შაშიაშვილმა გადაცემა ჩაჭრა, შეტევაზე გადასულმა ფლანგზე საჯაიას გაუსწრო და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. მცველების ზურგსუკან გამომხტარმა ზირაქიშვილმა მერლანს საგოლე თავური დაურტყა.

„დინამომ" მარწუხებს მოუჭირა. შეცვლაზე შესულმა აფციაურმა და თუთარაშვილმაც უფრო გამოაცოცხლეს მასპინძლები...

...თამაშის დრო იწურებოდა. იაგორაშვილმა კიდევ ერთხელ ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში. იქ კი მერლანმა და საჯაიამ ბურთი ვერ გაიყვეს. შედეგად „დინამომ" იმ კუთხურის უფლება მიიღო, რომელმაც ქულა მოუტანა. კოკა მიკუჩაძემ ბურთს სწორად შეურჩია ადგილი და ზუსტი თავურით წონასწორობა აღადგინა.

ბოლო წუთზე „ვიტ ჯორჯიამ" ერთხელაც გაიბრძოლა. კახა წუწუნავამ ლამის „დინამოს" მთელი დაცვა მოატყუა და წამით ადრე რომ მიეწოდებინა პასი ყიფიანისთვის, არ არის გამორიცხული, მასპინძელთა მთელი მონდომება წყალში ჩაყრილიყო. დააგვიანა წუწუნავამ და ყიფიანიც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ბოლოს ერთსაც ვიტყვით. მთელი თამაში რა ტემპშიც დაიწყო, ასევე დამთავრდა. ნელი, ხშირად მოსაწყენი ბურთაობა იყო, თუმც რაღაა გასაკვირი, ეს ხომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატია.


ანგარიშის გათანაბრების მერე ვიტელები ძლივს დაამშვიდნეს

---

საქართველოს უმაღლესი ლიგა მეორე ეტაპი — 12 — ჩემპიონატი

# 5 ტური

## VII–XII ადგილები

# პირველად საუკუნეში

ბათუმი
22 აპრილი
16 საათი
დინამო
500 (ტევადობა 18 000)

## ბათუმი 2:0 თსუ

1:0 ყულეჯიშვილი (17), 2:0 აფხაზავა (76)
მუჯირმა ვერ გაიტანა პენალტი (52, მეკარე)
ბათუმი: ჭანტურია, მახარაძე (დარჩიძე 46), ჩიჩუა, გველესიანი, მჭავანაძე, გელა ქორიძე, ღლონტი, ყულეჯიშვილი (აფხაზავა 65), მაჭუტაძე, ტუღუში, ა. მუჯირი (რომანაძე 83)
სათადარიგონი: ბალაძე; ქაცარავა, კობიძე, სიამაშვილი
თსუ: სტურუა, ჯობავა, ხარებავა, ბერიანიძე, ქერაშვილი, ბერიშვილი (ფირცხალაიშვილი 84), დათუნაშვილი, მეტრეველი (მამარდაშვილი 89), ბ. ნოზაძე, ლობჟანიძე (მინჯია 87), მერებაშვილი
გაფრთხილება: ღლონტი (62), ხარებავა (67), დათუნაშვილი (69), მჭავანაძე (74)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. დოლიძე, მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

ბათუმში ქვედა ექვსეულისთვის დამახასიათებელი უინტერესო ბურთაობა შედგა — დაბალი ტემპითა და ზლაზვნით გარჯილი ფეხბურთელებით.

არადა, წესით, თსუ-ს უსათუოდ ბრძოლა მართებდა. კონკურენტების სუნთქვა ხომ ზურგსუკან სულ უფრო მძაფრად იგრძნობა და სტუდენტებს კარგს არაფერს უქადის. თუმცა რა ბრძოლაზეა ლაპარაკი, როცა მათ ბათუმელთა კარისკენ პირველად 70-ე წუთზე დაარტყეს, ხოლო ჭანტურია სულაც მატჩის დასრულებამდე ხუთიოდ წუთით ადრე შეაწუხეს.

მანამდე კი იყო სტუმართა ყოვლად უჯიგრო და უნიათო თამაში, რომელსაც ფეხბურთის კაცი ვერაფრით დაარქმევ.

არა, თსუ-ში რაღაც ხდება და ცხადია, ეს თამაშის ხარისხზეც მოქმედებს. შემადგენლობაც შესუსტებული იახლა მერაბ კოჭლაშვილმა, რომელმაც ნამატჩევს გუნდში რაიმე კონფლიქტის არსებობა იუარა. არადა, „სიონთან" საშინაო მარცხის შემდეგ ჯოხი სამ წამყვან ფეხბურთელზე — ახალაძეზე, ებრალიძესა და გვაზავაზე გადატეხილა და მწვრთნელმა სამივე ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო.

როგორც გავიგეთ, ამ სამეულს გუნდი მიუტოვებია, მაგრამ ოფიციალურად კლუბს არც ერთი არ გაუშვია. ფაქტია, რომ ისინი ბათუმში არ იყვნენ ჩასულნი და რა შედეგიც მოიმკო ამით თსუ-მ, ეს ანგარიშიდანაც კარგად ჩანს.

სტუმართა უუნარობის ფონზე არც მასპინძლებს გამოუდვიათ დიდად თავი. თუმცა მოსაგებად ხშირად ასეთი გარჯაც საკმარისია ჩვენში. მიუხედავად ამისა, „ბათუმი" მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა ინიციატივას, მომენტებიც ბლომად შექმნა, მაგრამ გატანით მხოლოდ ორი გაიტანა.

პირველად ეს მე-17 წუთზე მოხდა. საჯარიმოში მაღალი ბურთისთვის მაჭუტაძემ და ქერაშვილმა იბრძოლეს, იქიდან გამოვარდნილს ყულეჯიშვილი დაუხვდა და ათი მეტრიდან სტურუას აუღებელი დაურტყა.

მეორე გოლს კი შეაგვიანდა და მატჩის დასრულებამდე თოთხმეტი წუთით ადრე გავიდა. მარცხენა ფლანგზე მუჯირმა გაინავარდა და კარის გასწვრივ საჯარიმოში დაბალი გადაცემა გააკეთა. ბურთისკენ ერთბაშად აფხაზავა და ტუღუში გაემართნენ, მაგრამ დარტყმა პირველმა მოასწრო და შედეგიანადაც.

„ბათუმს" მეორე ტაიმის დასაწყისშიც შეეძლო გატანა. საჯარიმოში შეჭრილ მაჭუტაძეს ხარებავა ეუხეშა და შილაკაძემ პენალტიც დანიშნა. თუმცა ამირან მუჯირმა სტურუას ვერაფერი დასტყუა.

თსუ პირველ ტაიმში სრულიად უნიაფოდ ირჯებოდა. კარის დამუქრების მცდელობა რაღაა, ისიც ვერ შევნიშნეთ სტუდენტთა თამაშში. შესვენების შემდეგ სურათი გარკვეულწილად შეიცვალა, მაგრამ რაიმე ღირებული მაინც არ შემოუთავაზებიათ სტუმრებს. ერთადერთი ხიფათისმაგვარი ეპიზოდი მათ 70-ე წუთზე შექმნეს, თუმცა ნოზაძემ დარტყმის ნაცვლად ამჯობინა, ბურთი პარტნიორისთვის გადაეწოდებინა და რეალური შანსიც დაიკარგა.

ბოლო წუთებზე ყურადღების ცენტრში მეკარეები მოექცნენ. ერთ მომენტში უსაქმოდ მყოფმა ჭანტურიამ ჯარიმის დარტყმა მოინდომა, მაგრამ ტუღუშმა ბურთის გათამაშება არჩია და გოლი კინაღამ აქეთ მიიღო. მისი პასი ჯობავამ ჩაჭრა და სანამ მეკარე უკან ჩაირბენდა, 60 მეტრიდან ცარიელ კარს დაემუქრა. თუმცა გასატანად ძალა არ ეყო.

მატჩის მიწურულს კი მეტრეველი დაშავდა და მოედანზე მამარდაშვილი შევიდა. ამპლუით მეკარეს სულ ორიოდე წუთი მოუწია ფეხბურთელად თამაშმა.

მატჩის შემდეგ თსუ-ს თავკაცმა „ბათუმს" გარჯა მოუწონა და სინანულით აღნიშნა, ასეთი გუნდი ექვსეულში როგორ ვერ მოხვდაო. რაც შეეხება გავარდნის პერსპექტივას, მერაბ კოჭლაშვილი, მართალია, სიტუაციის საშიშროებას გრძნობს, მაგრამ იმედს არ კარგავს.

ასლან ბალაძეც მომავლის იმედზეა. ბათუმში ხომ დიდი გუნდის შექმნას აპირებენ. მანამდე კი „ბათუმმა", როგორც იქნა, „დინამოზე" მოიგო. ეს ბოლოს ზღვისპირელებმა შარშან 4 ნოემბერს შეძლეს. ახალ საუკუნეში კი შინ პირველად თსუ იმსხვერპლეს და ქვედა ექვსეულს თავში მოექცნენ.


სტუდენტთა მეკარე ზვიად სტურუა თერთმეტი მეტრიდან ბათუმელი ამირან მუჯირის დარტყმულს იგერიებს

# შალვას სამქულიანი და ჩია მბდღვირი

ბოლნისი
22 აპრილი
16 საათი
თემურ სტეფანია
1000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:0 დილა**

1:0 ისიანი (29)
**სიონი:** ვოლკოვი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, სიდამონიძე, ბარნოვი, მოსეშვილი, სოლოღაშვილი (კ. გოდერძიშვილი 54), ამბიძე, ისიანი, დავითაშვილი (კ. მეტრეველი 69), გაბისონია
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ბ. შენგელია, შაკიაშვილი, გოგოლაძე
**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი, ჩიტაია, თაყაძე (საყვარელიძე 46), რევაზიშვილი (ერაძე 39), ხორგუაშვილი, ეჯოშვილი (ლომიძე 79)
სათადარიგონი: სოლოღაშვილი; მ. ბურნაძე, გოგინაშვილი
**გაფრთხილება:** სოლოღაშვილი (39)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. დოლიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

დავით თავართქილაძე ბოლნისიდან

**ექვსეულების** გაყოფის შემდეგ „სიონმა“ შინ პირველად მოიგო. მასპინძლებს უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვება მართებდათ, მაგრამ საგოლე მომენტები ქარს გაატანეს. ისე, შეტევათა დაგვირგვინებაში „დილამაც“ ვერ ივარგა, თორემ იქნებ ფრისთვისაც გამოეკრა ელი.

პირველი მწვავე იერიშიც სტუმრების იყო — განაპირა მცველმა აკოფიანმა მარჯვნიდან ჩააწოდა ბურთი „სიონის“ საჯარიმოში, მაგრამ ბოლნისელთაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ეჯოშვილმა ახლოდან არაზუსტი თავური მიაყოლა.

კვლავაც უმთავარმწვრთნელოდ დარჩენილი „სიონი“ შმაგად ირჯებოდა. მთავარ დამრტყმელ ძალას ხუთეული წარმოადგენდა — ფლანგებიდან დავითაშვილი და მოსეშვილი, ფორვარდებად გამწესებული გაბისონია და ისიანი და მათ უკან მოთამაშე ბახვა ამბიძე აქტიურად უტევდნენ გორელთა დაცვას.

„დილა“ ყრუ დაცვაში არ ჩამდგარა, თუმც ერთფეროვნად კი უტევდა, ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან, სადაც აკოფიანი და თაყაძე ლამობდნენ სარგებელი ენახათ. ამის თქმა ჩიტაიასა და ფეზუაშვილზეც შეიძლება. ერთიორჯერ „დილამ“ მართლაც შეძლო გააზრებული და მოხდენილი კომბინაციის გათამაშება, მაგრამ თავდამსხმელები რატომღაც უნიათოდ მოქმედებდნენ. ფაქტობრივად, მოშიშვლებული იყო მარცხენა ფლანგი — გიორგი რევაზიშვილს ჩვეული ფორმის დასაბრუნებლად ჯერ კიდევ ბევრი უკლია.

ტაიმის შუაგულში მასპინძლებმა ტემპსა და აგრესიულობას უმატეს, რასაც ერთადერთი და სამქულიანი გოლი მოჰყვა — ირემაშვილმა ბურთი კარის გასწვრივ გაგზავნა, შალვა ისიანს ფეხითაც შეეძლო დაერტყა, მაგრამ ვარდნაში თავური ამჯობინა და 3-4 მეტრიდან მიზანშიც მოარტყა.

გოლისგან ფრთებშესხმულ ქვემოქართლელებს ალმაფრენა არც შესვენების შემდეგ განელებიათ. ტაიმი ახალდაწყებული იყო, მოსეშვილმა კარგად რომ გაუჭრა პასი გაბისონიას, მაგრამ თავდამსხმელი ოდენ ხარიხას გარტყმულ ბურთს გამორჩა. შემდეგ კვლავ მოსეშვილმა სცადა საგოლე გადაცემის შესრულება — ისიანის თავური მეორე ცდაზე არაზუსტი გამოდგა.

გორელებმაც გამოიდეს თავი. ზურაბ ხორგუაშვილი კარგ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ ვერც კარში დაარტყა და ვერც ხეირიანი პასის მიწოდება მოახერხა. „თემურ სტეფანიას“ ტრიბუნები კი რამდენიმე წამით ალბერტ საყვარელიძემ დაამუნჯა — 30-35 მეტრიდან ძლიერად დაჰკრა მინდორზე დაუშვებელ ბურთს და ბარნოვის კარის მელ-ხარიხის გადაკვეთას გაარტყა. ეს სტუმართა ბოლო ცდა იყო.

„სიონი“ კიდევ შეეცადა გატანას. ერთობ გააქტიურდა გელა გაბისონია, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ბდღვირი ადინა გორელთა დაცვას. ამბიძის პასით ის თითქმის პირისპირ შეეყარა ვოლკოვს, მაგრამ ბურთი ოდნავ წინ გაექცა და ჭვინტით მცირედით ააცილა მიზანს. შემდეგ შეცვლაზე შესულმა მეტრეველმა თავურით გააცუდა კარგი შანსი. ბოლნისელთა ბოლო მწვავე შეტევა კი კვლავ გაბისონიასი იყო — შემობრუნებით დაარტყა ბოლნისელთა ჩია ფორვარდმა და თამაზ ილურიძემ გაჭირვებით მოიგერია ბურთი.

რალაცნაირად დაკომპლექსებული ჩანს „დილა“. სტუმრად წაგებას იოლად ეგუება, მხოლოდ შინაური მატჩების იმედად არის. არადა, პლეი ოფის მეორე წრეში გორში ორჯერ უწევს თამაში, გასვლაზე კი სამჯერ. სამქულაჩამოკლებულ ბოლნისელებს კი განრიგიც უკეთესი აქვთ და უფრო ყოჩაღადაც ბურთაობენ.

რუსთავი
22 აპრილი
16 საათი
ფოლადი
1000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 2:1 იბერია**

0:1 ხმალაძე (29), 1:1 ჯულელი (63პ), 2:1 კოტეიშვილი (67)
**გორდა:** გუგუნავა, კედელაშვილი, ა. ბურნაძე, ა. გელაძე, ზ. ლაბაძე (კოტეიშვილი 61), თ. მეტრეველი, ლაშა სილაგაძე (ჯულელი 41), გ. გ. მიქაძე ალადაშვილი, მელაძე, სოხაძე (ჯელაძე 41)
სათადარიგონი: ბედიაშვილი; ა. ბუკია, მიშველიძე ბექაური
**იბერია:** ცირაძე, ყურაშვილი, ნინუა, მიქელთაძე, ამისულაშვილი, გ. ნოზაძე (სანიკიძე 67), ლ. ხმალაძე, ჩაჩუა, გულორდავა, აკაშვილი (ლ. ვაშაკიძე 87), ვ. გაგუა (ქიაბრიშვილი 78)
სათადარიგონი: კობახიძე, ხიზანიშვილი, თარგამაძე
**გაფრთხილება:** ამისულაშვილი (36), მიქელთაძე (42), ხმალაძე (60), ნოზაძე (63), ალადაშვილი (65)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ჯ. ზეინკლიშვილი


**იყიდება**

☎ (231) 7 17 58



ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18.
კინოთეატრ "სულიკოსთან"



ძია კლოდის გუნდში კაცები თამაშობენ — ფრანგების ფავორიტიზმს მერაბ რატიშვილი.
სიცოცხლის ფასად რომ დაგვიჯდეს, მსოფლიოს თასზე მაინც გავალთ — გვარწმუნებს ლეონიძე, ანუ ქართული რაგბის ვარსკვლავი ლევან ცაბაძე.
ეროვნულზე კი ვირტუალური ჯიგრისწვა გაიმართა — ასე აფასებს ფეხბურთელთა ნაკრების თამაშს სოლომონ გულისაშვილი.
ბევრიც სხვა და მაიკლ ოუენის პლაკატი და სიახლე:

**ფასი მხოლოდ 1 ლარი**

№3 (13) აპრილი, 2001

სპორტული ჟურნალი

**სარბიელი**




**საქართველოს ჩემპიონატი**
**პირველი ლიგა**
**მეორე ეტაპი**
**12**
# 4 ტური

## I–VI ადგილები

# სად ერთი და სად სამი?

წყალტუბო
22 აპრილი
16 საათი
26 მაისი
1000 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 0:0 მეტალურგი**

**სამგურალი:** ბოდოკია, ბერაძე, ფრანგიშვილი, ბანძელაძე (ზვ. ფხაკაძე 60), თურმანიძე, დარსაძე, კიკვიძე, შ. ფუტკარაძე (კობალიანი 46), მ. ჯინჭარაძე, ზვ. ქუთათელაძე, კვერნაძე
სათადარიგონი: თ. გიორგაძე, ჯიქია, შ. ლონდაძე, ტეხოვი
**მეტალურგი:** თ. ოდიკაძე, გურეშიძე, ლურსმანაშვილი, ორმოცაძე, მაღლაკელიძე, გოგაძე, ფანცხავა (მეზარნიშვილი 46), კაციაშვილი, ამაშუკელი (დ. ოდიკაძე 73), ფირცხალაშვილი, ვარდიაშვილი (ტვაზავა 30)
სათადარიგონი: მერკვილიშვილი; მახათაძე, აქარაძე, მ. ლონდაძე
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); ა. მეშკოვი (თბილისი)
**გაფრთხილება:** ამაშუკელი (58), ფირცხალაშვილი (85), კაციაშვილი (87)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. გრეკოვი

იუზა კაციტაძე წყალტუბოდან

**არბიტრმა** საფინალო ჩასტვინა და სტუმრებმაც გაიხარეს. ზესტაფონელები ერთმანეთს ეხვეოდნენ, ქულის მოპოვებას ულოცავდნენ. მასპინძლები კი უხმოდ, თავჩაქინდრულნი ტოვებდნენ მოედანს. არა, ქულა მათაც ერგოთ, მაგრამ სად ერთი და სად სამი, წყალტუბოელები ხომ გამარჯვებას ლამობდნენ და ამ შემთხვევაში უმაღლეს ლიგაში ალზევების საუკეთესო შანსიც ეძლეოდათ. ვერ გამოიყენა „სამგურალმა“ შანსი და ეს ამბავი ჯერ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, მერე მეტოქეს და ბოლოს მატჩის არბიტრს ლევან ფანიაშვილს, რომელმაც შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე „მეტალურგის“ კარში თითქოსდა უეჭველი პენალტი არ დანიშნა. ზესტაფონელთა საჯარიმოში ფლანგურ გადაცემას კიკვიძე გამოეხმაურა და კარიდან ათიოდ მეტრში დასარტყმელადაც მზად იყო, როდესაც სტუმართა მოთამაშემ, ნებსით თუ უნებლიეთ, წყალტუბოელი ნახევარმცველი წააქცია და ამით აშკარა ხიფათისგან იხსნა თავისი გუნდი...

მანამდე მასპინძლებს გატანის ორი შესაძლებლობა ჰქონდათ. 30-ე წუთზე ბერაძის პასის შემდეგ ფუტკარაძე აღმოჩნდა მეტად ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მიზანს ააცილა. ორ წუთში კი მეტოქის საჯარიმოს წინ სწრაფად გათამაშებული კომბინაცია ჯინჭარაძემ დაასრულა უძლიერესი დარტყმით, ოღონდ ბურთმა კარის ჯვარედინს გადაუქროლა. ამ სამ ეპიზოდს თუ არ ჩავთვლით, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ეს კი არა, თამაშის ორგანიზაციით სტუმრები სჯობდნენ კიდეც მასპინძლებს. ზესტაფონელთა დაცვა გასაქანს არ აძლევდა სწრაფ კვერნაძეს და ქუთათელაძეს, ნახევარმცველებიც ბევრს მოძრაობდნენ და წინახაზელებიც საკმაოდ აქტიურობდნენ, განსაკუთრებით დაშავებული ვარდიაშვილის შემცვლელი გვაზავა. სტუმართა ტაქტიკამ გაამართლა. „სამგურალი“ ჩვეული სილაღით ველარ ირჯებოდა.

მეორე ტაიმში ზესტაფონელებმა უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იზრუნეს და ჩინებულად გაართვეს თავი საქმეს. მასპინძელთა ქაოტურ შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია და ვერც მოჰყვებოდა. წყალტუბოელები რეალურად ერთხელაც არ დამუქრებიან მეტოქეს.

ამ მატჩის შემდეგ „სამგურალს“ ისლა დარჩა სანუგეშოდ, რომ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ერთადერთ წაუგებელ და გოლგაუშვებელ გუნდად რჩება. ზედმეტად მკაცრნიც ნუ ვიქნებით. მართალია, წყალტუბოელები ჰაერივით საჭირო ორ ქულას შეელიენ, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შექმნან. მთავარი ბრძოლები ხომ წინაა.

ლანჩხუთი
22 აპრილი
16 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

**გურია 1:0 მილანი**

1:0 ენდელაძე (53)
**გურია:** დოლიძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ჯღარკავა (სამხარაძე 73), სულაკაძე, განევი (კირკიტაძე 35), ჩიტაია (ქაქავა 61), ენდელაძე, ვოსკანოვი, ფაცურია, პატარაია
სათადარიგონი: შეყრილაძე, ძნელაძე, კუკულაძე, თ. ლორია
**მილანი:** გ. სომხიშვილი, ტარულაშვილი, ლუდუშაური, მეტონიძე, გოძიაშვილი (სოსელია 82), გოლეთიანი (მედოევი 55), კობაიძე, ქვონია, გამცემლიძე, ვარამაშვილი, ტოკლიკიშვილი
სათადარიგონი: ძამუნაშვილი; ჩიტაური, მ. სომხიშვილი, ლეკიშვილი
**გაფრთხილება:** ვოსკანოვი (6), ქვონია (37), გამცემლიძე (40), კირკიტაძე (51), ფაცურია (56)
**გაძევება:** გამცემლიძე (40), კირკიტაძე (59)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე, ნ. რუსიაშვილი (ორივე ქუთაისი), ო. ხეცაძე (თბილისი); გ. კაჭარაშვილი (ქუთაისი)

ქობულეთი
22 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
1000 (ტევადობა 8 000)

**შუქურა 0:0 ცხინვალი**

**შუქურა:** გაბუნია, ჩახუნაშვილი (კაცაძე 46), ბაფუნაშვილი, ჯ. ბერიძე, ვალიჩავა (მესხიჩენკო 66), მოწყობილი (ლომინაძე 78), გეგეშიძე, კვირკველია, ჩელებაძე, ქუტიძე, კაკალაძე
სათადარიგონი: გ. გოგია; მესხიძე, ბ. ფუტკარაძე, კოროტკოვი
**ცხინვალი:** ქქსანაშვილი, არუთინიანი (წიქარიძე 69), ელისაშვილი, ბ. ტყემალაძე, ვაჩლავაშვილი, თალაკვაძე, მოსიაშვილი, ზ. მაისურაძე (ბოქორაძე 46), მარგიევი (ჩაჩიბაია 76), მარლიშვილი, ნასუაშვილი
სათადარიგო: დ. მაისურაძე
**გაფრთხილება:** ქუტიძე (55), ვაჩლავაშვილი (56)
**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**I–VI ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამგურალი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:0 | 28 |
| გურია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 28 |
| მილანი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:3 | 27 |
| მეტალურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 25 |
| ცხინვალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | 24 |
| შუქურა | 4 | 0 | 3 | 1 | 1:4 | 23 |

## VII–XII ადგილები

ბორჯომი
21 აპრილი
16 საათი
ჯემალ ზეინკლიშვილი

**თორი 0:1 თბილისი**

ხობი
21 აპრილი
16 საათი
კოლხეთი

**ხობი 3:0 ივერია**

**ოკეანე 3:0 ზუგდიდი**

„ზუგდიდი“ მოხსნილია ჩემპიონატიდან, „ოკეანეს“ ჩაეთვალა მოგება,

**VII–XII ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 22 |
| ხობი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 20 |
| თბილისი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 18 |
| ოკეანე | 4 | 1 | 3 | 0 | 6:3 | 16 |
| ივერია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 12 |
| ზუგდიდი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:10 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვლავ გარი

## ინგლისი

### XXXV ტური

**ლივერპული 3:1 ტოტენჰემი**

1:0 ჰესკი (7), 1:1 კორსტენი (24), 2:1 მაკალისტერი (73პ), 3:1 ფაულერი (88)
ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰენჩოზი, ჰიუპია, კარაგერი (ვინალი 64), შმიცერი (ჰამანი 54), ჯერარდი, მაკალისტერი, ბერგერი, ჰესკი (ფაულერი 40), ოუენი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, გარდნერი, იანგი, ტელველი, ჯ. დევისი (პიერსი 78), კლემენსი, ლეონარდსენი, შერვუდი, დოჰერტი, კორსტენი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ვინალი, კლემენსი
43 547 მაყურებელი

**არსენალი 4:1 ევერტონი**

1:0 ლიუნგბერგი (21), 1:1 კემპბელი (24), 2:1 გრიმანდი (55), 3:1 ვილტორდი (67), 4:1 ანრი (87)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ეშლი კოული, პირესი (სილვინიო 76), გრიმანდი (ვივასი 64), ვიეირა, ლიუნგბერგი, ვილტორდი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ევერტონი: ჟერარი, ბოლი, ვეირი, პისტონე, შავიერი, ჯემილი, გრავესენი, ნიარკო (ტალი 72), პემბრიჯი (ჰიბერტი 81), ალექსანდერსონი (მური 72), კ. კემპბელი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: შავიერი, ტალი
გაძევება: შავიერი (80)
38 029 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:0 საუთჰემპტონი**

ასტონ ვილა: ჯეიმსი, დილანი, საუთგეიტი, ბერი, ა. რაიტი, მერსონი, ტეილორი (ჟინოლა 53), ბოატენგი, ლ. ჰენდრი, დაბლინი, ვასელი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
საუთჰემპტონი: პ. ჯონსი, დოდი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, ბრიჯი, ტესემი, დრეიპერი, ოკლი (ელ ხალეჯი 85), კაჩლოული, ბიტი, ს. დევისი (პახარსი 90)
მწვრთნელი:
გაფრთხილება: ჰენდრი, დრეიპერი, დევისი
29 336 მაყურებელი

**ბრედფორდი 2:0 დერბი ქაუნთი**

1:0, 2:0 უორდი (16, 87)
ბრედფორდი: გ. უოლში, მაიერსი, მოლენაარი, ჯეკობსი, ჰალე, მაკოლი, უოლი, უორდი, რ. ბლეიქი (გრანტი 79), კარბონე, ჯესი
მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი
დერბი ქაუნთი: პოომი, კარბონარი, რიგოტი, დელაპი, ბოერტიენი, ქინქლაძე, ერანიო (გუდიონსონი 76), ს. ჯონსონი, მიურეი, დ. ბარტონი, ლ. მორისი (კრისტი 61)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ბოერტიენი, გუდიონსონი
გაძევება: ჯონსონი (58)
18 564 მაყურებელი

**ჩელსი 0:1 ჩარლტონი**

0:1 ბარტლეტი (35)
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, დესაი, ტერი, ლე სო, ბოიეტი, უაიზი, დალა ბონა, სტანიჩი, ძოლა (გრონკიაერი 46), ჰასელბაინკი (გუდიონსენი 46)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ჩარლტონი: ილიჩი, კონჩესკი, რუფუსი, ფიში (უენ ბრაუნი 46), ტოდი, კინსელა, პარკერი (გ. სტიუარტი 80), იენსენი, იოჰანსონი, ჯ. რობინსონი (კიშიშევი 78), ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ჰასელბაინკი, ბოიეტი, უაიზი
34 983 მაყურებელი

**იფსვიჩი 2:0 ქოვენთრი**

1:0 რეიზერი (20), 2:0 რაიტი (56)
იფსვიჩი: ბრანაგანი, მაკინი, მაკგრივი, ბრემბლი, ჰრეიდარსონი, ჯ. რაიტი, ჰოლანდი, მეჯილტონი, რეიზერი (კლაპამი 61), მ. სტიუარტი (ნეილორი 90), ა. არმსტრონგი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ქოვენთრი: კირკლენდი, ბ. ქუინი (დ. უილიამსი 77), შოუ, ბრინი, ჰოლი, ტელფერი, კარსლი (ედვორთი 62), ოსტიჩი, ბელამი, ბოტროიდი (ზუნიგა 57), ჰარტსონი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: კლაპამი, ოსტიჩი, ზუნიგა, ჰარტსონი, ჰოლი
24 612 მაყურებელი

**ლესტერი 0:3 მიდლსბრო**

0:1 რიკარდი (12), 0:2 ბოკშიჩი (50), 0:3 ინსი (52)
ლესტერი: როისი, იზე, ფ. სინკლერი (მარშალი 55), ტაგარტი (დევიდსონი 72), როუეტი, განი, ლუისი, სევიჯი, დილანი, სტარიჯი (გუნლაუგსონი 46), აკინბი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
მიდლსბრო: შვარცერი, ქვინი, გორდონი, ეჰიოგუ, კარამბეუ (მასტო 74), კუპერი, ოკონი, ინსი, უინდასი, ბოკშიჩი (ველანი 80), რიკარდი (სტამპი 69)
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
გაფრთხილება: ტაგარტი, სევიჯი, სინკლერი, უინდასი
18 162 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნ. 1:1 მანჩესტერ სიტი**

1:0 შერინგემი (71პ), 1:1 ჰაუი (84)
მანჩესტერ იუნ: ბარტეზი, უესლი ბრაუნი (სილვესტრი 69), გ. ნევილი, სტამი, ფ. ნევილი, ბექჰემი, როი კინი, სქოულზი (ბატი 76), ჩედვიკი (გიგზი 61), სოლსკიაერი, შერინგემი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მანჩესტერ სიტი: ნეში, ჰაალანდი, დანი, ჰაუი, გრენვილი, ჯეფ უიტლი, ვიკენსი (პრიორი 69), გრანტი (კანჩელსკისი 46; გოტერი 85), შარვე, დიკოვი, ვანჩოპე
მწვრთნელი: ჯო როილი
გაძევება: კინი (86)
67 535 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:1 ნიუკასლი**

1:0 კარტერონი (67), 1:1 ობრაიენი (78)
სანდერლენდი: სორენსენი, კარტერონი, გრეი, კრადოკი, ტომე, ჰატჩისონი, მაკკენი, შვარცი, არკა, ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ე. ქუინი, დაბიზასი, ობრაიენი, სოლანო (ამეობი 77), სპიდი, აკუნია (გრიფინი 76), ბასედასი, კორტი, გალაჰერი (კორდონე 76)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: შვარცი, ფილიპსი, ჰატჩისონი, გრეი, ქუინი, ბარტონი, სპიდი, აკუნია, ბასედასი
48 277 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:2 ლიდსი**

0:1 კინი (8), 0:2 ფერდინანდი (47)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, დეილი (დიავარა 60), შტიმაცი, ი. პირსი, უინტერბერნი, მონკუ (ფოქსი 36), ლამპარდი, კარიკი, ჯ. კოული, დი კანიო, კანო (ტოდოროვი 10)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბაკე, ბეტი, დაკური, ბოიერი, კიუელი (უილკოქსი 81), რობი კინი (გ. კელი 87)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: მონკუ, კოული, ფოქსი, შტიმაცი, უინტერბერნი, მილსი, დაკური
გაძევება: ბეტი (49)
26 041 მაყურებელი

**პრემიერლიგის** მორიგი ტური საინტერესო გამოვიდა და თავისი გმირებიც გაიჩინა. მაგალითად, ლივერპულელი „მოხუცი" გარი მაკალისტერი, რომელმაც ზედიზედ მესამე თამაშში გაიტანა გოლი, აქედან ბოლო ოთხ დღეში მეორე პენალტი. „ლივერპული" შინ რეზერვისტებით გადავსებულ „ტოტენჰემს" ხვდებოდა და რა თქმა უნდა, უკვე მერამდენედ აუცილებლად უნდა მოეგო, რახან ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას აგრძელებს.

„ტოტენჰემი" დუბლებით კი იყო, მაგრამ წაგებას სულაც არ აპირებდა, გლენ ჰოდლი საგაისოდ უფრო ამზადებს გუნდს და მეორე კვირაა ის ფეხბურთელები გაჰყავს მინდორზე, ვისაც მისი წინამორბედი აღარ, ან ჯერჯერობით არ ენდობოდა.

ასე იყო თუ ისე, მასპინძლები ადრევე ჩაწყნარდნენ, რახან ემილ ჰესკიმ უკვე მეშვიდე წუთზე გახსნა ანგარიში. ეს ჩაწყნარება იმგვარი გამოვიდა, რომ „ლივერპულმა" თამაში დაკარგა და მალე გოლიც გაუშვა: ჰოლანდიელი ვილემ კორსტენი კარგად შეეგება ოივინდ ლეონარდსენის კროსს. ამის შემდეგ მთელი ერთი საათი თამაში ისე წავიდა, რომ მასპინძლებმა ველარაფერი გააწყვეს ანთებულ სტუმართა წინააღმდეგ და მოგების გზაც ვერ იპოვეს. სწორედ ამ დროს ელტონ ტელველმა ხელი შეუშვირა რობი ფაულერის დარტყმულს და გარი მაკალისტერმა ზუსტად დაარტყა პენალტი. თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ფაულერის თავურმა საბოლოოდ ჩააცხრო სტუმართა იმედები.

ამ გამარჯვებით „ლივერპულმა" სულ ცოტათი მოითქვა სული, რახან შაბათს „სტემფორდ ბრიჯზე" წააგო „ჩელსიმ". ბოლო ხანს წამოქაჩულმა ჩელსელებმა საზიზღრად ითამაშეს, „ჩარლტონელმა" შონ ბარტლეტმა კი მასპინძელთა მეკარე კარლო კუდიჩინის მაღალ ბურთზე ცუდად გამოსვლა არ აპატია და კენტი გოლით მოუტანა გამარჯვება გარეუბნელებს. „ჩელსი" კი ჩავარდა მეექვსე საფეხურზე, მაგრამ მესამეზე გამაგრებულმა „იფსვიჩმა", რა თქმა უნდა, „ქოვენთრის" მოუგო და ახლა ექვსი ქულით უსწრებს „ლივერპულს".

მეოთხეა „ლიდსი", რომელმაც ლონდონში 2:0 აჯობა „ვესტ ჰემს". შეხვედრის 50-ე წუთზე ბიძაკაცმა დევიდ ბეტიმ სახეში იდაყვი ჩასცხო მასპინძელთა თინეიჯერ ჯო კოულს და გააძევეს. თუმცა, ამ დროისთვის „ლიდსს" უკვე გაეტანა თავისი გოლები რობი კინის მოხერხებისა და „ვესტ ჰემში" გამოზრდილი რიო ფერდინანდის თავურის წყალობით.

ნაიჯელ მარტინმა რამდენიმე ძნელი ბურთი აუღო ლონდონელებს და ახლა „ლიდსი" სამი ქულით უსწრებს „ლივერპულს". მერსისაიდელთა იმედი ორი გამოტოვებული თამაშია.

გავარდნილმა „ბრედფორდმა" დასარჩენად მებრძოლი „დერბი" დაამარცხა ეშლი უორდის დუბლით, „ევერტონმა" მეორე ტაიმში ვერ გაუძლო ფრთაგაშლილ (კაი დროსაა) „არსენალს", რომელიც მეორე ადგილს ინარჩუნებს. „დერბის" და „ევერტონის" დარად გადარჩენისთვის მებრძოლმა „მიდლსბრომ" სამ ტურში მეორე გასვლა მოიგო და კვლავ 3:0. საბრალო „ლესტერი" ახლა ისეთ დღეშია, რომ არათუ „ბორო", რომელიღაც „ლეიტონ ორიენტიც" კი აჯობებს. სტუმართა სამი გოლიდან ბოლო თვით პოლ ინსმა გაიტანა. „საუთჰემპტონმა" აღარ წააგო, „ასტონ ვილამ" კი ველარ მოიგო. ამ გუნდებმა ერთმანეთს გოლები ვერ გაუტანეს.

ეს ტური ორი დერბი-თამაშისა იყო. მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე", „იუნაიტედი" „სიტის" ხვდებოდა, სანდერლენდის „ლაითზე" კი იქაურები „ნიუკასლს" მასპინძლობდნენ ჩრდილოაღმოსავლურ ჭიდილში. ორივე შეხვედრა 1:1 დასრულდა.

მანჩესტერში ცალი კარი არ იყო, მაგრამ როგორღაც უდარდელად ირჯებოდნენ. პოლ სქოულზმა პენალტი ააცილა, მაგრამ მერე რიჩარდ დანმა სოლსკიაერი წააქცია საჯარიმოში და „სიტის" მეკარე ნიკი ვივერმა ტედი შერინგემის დარტყმულს ხელი კი წაუცაცუნა, თუმცა ველარ შეაჩერა. „იუნაიტედი" სულ 12 წუთს იგებდა: „სიტელთა" ჯუთხურს თავური მოჰყვა და კარის წინ სტივ ჰოუიმ იმარჯვა. ეს ამბავი დიდად ეწყინა ალისფერთა კაპიტან როი კინს, რომელმაც ჰოუის გოლიდან ორი წუთის თავზე წიხლი ჩასცხო ალფ ინგე ჰაალანდს და რეფერი დევიდ ელერისგან წითელი ბარათიც დაიმსახურა.

სანდერლენდში კი მართლაც ჭიდილი იყო. შირერის გარეშე მყოფი „ნიუკასლი" კევინ გალაჰერის ჭკუის იმედად იყო, მაშინ როცა კევინ ფილიპსი და ნილ კუინი შეი გივენს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. თუმცა, შეხვედრის პირველი გოლი სხვამ გაიტანა — სანდერლენდელთა ფრანგმა პატრის კარტერონმა ოთხმოცი მეტრი გაირბინა, რათა დონ ჰაჩისონის ბრწყინვალე პასს დაუფლებოდა და ბურთი კარში შეეგდო. და მაინც, „სანდერლენდმა" ვერ მოიგო — სტუმართა ენდი ობრეინმა კარის წინ ივაჟკაცა და გაათანაბრა.

აი, ასე იყო.

გაძევებები კი, იცოცხლეთ, მთელი ოთხი გამოვიდა, ნახსენებ წითლოსნებს „ევერტონელი" აბელ შავიერი და „დერბელი" სეთ ჯონსტონიც უნდა მივუმატოთ.

**ირაკლი გამყრელიძე**




REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერ იუნაიტედი — მანჩესტერ სიტი. სტივენ ჰაუის (№2) გოლმა „სიტის" ქულა მოუტანა

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მანჩესტერი | 34 | 23 | 8 | 3 | 75:25 | 50 | 77 | 18 | 15 | 2 | 1 | 49:11 | 38 | 47 | 16 | 8 | 6 | 2 | 26:14 | 12 | 30 |
| 2 არსენალი | 34 | 18 | 9 | 7 | 57:33 | 24 | 63 | 18 | 14 | 3 | 1 | 43:12 | 31 | 45 | 16 | 4 | 6 | 6 | 14:21 | -7 | 18 |
| 3 იფსვიჩი | 35 | 19 | 5 | 11 | 53:38 | 15 | 62 | 18 | 10 | 5 | 3 | 29:14 | 15 | 35 | 17 | 9 | 0 | 8 | 24:24 | 0 | 27 |
| 4 ლიდსი | 34 | 17 | 8 | 9 | 52:39 | 13 | 59 | 16 | 8 | 3 | 5 | 25:19 | 6 | 27 | 18 | 9 | 5 | 4 | 27:20 | 7 | 32 |
| 5 ლივერპული | 33 | 16 | 8 | 9 | 58:37 | 21 | 56 | 17 | 12 | 3 | 2 | 35:12 | 23 | 39 | 16 | 4 | 5 | 7 | 23:25 | -2 | 17 |
| 6 ჩელსი | 34 | 15 | 9 | 10 | 62:39 | 23 | 54 | 18 | 12 | 3 | 3 | 42:19 | 23 | 39 | 16 | 3 | 6 | 7 | 20:20 | 0 | 15 |
| 7 ასტონ ვილა | 35 | 12 | 14 | 9 | 43:38 | 5 | 50 | 18 | 7 | 8 | 3 | 24:18 | 6 | 29 | 17 | 5 | 6 | 6 | 19:20 | -1 | 21 |
| 8 სანდერლენდი | 35 | 13 | 11 | 11 | 40:37 | 3 | 50 | 18 | 8 | 7 | 3 | 21:14 | 7 | 31 | 17 | 5 | 4 | 8 | 19:23 | -4 | 19 |
| 9 ჩარლტონი | 35 | 13 | 10 | 12 | 46:49 | -3 | 49 | 17 | 10 | 5 | 2 | 29:14 | 15 | 33 | 18 | 3 | 5 | 10 | 17:35 | -18 | 14 |
| 10 საუთჰემპტონი | 33 | 12 | 9 | 12 | 34:40 | -6 | 45 | 16 | 9 | 2 | 5 | 22:18 | 4 | 29 | 17 | 3 | 7 | 7 | 12:22 | -10 | 16 |
| 11 ტოტენჰემი | 35 | 12 | 9 | 14 | 42:49 | -7 | 45 | 17 | 10 | 5 | 2 | 28:15 | 13 | 35 | 18 | 2 | 4 | 12 | 14:34 | -20 | 10 |
| 12 ლესტერი | 35 | 13 | 6 | 16 | 34:45 | -11 | 45 | 18 | 9 | 4 | 5 | 24:21 | 3 | 31 | 17 | 4 | 2 | 11 | 10:24 | -14 | 14 |
| 13 ნიუკასლი | 33 | 12 | 7 | 14 | 39:46 | -7 | 43 | 15 | 8 | 2 | 5 | 21:16 | 5 | 26 | 18 | 4 | 5 | 9 | 18:30 | -12 | 17 |
| 14 ვესტ ჰემი | 35 | 9 | 12 | 14 | 41:47 | -6 | 39 | 18 | 5 | 6 | 7 | 21:20 | 1 | 21 | 17 | 4 | 6 | 7 | 20:27 | -7 | 18 |
| 15 მიდლსბრო | 35 | 8 | 14 | 13 | 41:40 | 1 | 38 | 17 | 3 | 7 | 7 | 16:20 | -4 | 16 | 18 | 5 | 7 | 6 | 25:20 | 5 | 22 |
| 16 ევერტონი | 35 | 10 | 8 | 17 | 40:54 | -14 | 38 | 17 | 5 | 7 | 5 | 25:24 | 1 | 22 | 18 | 5 | 1 | 12 | 15:30 | -15 | 16 |
| 17 დერბი ქაუნთი | 35 | 9 | 11 | 15 | 34:56 | -22 | 38 | 17 | 8 | 6 | 3 | 21:21 | 0 | 30 | 18 | 1 | 5 | 12 | 13:35 | -22 | 8 |
| 18 ქოვენთრი | 35 | 8 | 9 | 18 | 34:58 | -24 | 33 | 17 | 4 | 6 | 7 | 14:21 | -7 | 18 | 18 | 4 | 3 | 11 | 20:37 | -17 | 15 |
| 19 სიტი | 35 | 7 | 10 | 18 | 38:61 | -23 | 31 | 17 | 3 | 3 | 11 | 18:29 | -11 | 12 | 18 | 4 | 7 | 7 | 20:32 | -12 | 19 |
| 20 ბრედფორდი | 33 | 5 | 9 | 19 | 27:59 | -32 | 24 | 17 | 4 | 6 | 7 | 19:26 | -7 | 18 | 16 | 1 | 3 | 12 | 8:33 | -25 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მ. სტიუარტი (იფსვიჩი) | 19 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 18 |
| ანრი (არსენალი) | 17 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 15 |
| შერინგემი (მანჩესტერ იუნ.) | 15 |
| ჰესკი (ლივერპული) | 14 |

**XXXVI ტური**

28 აპრილი

ჩარლტონი — იფსვიჩი
ქოვენთრი — ლივერპული
დერბი ქაუნთი — არსენალი
ევერტონი — ბრედფორდი
ლიდსი — ჩელსი
სიტი — ვესტ ჰემი
მიდლსბრო — მანჩესტერი
ნიუკასლი — ლესტერი
საუთჰემპტონი — სანდერლენდი
ტოტენჰემი — ასტონ ვილა

## პირველი დივიზიონი

### XLIV ტური

**ვულვერჰემპტონი 0:0 ბლეკბერნი**

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ლესკოტი, ნეილორი, დინინგი, რობინსონი, ენდრიუსი, სინტონი (კამარა 36), ქეცბაია (ემბლენი 54), ნდა, პრუდლოკი
მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი
გაფრთხილება: ქეცბაია, დინინგი, ნდა, რობინსონი, ენდრიუსი
20 018 მაყურებელი

**ბოლტონი 1:0 ნორვიჩი**

1:0 ჰოლდსუორთი (66)

**ბარნლი 0:0 ბირმინგემი**

**ჯილინგემი 1:2 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ჰიუზი (11), 0:2 კლემენტი (18), 1:2 ონურა (35)

**გრიმსბი 0:1 შეფილდ იუნ.**

0:1 ნდლოვუ (42)

**ჰადერსფილდი 2:1 ქუინზ პარკი**

1:0 გორი (33), 1:1 ტომსონი (43), 2:1 ფეისი (90)

**პორტსმუთი 1:1 ფულემი**

1:0 ბრედბერი (10), 1:1 საჰა (78პ)

**პრესტონი 3:2 უოტფორდი**

1:0 ალექსანდერი (25პ), 2:0 მაკენი (34), 2:1 ნოელ-უილიამსი (36), 2:2 ჰელგი (60), 3:2 მაკენი (61)

**შეფილდ უენსდი 2:1 ბარნსლი**

0:1 შიპერლი (18), 1:1 სიბონი (79), 2:1 დონელი (84)

**სტოკპორტი 3:0 ქრიუ**

1:0 ფრედინი (71), 2:0 ნიკოლსონი (83პ), 3:0 უილბრენი (89)

**ტრანმერი 1:1 კრისტალ პალასი**

0:1 ჰოპკინი (24), 1:1 პარკინსონი (47)

**უიმბლდონი 2:1 ნოტინგემი**

1:0 ნილსენი (49), 2:0 კუპერი (69), 2:1 ჯონი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 43 | 29 | 10 | 4 | 87:30 | 97 |
| ბლექბერნი | 42 | 23 | 12 | 7 | 67:36 | 81 |
| ბოლტონი | 43 | 22 | 14 | 7 | 72:44 | 80 |
| ვესტ ბრომვიჩი | 44 | 21 | 10 | 13 | 58:49 | 73 |
| პრესტონი | 43 | 21 | 9 | 13 | 59:49 | 72 |
| ბირმინგემი | 44 | 21 | 9 | 14 | 56:47 | 72 |
| ნოტინგემი | 43 | 20 | 7 | 16 | 53:49 | 67 |
| ბარნლი | 43 | 19 | 9 | 15 | 46:51 | 66 |
| უიმბლდონი | 42 | 17 | 14 | 11 | 66:45 | 65 |
| უოტფორდი | 43 | 19 | 8 | 16 | 72:64 | 65 |
| შეფილდ იუნ. | 44 | 18 | 10 | 16 | 49:48 | 64 |
| ბარნსლი | 44 | 15 | 9 | 20 | 49:58 | 54 |
| ქრიუ | 43 | 15 | 8 | 20 | 43:56 | 53 |
| ვულვზი | 42 | 13 | 12 | 17 | 42:43 | 51 |
| ჯილინგემი | 43 | 12 | 15 | 16 | 59:62 | 51 |
| ნორვიჩი | 44 | 13 | 11 | 20 | 45:58 | 50 |
| გრიმსბი | 43 | 13 | 10 | 20 | 41:57 | 49 |
| უენსდი | 43 | 14 | 7 | 22 | 51:70 | 49 |
| სტოკპორტი | 44 | 10 | 18 | 16 | 55:64 | 48 |
| ჰადერსფილდი | 43 | 11 | 13 | 19 | 45:53 | 46 |
| პორტსმუთი | 43 | 9 | 19 | 15 | 41:52 | 46 |
| კრისტალ პალასი | 43 | 10 | 13 | 20 | 52:66 | 43 |
| ქუინზ პარკი | 44 | 7 | 18 | 19 | 44:71 | 39 |
| ტრანმერი | 43 | 9 | 9 | 25 | 42:72 | 36 |

## მეორე დივიზიონი

44-ე ტური: როთერჰემი — ოქსფორდი 6:2; ლუტონი — ბერი 1:2; ნორთჰემპტონი — კოლჩესტერი 2:0; ნოთსი — ბრისტოლი 2:1; პიტერბრო — ბორნმუთი 1:2; რედინგი — უოლსოლი 2:2; სტოკი — რექსჰემი 3:1; სუონსი — ოლდემი 1:2; უიგანი — როტერჰემი 0:2; უიკომბი — სუინდონი 0:0

## მესამე დივიზიონი

44-ე ტური: ბარნეტი — როჩდეილი 3:0; კარლაილი — ბრაიტონი 0:0; ჩელტენემი — კიდერმინსტერი 1:3; ჩესტერფილდი — ლინკოლნი 1:2; დარლინგტონი — ჰალი 0:2; ექსეტერი — ჰალიფაქსი 0:0; ჰარტლპული — სკანთორპი 1:0; მაკლსფილდი — საუთენდი 1:0; მენსფილდი — ლეიტონი 2:0; პლიმუთი — ტორკი 3:1; შრიუსბერი — ბლექპული 1:0; იორკი — კარდიფი 3:3

# აღარც ჰაუპტვახტი უშველით!




შალკე — ჰერტა. ოლივერ რეკმა სტუმარ ალექს ალვეშს (№7) პენალტი არ გაატანინა

## გერმანია

### XXX ტური

### ფრაიბურგი 5:2 კაიზერსლაუტერნი

1:0 ბუტი (15), 2:0 სელიმი (30), 3:0 ბაია (37), 4:0 ბუტი (39), 5:0 კობიაშვილი (42), 5:1 ჯორკაეფი (49), 5:2 პეტერსონი (69)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, დიარა, კეილი, ა. ცაიერი, ვილი (რამდანე 72), ბაია (კოლი 83), კობიაშვილი, ვ. ბუტი (ტანკო 78), იაშვილი, სელიმი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, კლოსი, რამზი, შტრასერი, ბუკი, გრამოცისი (პეტერსონი 46), რატინიო (ცილი 46), ბიელიცა, ხრისტოვი, ჯორკაეფი, ლოკვენცი (კლოზე 76)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ბაია, ხრისტოვი, კოხი, კლოსი
25 000 მაყურებელი

### ჰანზა 2:1 კიოლნი

1:0 ბენკენი (23), 2:0 მაიაკი (48), 2:1 კურტი (73)
ჰანზა: პიკენჰაგენი, იაკობსონი, ლანგე, ბენკენი, შრედერი, ლანცი, რიდლევიჩი (ცალმანი 88), ვიბრანი, ემარა, სალუ, მაიაკი (არვიდსონი 80)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
კიოლნი: პრიოლი, ბულაიჩი, სინკალა (ჩიკონი 37), სიხონე, შპრინგერი, ვოიგტი, კელერი (ა. არველაძე 68), ლოტმერი, ტიმი, კრეიცი (შერცი 27), კურტი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: რიდლევიჩი, ლანგე, ბენკენი, ვიბრანი, შპრინგერი, ვოიგტი, კურტი
15 200 მაყურებელი

### დორტმუნდი 5:0 ბოხუმი

1:0 რიკენი (18), 2:0 ჰაინრიხი (29), 3:0, 4:0 რეინა (66, 68), 5:0 სტევიჩი (89პ)
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი (ნიიჰაუსი 83), კოლერი, სტევიჩი, ჰაინრიხი (მეცელდერი 83), დედე, რიკენი, როსიცკი, ადო (ნერლინგერი 55), რეინა, ბობიჩი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, სუნდერმანი, შრიოდერი, ტოპლაკი, რაისი, კოლდინგი, სკრაიბერი (კრისტიანსენი 67), შინდცილორცი (დიკჰაუტი 51), ბასტურკი, ფრაიერი, ბუშელი (ბალუშინსკი 33)
მწვრთნელი: როლფ შაფშტალი
გაფრთხილება: როიტერი, შრიოდერი, სურმანი
65 500 მაყურებელი

### ვერდერი 2:3 ვოლფსბურგი

0:1 აკპობორი (29), 1:1 აილტონი (42), 1:2, 1:3 სებესკენი (44, 68), 2:3 პიზარო (84)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი (ლი 61), კრსტაიჩი, აილტსი, ფ. ერნსტი (ბანოვიჩი 46), ფრინგსი, ბოდე (სტალტერი 70), ა. ჰერცოგი, აილტონი, პიზარო
მწვრთნელი: თომას შაფი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, შნური, რაინერი, აკონორი, ჰენგენი, სებესკენი, ვაისერი, მუნტიანუ (მალტრიცი 71), აკპობორი (ს. მიულერი 85), თუსკოვიაკი (რიშე 90)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ბოდე, ფრინგსი, ბაუმანი, კრიგერი, ვაისერი, აკპობორი
32 107 მაყურებელი

### შალკე 3:1 ჰერტა

0:1 დაისლერი (34), 1:1 ბიომე (67), 2:1 ვან ჰუგდალემი (79), 3:1 მპენზა (86)
ალვეშმა ვერ გაიტანა პენალტი (5, მეკარე)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ნემეცი, კამპუისი, ვან ჰუგდალემი, ბოულახრუზი (მაბე 87), მიოლერი, ბიომე, ასამოა (აიგენრაუხი 90), სანდი (მულდერი 88), მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
ჰერტა: კირალი, შმიდტი, ვან ბურიკი, სვერისონი, ჰარტმანი (სიმუნიჩი 69), რემერი, კონსტანტინიდისი, მაასი (პრეეცი 82), ტრეჰოკი (დაეი 82), დაისლერი, ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ბიომე, ჰაიტო, კონსტანტინიდისი, სიმუნიჩი
56 556 მაყურებელი

### აინტრახტი 0:2 ბაიერნი

0:1 შოლი (22), 0:2 ტარნატი (90)
აინტრახტი: ჰაინენი, ბინდევალდი, ბერნსტეინი (სტრაიტი 72), კრახტი, ვიმერი (სობოტჩიკი 60), შური (რაიხენბერგერი 46), პრეისი, ბრანკო, ჰელდტი, გუელ-მინენი, კრიჟალოვიჩი
მწვრთნელი: ფრიდელ რაუში
ბაიერნი: კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ლიზარაზუ, შოლი, პაულო სერჯიო, ციკლერი (დი სალვო 90), სანტა კრუზი (ტარნატი 82)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ბინდევალდი, ციკლერი
57 000 მაყურებელი

### ლევერკუზენი 1:1 ჰამბურგი

0:1 ტოფტინგი (41), 1:1 კირსტენი (44)
ლევერკუზენი: იურიჩი, ლუსიო, რ. კოვაჩი, ჰეიდუკი, პლასენტე, ვრანიეში, ბალაკი, ნოივილი (ბ. შნაიდერი 62), ზე რობერტო, კირსტენი, რინკი (ბერბატოვი 68)
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰოოგმა, პანადიჩი, ჰერჩი, ნ. კოვაჩი, იუფალუში, გროთი (ფუკალი 79), ტოფტინგი, მაჰდავიკია, პრეგერი, ჰაინცი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: კოვაჩი, ჰეიდუკი
გაძევება: ჰეიდუკი (87)
22 500 მაყურებელი

### მიუნხენი 2:1 შტუტგარტი

1:0 მაქსი (12), 1:1 ბალაკოვი (28პ), 2:1 ბაიერლე (56)
მიუნხენი: იენჩი, კურცი, ზელიჩი, ტ. ჰოფმანი, რისეტი, მიუკლანდი (ტისი 56), ბორიმიროვი, ბიროვცკა, ჰესლერი (ტაპალოვიჩი 85), შროტი (ბაიერლე 41), მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
შტუტგარტი: ტ. ერნსტი, თ. შნაიდერი, სოლდო, ბორდონი, კარნელი, კაუფი, ტოდტი, ჯორჯევიჩი (ლისტეში 59), ბალაკოვი, ზაიცი (დუნდი 59), განეა
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კურცი, ზელიჩი, მაქსი, ტისი, ჯორჯევიჩი, ტოდტი, ბალაკოვი, კარნელი, განეა
24 100 მაყურებელი

### კოტბუსი 1:0 უნტერჰახინგი

1:0 ფრანკლინი (57)
კოტბუსი: პიპლიცა, ვატა, ჰუჯდუროვიჩი, მატიუში, აკრაპოვიჩი, ლატუნჯი, რეგეკამპფი (კობილანსკი 80), ვაგრიჩეკი, მირიუტა, ჰელბიგი, ფრანკლინი (ლაბაკი 70)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, გრასოვი, ზაიფერტი, შვარცი (ნოვაკი 82), ჰაბერი, ციმერმანი (ჩიჟეკი 58), ჰირში (რაკლი 69), ობერლაიტნერი, ბრაიტენრაიტერი, ბუგერა
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორენც კიოსტნერი
გაფრთხილება: ჰელბიგი, ფრანკლინი, ბუგერა
17 358 მაყურებელი

**გელზენკირხენის** „შალკე 04“ ჩემპიონის სინს ცალი ხელით წაეპოტინა. დაეუფლება თუ არა ჰუუბ სტევენსის გუნდი ბუნდესლიგის სანატრელ ჯილდოს, დარჩენილი ოთხი ტური გამოაჩენს. ამჟამად კი ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს ეს კლუბია და მიზანს თუ მიაღწევს, ალალიც იქნება.

შაბათს „შალკე“ „შესანიშნავი ექვსეულის“ კიდევ ერთ წარმომადგენელს, ბერლინის „ჰერტას“ დაუპირისპირდა და ისიც „ლევერკუზენის“, „კაიზერსლაუტერნისა“ და „ბაიერნის“ გზას გაუყენა. ეს ოთხი გუნდი სტევენსის შეგირდებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს, ჯამში 14 ბურთი გაიტანეს და მხოლოდ 3 გაუშვეს.

„ჰერტასთან“ მატჩის მეორე ნახევარში „შალკე“ საფეხბურთო გუნდზე მეტად დაჭრილ არწივს ჰგავდა, რომელიც სიცოცხლის გადასარჩენად ბრძოდა. მასპინძლებს ქომაგებმაც აუბეს მხარი და „ვალდშტადიონზე“ ჯოჯოხეთური სიტუაცია გამეფდა, რომელსაც „ჰერტამ“ ვერ გაუძლო. ვერ გაუძლო და კაპიტულაცია გამოაცხადა — ბიომემ, ვან ჰოგდალემმა და მპენზამ „შალკეს“ 3:1 მოაგებინეს. არადა, პირველ ნახევარში ყველაფერი სხვაგვარად იყო. „ჰერტა“ უპირატესობას ფლობდა და ანგარიშიც გახსნა — დაისლერმა წაქცეულმა გაიტანა, სტუმრებს მანამდეც უნდა გაეხარათ, მაგრამ რეკმა გაიბრწყინა — ალვეშს პენალტიც აუღო და მერე დამატებულიც.

„ჩვენ ეს მატჩი შესვენებისას, გასახდელში მოვიგეთ. იქ ისეთი განწყობა დაგვეუფლა, მინდორზე რომ დავბრუნდით, გამარჯვებაში ეჭვი არავის გვეპარებოდა“ — თქვა ემილ მპენზამ ნამატჩევს.

„ვამაყობ, რომ ასეთი გუნდი მყავს“ — შეაქო შეგირდები ჰუუბ სტევენსმა.

„ბოხუმი“, „ვოლფსბურგი“, „შტუტგარტი“ და „უნტერჰახინგი“ — „შალკეს“ ამ გუნდებთანღა დარჩა სათამაშო. კონკურენტებს შორის ყველაზე კარგი კალენდარი აქვს.

„ლევერკუზენში“ ბერტი ფოგტსის დღეები კი დათვლილია, ნებისმიერ დროს შეიძლება გუნდიდან გააგდონ. წინა ტურში, შინ „ფრაიბურგთან“ შერცხვენის (1:3) შემდეგ, ფოგტსმა ფეხბურთელები ყაზარმულ რეჟიმზე გადაიყვანა. ყაზარმა კი არა, გინდ ჰაუპტვახტში ჩასვი, ლევერკუზენელებს არაფერი შველით. ახლაც, „ჰამბურგს“ მხოლოდ ქულას გამორჩნენ. ტიოფტინგის შორიდან გატანილ გოლს კირსტენმა მალე უპასუხა. მეტი კი მასპინძლებმა ვეღარ შეძლეს, არც ეკუთვნოდათ.

„გუნდისგან მეტს ველოდი“ — ესღა გამოსცრა კბილებიდან ხასიათწამხდარმა ფოგტსმა, რომლის „ლევერკუზენის“ საჩემპიონო ამბიციებმა, თამამად შეიძლება ითქვას, ჩაილულის წყალი დალია.

სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერის“ ძლევამ მიუნხენის „ბაიერნი“ მოიყვანა მადაზე. ბავარიელები ფრანკფურტს შეთხელებული შემადგენლობით ეწვივნენ — ეფენბერგი, იერემისი, იანკერი, ელბერი, სანიოლი და კარგა ხნის ტრავმირებული ფინკი არ ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, მეტოქეს ძალიან იოლად გაუსწორდნენ, ალბათ, იმ ლოცვის წყალობითაც, თამაშის დაწყებამდე სამუელ კუფურმა მინდორზევე რომ წაიკითხა. ისე, ამ ფეხბურთელის სახე გერმანიაში ეკრანზე ძალიან ხშირად ჩანს, რაც მისი ხელოვნური სუნთქვის დამსახურებაა. „მანჩესტერთან“ მატჩისას კოულთან შეჯახების მერე გონდაკარგული კანი სწორედ შავკანიანმა მცველმა მოასულიერა. ჰოდა, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში სტუდიაში მიწვეულ ოლივერ კანს ისიც ჰკითხეს, მას მერე მეგობარ გოგონას თქვენთვის ტუჩებში თუ უკოცნიაო.

ამ ამბავს შევეშვათ და „დორტმუნდზე“ ვთქვათ, თუმცა სათქმელი ბევრიც არაფერია. მათიას ზამერის გუნდმა აუტსაიდერ „ბოხუმს“ შინ შავი დღე აყარა — 5:0 მოუგო. გამოსარჩევია მეოთხე გოლისას რიკენის უბრწყინვალესი პასი ნახტომში ქუსლით, რიკენმა რეინა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და... ტურის ულამაზესი გოლიც გავიდა.

„ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს, ბოლო ტურის შემდეგ „შალკეს“ წინ უნდა ვიყოთ. თუ ეს ვერ შევძელით, სეზონს წარუმატებლად ჩავთვლით“ — თქვა ნამატჩევს „დორტმუნდის“ მენეჯერმა მიხაელ მაიერმა.

საბოლოოდ გამოემშვიდობა საჩემპიონო ოცნებებს „კაიზერსლაუტერნი“, რომელიც ბოლო დროს კატასტროფული ანგარიშებით აგებს. ამჯერად ფრაიბურგში გამოაცხადეს ღია კარის დღე ბრემეს შეგირდებმა, რომლებმაც ბოლო 6 თამაშში 25 ბურთი გაუშვეს.

„ფრაიბურგის“ ხუთი გოლიდან ოთხი ქართველების მონაწილეობით გავიდა. მე-15 წუთზე იაშვილმა ბუტი მეკარეს შეატოვა, რუსმაც ანგარიში გახსნა. მერე კელი გაიყვანა კოხთან პირისპირ ქართველმა ფორვარდმა, კელის დარტყმული მეკარემ კი აიღო, მაგრამ ბაიამ დაამატა — 2:0. ცოტა ხანში იაშვილი — ცაიერ — ბაიას კომბინაცია ტუნისელის დუბლით დასრულდა. მერე ბუტმაც შეაგდო, ბოლოს კი კობიაშვილმა გაიბრწყინა, ორი მცველი მოატყუა და კოხი ბოლო ორ კვირაში მეორედ აატირა. პირველად „ლაუტერნის“ მეკარემ ცრემლები 8 აპრილს ღვარა, როცა მისი გუნდი „შალკესთან“ 1:5 დამარცხდა.

როგორც იქნა, მინდორზე ვიხილეთ არჩილ არველაძე, რომელიც ევალდმა სტუმრად „ჰანზასთან“ 68-ე წუთზე შეიყვანა, როცა „კიოლნი“ 0:2-ს აგებდა. ჩვენებური რომ მინდორზე შევიდა, ხუთ წუთში სტუმრებმა ერთი ბურთი გაქვითეს, თუმცა მეტი ვეღარ შეძლეს.

„კოტბუსი“ — „უნტერჰახინგის“ მატჩს კი ერთი გამორჩეული სტუმარი ჰყავდა. გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა შაბათს „კოტბუსის“ შარფი მოისხა და სტადიონზე მივიდა, ეგებ, ჩემს საყვარელ გუნდს ამით მაინც ვუშველოო. კოტბუსელებმაც არ გააწბილეს კანცლერი და ფრანკლინის გოლით დაამარცხეს მეტოქე. შედეგად გასავარდნ ზონას ოდნავ გაეცალნენ.

„ჩემი მოსვლა თუ გინდოდათ, აქამდე გეთქვათ“ — უხუმრია ნამატჩევს ფეხბურთელებთან გასახდელში ჩასულ კანცლერს.

**განო ოქროპირიძე**
**ბერლინიდან**

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სანდი (შალკე) | 20 |
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 19 |
| პიზარო (ვერდერი) | 17 |
| ელბერი (ბაიერნი) | 15 |
| პრეეცი (ჰერტა) | 15 |

### XXXI ტური

27 აპრილი
ვოლფსბურგი — დორტმუნდი
28 აპრილი
შტუტგარტი — ვერდერი
კიოლნი — კოტბუსი
ბაიერნი — ფრაიბურგი
ჰერტა — აინტრახტი
ლაუტერნი — ლევერკუზენი
ბოხუმი — შალკე
29 აპრილი
უნტერჰახინგი — მიუნხენი
ჰამბურგი — ჰანზა

## მეორე ბუნდესლიგა

### XXX ტური

### კიკერსი 0:5 ფიურტი

0:1 შკარაბელა (7), 0:2 ტიური (22), 0:3 ფელგენაუერი (66), 0:4 რუმანი (85), 0:5 რუსისი (89)
ფიურტი: რაიხოლდი, შკარაბელა, რაიტერი, სხორდონე, რუმანი, ვალტერი, სურმანი, ფელგენაუერი, ტიური (რუსისი 63), ამანატიდისი, კიოიო (მესენჰუტლი 71)
მწვრთნელი: გიუნტერ ერკენბრეხერი
6 380 მაყურებელი

### ნიურნბერგი 1:2 ულმი

0:1 რისტიჩი (11), 0:2 უნსოლდი (41), 1:2 დავიდი (46)

### ალენი 1:0 ოსნაბრუკი

1:0 ციმერმანი (10)

### ზანქტ პაული 4:1 ობერჰაუზენი

0:1 ვებერი (3), 1:1 კონეცკე (12), 2:1, 3:1, 4:1 რატი (20, 42, 82)

### არმინია 5:2 ჰანოვერი

1:0, 2:0, 3:0 ვიშნიარეკი (33პ, 34, 51), 3:1 შიმაკი (55პ), 4:1 ვიშნიარეკი (60), 5:1 კლიცპერა (70), 5:2 კაუფმანი (71)

### ალემანია 1:0 მაინცი

1:0 დიანე (30)

### ვალდჰოფი 2:3 ზაარბრიუკენი

1:0 ვატა (10), 2:0 სკელა (34), 2:1 ბლასნეგერი (38), 2:2, 2:3 ხოჯი (74, 90)

### დუისბურგი — მიონხენგლადბახი

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

### როიტლინგენი — ქემნიცი

ხვალ გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 30 | 17 | 5 | 8 | 53:32 | 56 |
| გლადბახი | 29 | 15 | 9 | 5 | 55:28 | 54 |
| ფიურტი | 30 | 14 | 7 | 9 | 50:33 | 49 |
| ზანქტ პაული | 29 | 14 | 7 | 8 | 63:48 | 49 |
| ალენი | 29 | 13 | 8 | 8 | 52:45 | 47 |
| ვალდჰოფი | 30 | 13 | 8 | 9 | 44:41 | 47 |
| ობერჰაუზენი | 30 | 13 | 5 | 12 | 41:41 | 44 |
| დუისბურგი | 28 | 12 | 7 | 9 | 43:32 | 43 |
| ზაარბრიუკენი | 29 | 12 | 7 | 10 | 41:51 | 43 |
| როიტლინგენი | 28 | 12 | 6 | 10 | 54:46 | 42 |
| ჰანოვერი | 30 | 11 | 7 | 12 | 48:42 | 40 |
| ალემანია | 29 | 11 | 6 | 12 | 37:57 | 39 |
| მაინცი | 29 | 9 | 8 | 12 | 33:37 | 35 |
| არმინია | 30 | 8 | 10 | 12 | 47:42 | 34 |
| ოსნაბრუკი | 30 | 8 | 9 | 13 | 34:45 | 33 |
| კიკერსი | 29 | 7 | 10 | 12 | 26:39 | 31 |
| ულმი | 30 | 7 | 7 | 16 | 34:48 | 28 |
| ქემნიცი | 29 | 2 | 6 | 21 | 22:70 | 12 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შალკე | 30 | 16 | 7 | 7 | 57:29 | 28 | 55 | 15 | 10 | 4 | 1 | 29:9 | 20 | 34 | 15 | 6 | 3 | 6 | 28:20 | 8 | 21 |
| 2 ბაიერნი | 30 | 16 | 5 | 9 | 57:35 | 22 | 53 | 15 | 10 | 1 | 4 | 34:19 | 15 | 31 | 15 | 6 | 4 | 5 | 23:16 | 7 | 22 |
| 3 დორტმუნდი | 30 | 15 | 7 | 8 | 54:37 | 17 | 52 | 15 | 9 | 2 | 4 | 31:17 | 14 | 29 | 15 | 6 | 5 | 4 | 24:19 | 5 | 23 |
| 4 ლევერკუზენი | 30 | 15 | 5 | 10 | 51:38 | 13 | 50 | 15 | 9 | 2 | 4 | 29:15 | 14 | 29 | 15 | 6 | 3 | 6 | 22:23 | -1 | 21 |
| 5 ჰერტა | 30 | 16 | 1 | 13 | 53:50 | 3 | 49 | 15 | 10 | 1 | 4 | 34:21 | 13 | 31 | 15 | 6 | 0 | 9 | 19:29 | -10 | 18 |
| 6 ლაუტერნი | 30 | 15 | 4 | 11 | 47:49 | -2 | 49 | 15 | 8 | 3 | 4 | 24:17 | 7 | 27 | 15 | 7 | 1 | 7 | 23:32 | -9 | 22 |
| 7 ფრაიბურგი | 30 | 12 | 10 | 8 | 46:34 | 12 | 46 | 15 | 7 | 5 | 3 | 31:14 | 17 | 26 | 15 | 5 | 5 | 5 | 15:20 | -5 | 20 |
| 8 ვერდერი | 30 | 13 | 7 | 10 | 46:45 | 1 | 46 | 15 | 9 | 3 | 3 | 30:18 | 12 | 30 | 15 | 4 | 4 | 7 | 16:27 | -11 | 16 |
| 9 ვოლფსბურგი | 30 | 11 | 10 | 9 | 54:38 | 16 | 43 | 15 | 7 | 5 | 3 | 34:17 | 17 | 26 | 15 | 4 | 5 | 6 | 20:21 | -1 | 17 |
| 10 კიოლნი | 30 | 11 | 9 | 10 | 50:43 | 7 | 42 | 15 | 7 | 5 | 3 | 28:15 | 13 | 26 | 15 | 4 | 4 | 7 | 22:28 | -6 | 16 |
| 11 მიუნხენი | 30 | 11 | 7 | 12 | 38:50 | -12 | 40 | 15 | 7 | 3 | 5 | 20:23 | -3 | 24 | 15 | 4 | 4 | 7 | 18:27 | -9 | 16 |
| 12 ჰანზა | 30 | 11 | 6 | 13 | 32:42 | -10 | 39 | 15 | 7 | 4 | 4 | 21:20 | 1 | 25 | 15 | 4 | 2 | 9 | 11:22 | -11 | 14 |
| 13 ჰამბურგი | 30 | 9 | 9 | 12 | 52:51 | 1 | 36 | 14 | 7 | 4 | 3 | 29:18 | 11 | 25 | 16 | 2 | 5 | 9 | 23:33 | -10 | 11 |
| 14 კოტბუსი | 30 | 10 | 3 | 17 | 33:45 | -12 | 33 | 16 | 9 | 1 | 6 | 23:18 | 5 | 28 | 14 | 1 | 2 | 11 | 10:27 | -17 | 5 |
| 15 შტუტგარტი | 30 | 7 | 10 | 13 | 38:46 | -8 | 31 | 15 | 7 | 5 | 3 | 28:19 | 9 | 26 | 15 | 0 | 5 | 10 | 10:27 | -17 | 5 |
| 16 უნტერჰახინგი | 30 | 7 | 10 | 13 | 28:48 | -20 | 31 | 15 | 6 | 6 | 3 | 17:14 | 3 | 24 | 15 | 1 | 4 | 10 | 11:35 | -24 | 7 |
| 17 აინტრახტი | 30 | 8 | 5 | 17 | 36:61 | -25 | 29 | 15 | 6 | 3 | 6 | 21:21 | 0 | 21 | 15 | 2 | 2 | 11 | 15:40 | -25 | 8 |
| 18 ბოხუმი | 30 | 7 | 5 | 18 | 28:59 | -31 | 26 | 15 | 5 | 3 | 7 | 18:24 | -6 | 18 | 15 | 2 | 2 | 11 | 10:35 | -25 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაბარსელონური: მეხუთე მოუგებელი




ოსასუნა — ბარსელონა. პამპლონელების სიხარულს დამწუხრებული რივალდო შორიდან შეჰყურებს

## ესპანეთი

### XXXI ტური

**სოსიედადი 3:1 ვალიადოლიდი**

1:0, 2:0 ხაბილონდო (27, 34), 3:0 ტაიფუნი (62), 3:1 პაჩონი (90)

სოსიედადი: ლუის ალბერტო, ფუენტესი, არანსაბალი, ლორენი, ჟულიო სეზარი, დე პედრო (ლოპეს რეკარდე 67), ტაიფუნი, ხაბილონდო, ხაბი ალონსო, იდიაკესი (მიკელ ალონსო 83), იანკაუსკასი (ალბერტო ალეხანდრო 88)

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

ვალიადოლიდი: ბიზარი, პაინცე, გარსია კალვო, სანტამარია, ტორეს გომესი, ანტონიო ლოპესი, ხესუსი (ალბერტო 46), ფერნანდო სალესი (მარკესი 76), ფერნანდო, პაჩონი

მწვრთნელი: პეპე მორე

გაფრთხილება: ტაიფუნი, გარსია კალვო, კამინერო, ბიზარი, ალბერტო, იდიაკესი, ლუის ალბერტო, დე პედრო, ტურიელი, მარკესი

30 000 მაყურებელი

**ოვიედო 0:0 ვალენსია**

ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბორისი, მარტინოვიჩი, დანლუ, ი. ტომიჩი, ამიევა (რაული 85), ივან ანია, გასპარი, ოლი, პაუნოვიჩი (ხენი 80)

მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი

ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ბიორკლუნდი, კარბონი, ანგლომა, მენდიეტა (ალბელდა 82), ანგულო (ზაჰოვიჩი 56), ვისენტე, ბარახა, კარეუ, ხუან სანჩესი (დიეგო ალონსო 76)

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: ამიევა, ტომიჩი, ვისენტე, პელეგრინო, ოლი

გაძევება: პელეგრინო (89)

28 000 მაყურებელი

**ოსასუნა 3:1 ბარსელონა**

1:0 ივან როსადო (20), 1:1 ოვერმარსი (22), 2:1 ალექსი (32), 3:1 ივან როსადო (84)

ოსასუნა: ნუნო, ხოსუე, იანგუსი, ივან პერესი, კრუჩაგა, ხერარდო (ალფონსო 90), ამხელ ლუისი (ლორენსი 62), ლეკუმბერი, განჩედო, ივან როსადო (საბინო 86)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

ბარსელონა: რეინა, სერხი, პუიოლი, გვარდიოლა (დე ლა პენია 46), კოკუ, ოვერმარსი, ხავი, დაბრი (სიმაო 46), ლუის ენრიკე, კლუივერტი (დანი 74), რივალდო

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

გაფრთხილება: კლუივერტი, ანხელ ლუისი, ლუის ენრიკე, ხერარდო, სერხი

გაძევება: სიმაო (63), დე ლა პენია (88), სერხი (90)

18 725 მაყურებელი

**სარაგოსა 2:3 რეალი**

0:1 რაული (16), 1:1 ხუანელე (27), 1:2 რაული (33), 2:2 ჟამელი (60), 2:3 სავიო (67)

სარაგოსა: ხუანმი, ლაინა, აგუადო, პაბლო (გურენკო 46), პაკო ხემესი, მარტინ ველისკა, ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი (პეტერნაკი 85), ხუანელე (ფერონი 78), იორდი

მწვრთნელი: ლუის კოსტა

რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, ელგერა, მაკმანამანი (ფიგუ 66), სავიო (მუნიტისი 87), გუტი, ფლავიო კონსეისაო, სელადესი, რაული

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფთრხილება: ხუანელე, კარანკა, ჟამელი, სელადესი, მაკმანამანი, სალგადო

32 000 მაყურებელი

**სელტა 2:1 დეპორტივო**

0:1 ვალერონი (54), 1:1 ჯოროვიჩი (57), 2:1 მოსტოვოი (68)

სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი, ხუანფრანი, ჯოროვიჩი, ჯოვანელა, მოსტოვოი, ედუ, ვაგნერი, გუსტავო ლოპესი (იაგო 84), კატანია (ხესული 70)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, პელდერი, მაურო სილვა, ფრანი (ვიქტორი 46), ემერსონი (ტურუ ფლორესი 74), დონატო, ვალერონი, მაკაი, დიეგო ტრისტანი (ფერნანდო 61)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: პელდერი, დიეგო ტრისტანი, ველასკო

28 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 3:0 რასინგი**

1:0 როხერი (23), 2:0 სერანო (60), 3:0 როხერი (71)

ესპანიოლი: მორა, კრისტობალი, როტჩენი, დავიდი, ლობო, ველამასანი, სერხიო, გალკა (მორალესი 78), როხერი, მარტინ პოსე (ლარდინი 79), ტამუდო (სერანო 59)

მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი

რასინგი: სებალიოსი, არსენო, მელბერგი, ტაისი, ხუანმა, ესპინია (ხაიმე 78), ისმაელი, მაცონი, მორანი (რუშფელდტი 64), ამავისკა, მანხარინი

მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი

გაფრთხილება: გალკა, ესპინია, ხუანმა, ტამუდო

16 800 მაყურებელი

**ალავესი 1:2 მალაგა**

0:1 ლარაინსარი (23), 0:2 რუფეტე (47), 1:2 ტელიესი (61)

ალავესი: ერერა, იბონ ბეგონია (ხავი მორენო 35), კონტრა, ეგენი, ტელიესი, ჯელი, პაბლო, დესიო (მაგნო 57), ასკოიტია (ვუცკო 59), კრუიფი, ივან ალონსო

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

მალაგა: კონტრერასი, ბრავო, როტეტა, ფერნანდო სანსი, ლარაინსარი, მოვილია, რუფეტე (როხასი 27), სანდრო (ედგარი 74), აგოსტინიო (მუსამპა 65), კანაბალი, დელი ვალდესი

მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი

გაფრთხილება: სანდრო, კრუიფი, კონტრა

13 148 მაყურებელი

**ვილიარეალი 2:2 მალიორკა**

1:0 პალერმო (30), 2:0 ვიქტორი (36), 2:1 კარერასი (51), 2:2 გუიზა (71)

ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, ბერუე, პიკე ალვარესი, ხავი როკა, ბაროს შელოტო (გალვანი 75), ხავი გრასია (ხაიმე 80), ვიქტორი, კალება (კრაიოვეანუ 75), პალერმო

მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე

მალიორკა: ლეო ფრანკო (მიკი 20), ფერნანდო ნინიო, მიგელ სოლერი, ოლაიზოლა, ნადალი, კარერასი, იბაგასა, მარკოსი, ნოვო, ლუკე (კარლოსი 50), ლეო ბიაჯინი (გუიზა 50)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

გაფრთხილება: პალერმო, ოლაიზოლა, მარკოსი, კარერასი

გაძევება: პალერმო (90)

15 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 1:2 ბილბაო**

0:1 ესკურო (21), 0:2 ტიკო (91), 1:2 ლუის სემბრანოსი (93)

რაიო ვალეკანო: კელერი, მინგო, დე კინტანა, ალკასარი (ფერეირა 66), ბალესტეროსი, მაურო (ბოლო 31), მიჩელი (სეტვალსი 23), კვევედო, ლუის სემბრანოსი, პოშნერი, ბოლიჩი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

ბილბაო: ლაფუენტე, ფელიპე, ლარასაბალი, ლაკრუსი, კარლოს გარსია (კუელიარი 71), რიოსი (ლარაინსარი 76), ოსკარ ვალესი, იესტე, ალკისა, ტიკო, ესკურო (კარლოს მერინო 85)

მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო

გაფრთხილება: დე კინტანა, მინგო, სეტვალსი, ლუის სემბრანოსი, ფერეირა, ლარასაბალი

გაძევება: პოშნერი (63)

7 000 მაყურებელი

**ლას პალმასი 1:1 ნუმანსია**

0:1 როსუ (26), 1:1 ელოი (58)

ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, პაკუი, ალვარო, შურერი, ხოსიკო, იარნი, ედუ ალონსო (ელოი 46), ხორხე (პაბლო ლაგო 75), ანხელი, ტურდო (ორლანდო 75), გიარე

მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი

ნუმანსია: რაული, ხაუმე, ანტია, მანელი, პაჩეტა, ნაგორე (ოხედა 76), როსუ, მარინი, ხოსე მანუელი, ინიაკი (პირი 65), ივან პერესი (პაკო მორანი 82)

მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი

გაფრთხილება: ხაუმე, ანხელი, პირი, მარინი, პაკუი, ხორხე, ინიაკი, ნაგორე

16 000 მაყურებელი

„ოსასუნა“, „სელტა“, „ესპანიოლი“, „რაიო ვალეკანო“, „ალავესი“, „ოვიედო“, „ვალიადოლიდი“ — ეს იმ გუნდების ჩამონათვალია, რომლებსაც მადრიდის „რეალი“ დარჩენილ შვიდ ტურში შეხვდება. ჩამონათვალს ახლა ამ კუთხით შევხედოთ — რომლებია აქედან ის ოთხი გუნდი, „რეალის“ დამარცხებას რომ შეძლებს? რატომ ოთხი? აბა, სამიც რომ წააგოს, „რეალი“ მაინც ჩემპიონი ხდება.

იმ ხუთი გუნდიდან, ლიდერს რომ კვალში უდგანან და ჩემპიონთა ლიგის ადგილებისთვის იბრძვიან, ერთმაც ვერ მოიგო. ამათგან ყველაზე მოულოდნელი მაინც „ბარსელონას“ პამპლონაში მარცხი გამოდგა, თუმცა მოულოდნელობა უფრო ისაა, რომ „ბარსელონა“ ზედიზედ მეხუთე თამაშს ვერ იგებს, თორემ სუსტებთან მისი სუსტი თამაში ახალი ხილი არაა — ფრე „ნუმანსიასთან“, წაგება „რასინგთან“, ეს ამ სეზონში მოხდა.

„ბარსელონამ“ თამაში რვა კაცით დაამთავრა, მაგრამ წაგების მიზეზად და თავის გასამართლებლად ეს არ გამოდგება — როცა ივან დე ლა პენია და სერხი მინდვრიდან მიაბრძანეს, კატალონიელთა საქმე მოთავებული იყო. აქვე შევნიშნოთ, რომ დივიზიონის წინა ორ ტურში „ბარსა“ ორ-ორ ბურთიანი სხვაობით აგებდა და ფრეებს მაინც გამოჰკრა ხელი, მაგრამ როდემდე უნდა ყოფილიყო ასე? ისიც ვთქვათ, რომ „ბარსელონამ“ ბოლო სამ ესპანურ შეხვედრაში თერთმეტი გოლი გაუშვა, ხოლო მათგან ბოლო ანუ „ოსასუნას“ მესამე ალექს ფერნანდესმა ხოსე მანუელ რეინას პირდაპირ კუთხურიდან გაუტანა.

გვახსენდება, ადრე „რეალი“ და „ბარსელონა“ ჩიოდნენ, ფეხბურთის ფედერაცია გვძრავსო. ამ ბრალდების გარჩევას ნუ დავიწყებთ და მხოლოდ ის ვთქვათ, რომ იგივე შესაძლოა, „დეპორტივომაც“ გაიმეოროს.

„სელტამ“ თამაშით დაჩაგრა შარშანდელი ჩემპიონი გალისიურ დერბიში და შედეგიც სავსებით სამართლიანია. მაგრამ საქმე ისაა, რომ წინა ტურში „სელტას“ ალექსანდრ მოსტოვოი გაუძევეს და არ უნდა ეთამაშა. რუსი კი მოედანზეც იყო, კარგადაც გაისარჯა და, რაც მთავარია, გამარჯვებისა შეაგდო. მიზეზი ისაა, რომ ფედერაციამ მოსტოვოი შეიბრალა და მატჩის წინ დისკვალიფიკაცია მოუხსნა. ლაკორუნიელებს მსაჯთანაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია, როცა წამატებულ დროში უშედეგოდ ითხოვდნენ პენალტს მასპინძელთა საჯარიმოში ტურუ ფლორესის წაქცევისთვის. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სელტა“ ჯობდა „დეპორტივოს“.

გამარჯვებამ „სელტა“ ერთი საფეხურით აწია და, შესაბამისად, „ალავესი“ დააქვეითა. ვიტორიელთა საშინაო მარცხი „მალაგასთან“ ერთი შეხედვით მოულოდნელია, მაგრამ ბასკები აშკარად დაღლილები ჩანდნენ გადატვირთული კალენდრით — ამ გუნდისთვის ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლა, პრიმერადივიზიონში და უეფას თასზე, ერთობ მძიმე ტვირთია.

ოვიედოს „კარლოს ტარტიერეზე“ 27 ათასი ქომაგი ამაოდ ელოდა გოლს, თუმცა მაინც კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო — „ვალენსიასთან“ არწაგებაც კარგი შედეგია. მომენტები ცოტა იყო. პირველ ტაიმში მასპინძელმა ოლიმ რამდენიმე კარგი შანსი გააცუდა, ხოლო მატჩის ბოლოსკენ სტუმარ დიეგო ალონსოს ჰქონდა ოვიედოელთა დამწუხრების შესაძლებლობა. აი, ეს რამდენიმე მომენტი და სულ ბოლოს მაურისიო პელეგრინოს გაძევება — მეტი არაფერი ყოფილა.

90-ე წუთზე გაძევებული სამი ფეხბურთელი ვახსენეთ და მეოთხეც ვილიარეალელი მარტინ პალერმოა. მისი გუნდი 2:0 უგებდა შინ „მალიორკას“, მათგან პირველი გოლი თავად არგენტინელ გაიტანა, მაგრამ რად გინდა — კუნძულელებმა მეორე ტაიმში კუდი მოიქნიეს და გაათანაბრეს. ამის შემხედვარე პალერმოს კი ნერვებმა უმტყუნეს და ბურთს ხელით შესწვდა — შეგნებულად.

ბომბარდირთა სიის სათავეში ორხელისუფლებიანობაა. აქამდე მესამეადგილოსანმა რაულმა ხავი მორენო ჩამოიტოვა და რივალდოს გაუთანაბრდა.

წინა ტურებში „დეპორტივოს“ და „ბარსელონასთვის“ ოთხი ქულის ამრთმევი „სარაგოსა“ მთელი მატჩი იერიშებზე იყო დაგეშილი, მაგრამ ისე მოხდა, რომ სამჯერ მოუხდა მდევრად ყოფნა. რაულმა ორივე გოლი თავით გაიტანა, ჯერ სავიოს, მერე სტივ მაკმანამანის პასებით. ორით ორზე კი სავიომ ზედ მოედნის კიდეზე დაიიორჩილა ბურთი, კარისკენ გაიჭრა და ზუსტად მოიქნია.

დაბალადგილოსანთაგან აღვნიშნოთ „რეალ სოსიედადის“ გამარჯვება „ვალიადოლიდთან“, რომელმაც ჯონ ტოშაკის გუნდი მეთექვსმეტე ადგილამდე ასწია და გასავარდნთა ზონას ორი ქულით ააცილა. „ვილიარეალი“ კი „ესპანიოლისგან“ ნაგვემ „რასინგთან“ ერთად სტუმრად ჯერაც მოუგებელ გუნდად რჩება.

დიდი ბრძოლა გაიმართა მადრიდის გარეუბან ვალეკანოშიც, სადაც ბილბაოს „ატლეტიკმა“ სეზონში მხოლოდ მეორე საგარეო გამარჯვება მოიპოვა. ამ თამაშში გასული სამი გოლიდან ორი წამატებულ დროში გავიდა.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 31 | 21 | 5 | 5 | 69:32 | 37 | 68 | 15 | 13 | 1 | 1 | 43:11 | 32 | 40 | 16 | 8 | 4 | 4 | 26:21 | 5 | 28 |
| 2 | დეპორტივო | 31 | 17 | 6 | 8 | 60:38 | 22 | 57 | 15 | 12 | 3 | 0 | 36:10 | 26 | 39 | 16 | 5 | 3 | 8 | 24:28 | -4 | 18 |
| 3 | ვალენსია | 31 | 15 | 8 | 8 | 48:25 | 23 | 53 | 16 | 11 | 1 | 4 | 28:9 | 19 | 34 | 15 | 4 | 7 | 4 | 20:16 | 4 | 19 |
| 4 | მალიორკა | 31 | 14 | 11 | 6 | 44:37 | 7 | 53 | 15 | 10 | 4 | 1 | 26:16 | 10 | 34 | 16 | 4 | 7 | 5 | 18:21 | -3 | 19 |
| 5 | ბარსელონა | 31 | 14 | 9 | 8 | 68:50 | 18 | 51 | 15 | 10 | 3 | 2 | 42:19 | 23 | 33 | 16 | 4 | 6 | 6 | 26:31 | -5 | 18 |
| 6 | სელტა | 31 | 13 | 8 | 10 | 43:44 | -1 | 47 | 16 | 9 | 6 | 1 | 26:16 | 10 | 33 | 15 | 4 | 2 | 9 | 17:28 | -11 | 14 |
| 7 | ალავესი | 31 | 13 | 7 | 11 | 49:42 | 7 | 46 | 16 | 9 | 2 | 5 | 27:18 | 9 | 29 | 15 | 4 | 5 | 6 | 22:24 | -2 | 17 |
| 8 | ესპანიოლი | 31 | 13 | 6 | 12 | 40:32 | 8 | 45 | 16 | 8 | 2 | 6 | 22:13 | 9 | 26 | 15 | 5 | 4 | 6 | 18:19 | -1 | 19 |
| 9 | მალაგა | 31 | 13 | 6 | 12 | 50:49 | 1 | 45 | 16 | 8 | 4 | 4 | 27:21 | 6 | 28 | 15 | 5 | 2 | 8 | 23:28 | -5 | 17 |
| 10 | ვილიარეალი | 31 | 12 | 8 | 11 | 46:46 | 0 | 44 | 15 | 6 | 6 | 3 | 24:21 | 3 | 24 | 16 | 6 | 2 | 8 | 22:25 | -3 | 20 |
| 11 | ბილბაო | 31 | 10 | 9 | 12 | 39:44 | -5 | 39 | 15 | 8 | 3 | 4 | 27:18 | 9 | 27 | 16 | 2 | 6 | 8 | 12:26 | -14 | 12 |
| 12 | რაიო ვალეკანო | 31 | 9 | 11 | 11 | 51:54 | -3 | 38 | 16 | 6 | 5 | 5 | 27:22 | 5 | 23 | 15 | 3 | 6 | 6 | 24:32 | -8 | 15 |
| 13 | სარაგოსა | 31 | 8 | 12 | 11 | 47:49 | -2 | 36 | 15 | 7 | 6 | 2 | 35:20 | 15 | 27 | 16 | 1 | 6 | 9 | 12:29 | -17 | 9 |
| 14 | ლას პალმასი | 31 | 10 | 6 | 15 | 31:51 | -20 | 36 | 15 | 7 | 3 | 5 | 15:18 | -3 | 24 | 16 | 3 | 3 | 10 | 16:33 | -17 | 12 |
| 15 | ვალიადოლიდი | 31 | 8 | 11 | 12 | 35:42 | -7 | 35 | 16 | 8 | 6 | 2 | 21:12 | 9 | 30 | 15 | 0 | 5 | 10 | 14:30 | -16 | 5 |
| 16 | ოვიედო | 31 | 9 | 6 | 16 | 38:55 | -17 | 33 | 16 | 8 | 5 | 3 | 34:23 | 11 | 29 | 15 | 1 | 1 | 13 | 4:32 | -28 | 4 |
| 17 | სოსიედადი | 31 | 8 | 9 | 14 | 39:60 | -21 | 33 | 16 | 5 | 6 | 5 | 23:26 | -3 | 21 | 15 | 3 | 3 | 9 | 16:34 | -18 | 12 |
| 18 | ოსასუნა | 31 | 7 | 10 | 14 | 36:47 | -11 | 31 | 16 | 4 | 7 | 5 | 21:22 | -1 | 19 | 15 | 3 | 3 | 9 | 15:25 | -10 | 12 |
| 19 | რასინგი | 31 | 8 | 6 | 17 | 38:52 | -14 | 30 | 15 | 8 | 3 | 4 | 26:19 | 7 | 27 | 16 | 0 | 3 | 13 | 12:33 | -21 | 3 |
| 20 | ნუმანსია | 31 | 7 | 8 | 16 | 31:53 | -22 | 29 | 15 | 5 | 5 | 5 | 18:20 | -2 | 20 | 16 | 2 | 3 | 11 | 13:33 | -20 | 9 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რივალდო (ბარსელონა) | 19 |
| რაული (რეალი) | 19 |
| ხავი მორენო (ალავესი) | 18 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 17 |
| კატანია (სელტა) | 15 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 14 |

### XXXII ტური

28-29 აპრილი

ვალენსია — ვალიადოლიდი
მალაგა — ოვიედო
ბილბაო — ალავესი
რასინგი — რაიო ვალეკანო
დეპორტივო — ესპანიოლი
ბარსელონა — სელტა
რეალი — ოსასუნა
მალიორკა — სარაგოსა
ნუმანსია — ვილიარეალი
ლას პალმასი — სოსიედადი

## მეორე დივიზიონი

### XXXIV ტური

**ლეგანესი 0:0 ხაენი**

**ტენერიფე 2:0 უნივერსიდადი**

1:0 პიერი (86), 2:0 ლუის გარსია (90)

**ხეტაფე 1:1 ელჩე**

0:1 სერბანი (17), 1:1 ფაიზულინი (42)

**სევილია 1:1 ბეტისი**

1:0 ტევენეტი (30), 1:1 კასასი (47)

**ეიბარი 2:1 ატლეტიკო**

1:0 ლენისი (27), 2:0 არენასა (36), 2:1 სალვა (72)

**მურსია 0:0 ბადახოსი**

**სალამანკა 1:1 ფეროლი**

0:1 ფრან ნოგეირა (9), 1:1 პიკე მარტინი (15)

**ლეიდა 1:2 კომპოსტელა**

0:1 იაკობო (5), 1:1 ოსკარ ალვარესი (8), 1:2 ბელიდო (47)

**ალბასეტე 0:2 უელვა**

0:1 ოსკარ არიასი (23), 0:2 სოტო (68)

**სპორტინგი 1:2 ლევანტე**

1:0 მანელი (46), 1:1 დესკარგა (49), 1:2 როა (76)

**ესტრემადურა 1:0 კორდობა**

1:0 ისმაელი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 34 | 18 | 9 | 7 | 51:31 | 63 |
| ტენერიფე | 34 | 17 | 9 | 8 | 50:27 | 60 |
| ბეტისი | 34 | 16 | 11 | 7 | 35:24 | 59 |
| უელვა | 34 | 13 | 17 | 4 | 38:21 | 56 |
| ატლეტიკო | 34 | 15 | 10 | 9 | 49:34 | 55 |
| ალბასეტე | 34 | 14 | 11 | 9 | 35:31 | 53 |
| სპორტინგი | 34 | 13 | 10 | 11 | 44:40 | 49 |
| ლევანტე | 34 | 11 | 15 | 8 | 42:36 | 48 |
| სალამანკა | 34 | 14 | 6 | 14 | 38:38 | 48 |
| ესტრემადურა | 34 | 13 | 7 | 14 | 33:38 | 46 |
| ეიბარი | 34 | 10 | 15 | 9 | 25:22 | 45 |
| ბადახოსი | 34 | 9 | 18 | 7 | 28:27 | 45 |
| კორდობა | 34 | 11 | 12 | 11 | 30:30 | 45 |
| ხაენი | 34 | 11 | 12 | 11 | 23:32 | 45 |
| მურსია | 34 | 10 | 12 | 12 | 46:47 | 42 |
| ლეგანესი | 34 | 8 | 17 | 9 | 38:34 | 41 |
| კომპოსტელა | 34 | 10 | 8 | 16 | 33:55 | 38 |
| ფეროლი | 34 | 8 | 12 | 14 | 36:42 | 36 |
| ელჩე | 34 | 7 | 14 | 13 | 33:44 | 35 |
| ხეტაფე | 34 | 8 | 9 | 17 | 35:49 | 33 |
| უნივერსიდადი | 34 | 4 | 15 | 15 | 23:45 | 27 |
| ლეიდა | 34 | 4 | 11 | 19 | 30:48 | 23 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## სამხრეთ ამერიკა

# ლეაო დარჩენილებს ენდობა

**ადრეც** ვწერდით, რომ ეკვადორთან სამარცხვინოდ წაგების შემდეგ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ემერსონ ლეაო დაიმუქრა, გუნდში რევოლუციურ ცვლილებებს მოვახდენო. დაიმუქრა და აასრულა კიდეც — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პერუელთა წინააღმდეგ ლეაოს შვიდი დებიუტანტი ეყოლება, ხოლო ლეგიონერთაგან მხოლოდ სამი ფეხბურთელი გამოიძახა. სხვებთან ერთად ნაკრების კარი მიუხურეს რივალდოს და რობერტო კარლოსს. ლეაოს თქმით, მათ ნდობის ლიმიტი ამოწურეს.


ემერსონ ლეაო

ემერსონ ლეაო ბეწვის ხიდზე გადადის, რომლის მეორე ბოლოშიც ბრაზილიელ ფანატიკოს ქომაგთა არმია დგას დანებმომარჯვებული. ისინი სიამოვნებით გადაჭრიან ბაგირს, თუ ბრაზილიამ პერუსთან წააგო. ამის წინაპირობები არსებობს. ეკვადორთან წაგების შემდეგ ისინი სან პაულუს „მორუმბიზე" შეიკრიბნენ და ბრაზილიის დროშა ნაფლეთებად აქციეს. ბრაზილია პერუს სწორედ ამ სტადიონზე უმასპინძლებს.

თუმცა ემერსონ ლეაოს იმით შეუძლია თავის დამშვიდება, რომ ჯოხი ბარტო მასზე არ ტყდება. მეტიც, ფეხბურთელებს მწვრთნელზე მეტად აგინებენ, რისი შედეგიცაა ლეგიონერთა ნაკრებიდან გაშვება.

როგორც ვთქვით, „ევროპელ" ბრაზილიელთაგან მიწვეული მხოლოდ სამია. ესენი ლევერკუზენელი ლუსიო, ლიონელი ედმილსონი და სენჟერმენელი ვამპეტა არიან. რაც შეეხებათ ახალწვეულებს, მათი სახელები ჯერჯერობით არაფერს გვეუბნება.

ქომაგთაგან ფეხბურთელთა ლანძღვას პროფესიონალებიც უბამენ მხარს. ზიკომ თქვა, ამათ რომ ვუყურებ, სამსახურებში ხალხს რომ სძინავს და თავზე თუ არ დაადექი, არ მუშაობენ, ეგ მახსენდებაო. ლეაოს კი მაინც სჯერა, რომ ბრაზილია მეტად აღარ შერცხვება. „ვიყოთ ოპტიმისტები, წარმოუდგენელია, რომ ბრაზილიამ ზედიზედ ორი თამაში წააგოს" — ამბობს მწვრთნელი.

ბრაზილიელებს ქომაგები, ცხადია, ცუდი თამაშისთვის აგინებენ, თორემ ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა რომ არ დარჩება, ეჭვი გამოუსწორებელ პესიმისტებსაც არ ეპარებათ. აი, პერუელთა კორეა-იაპონიაში მოხვედრა კი ერთობ სათუოა.

წინა მატჩებში ასე იყო — პერუ შემტევ ფეხბურთს თამაშობდა, მაგრამ გოლების გატანა უჭირდა. ფაქტობრივად, პერუელთა გამარჯვების შანსი იმაზეა დამოკიდებული, წაუვა თუ არა თამაში მათ მეგოლე კლაუდიო პიზაროს. ვერდერელი თავდამსხმელი ბუნდესლიგის ბომბარდირთა შორის ჩვიდმეტი გოლით მესამეა, მაგრამ ნაკრებში ბედი არ სწყალობს და წინა თერთმეტ მატჩში ოდენ ერთხელ გაიტანა. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ პიზაროს პასის მიმწოდებელი არ ჰყავს.



ეკვადორელთა მწვრთნელი ერნან დარიო გომესი ჩინებულ ხასიათზეა

სანპაულურ მატჩამდე 23 საათითა და 45 წუთით ადრე სანტიაგოში ჩილე ურუგვაის დაუხვდება. მასპინძლებს, რომლებიც ამ ციკლში, ყველას გასაოცრად, ძალიან ცუდად თამაშობენ, მინდორზე გასვლა ლამის მეორე შემადგენლობით მოუხდებათ. რეინალდო ნავია, ხორხე ვარგასი, რიკარდო როხასი და მიგელ რამირესი დისკვალიფიცირებულები არიან, ხოლო მარსელო სალასი დაშავებულია.

ურუგვაის, რომელიც მარტში პარაგვაისთან საშინაო მარცხმა მეექვსე ადგილამდე დააქვეითა, იუვენტუსელი პაოლო მონტერო არ ეყოლება, რადგან პარაგვაისთან შეხვედრაში მეორე ყვითელ ბარათს გამოჰკრა ხელი.

ურუგვაის სამი ქულით უსწრებს კოლუმბია და ხვალ ესტუმრება ვენესუელას. ვენესუელელთა კლასზე ლაპარაკიც არ ღირს, ხოლო კოლუმბიელთა შემადგენლობაში მიწვეულია „ბოკა ხუნიორსის" კაპიტანი ხორხე ბერმუდესი, რომელსაც თითქმის ერთი წელია, ნაკრების მაისურა აღარ მოურგია. ბერმუდესი მწვრთნელმა ლუის გარსიამ შარშან ივნისში არგენტინასთან 1:3 წაგების შემდეგ აითვალწუნა. კოლუმბიელებს ვენესუელასთან მეკარე ოსკარ კორდობა დააკლდება, რომელიც ბერმუდესის თანაგუნდელია — იგი დაშავებულია.

ეკვადორი მთის კენწეროზე, კიტოში მიიღებს პარაგვაის და ეცდება, პირველად თავის ისტორიაში გააღწიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე, რაც წარმოუდგენლად სულაც არ ჩანს. ისიც აღვნიშნოთ, რომ ეკვადორი ბრწყინვალედ თამაშობს შინ, სადაც ექვსი მატჩიდან ხუთი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა.

პარაგვაის მსგავსად, არგენტინელებსაც ძალიან მაღლა მოუწევთ ასვლა — ბოლივიურ ლა პასში, ზღვის დონიდან 3600 მეტრის სიმაღლეზე. არგენტინელებს ბოლივიელთაგან ძველი წყენაც ახსოვთ, ლა პასში მათი ბოლო სტუმრობა მარცხით დასრულდა და ახლაც თუ ვერ მოიგეს, მით უმეტეს, ბატისტუტა არ ეყოლებათ, დიდად არც ინაღვლებენ — საეჭვოა, ვინმე პირველობაში შეეცილოთ. თუმცა რატომ ვერ უნდა მოიგონ?

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 11 | 9 | 1 | 1 | 27:8 | 28 |
| პარაგვაი | 11 | 7 | 2 | 2 | 19:9 | 23 |
| ბრაზილია | 11 | 6 | 2 | 3 | 21:10 | 20 |
| ეკვადორი | 11 | 6 | 1 | 4 | 13:13 | 19 |
| კოლუმბია | 11 | 5 | 3 | 3 | 10:7 | 18 |
| ურუგვაი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:8 | 15 |
| პერუ | 11 | 3 | 2 | 6 | 10:14 | 11 |
| ჩილე | 11 | 3 | 1 | 7 | 12:16 | 10 |
| ბოლივია | 11 | 2 | 3 | 6 | 5:16 | 9 |
| ვენესუელა | 11 | 1 | 0 | 10 | 5:33 | 3 |

## ჰოლანდია

XXIX ტური

**როდა 1:0 სპარტა**

1:0 სოტერსი (83)

**ბრედა 0:0 ალკმარი**

**გრააფსხაპი 4:0 ტვენტე**

1:0, 2:0 პრომისი (32, 39), 3:0 ბეელენკამპი (83), 4:0 ვან დენ ბრომი (84)

**გრონინგენი 2:0 როზენდალი**

1:0 რობენი (15), 2:0 დრენტი (43)

**ჰერენვენი 6:1 სიტარდი**

1:0 ლურლინგი (13), 2:0 ტალანი (16), 3:0 ლურლინგი (20), 4:0, 5:0 ოლბოკი (42, 55), 5:1 ვან დენ ჰოვენი (72), 6:1 ჰანსმა (89)

**ფეიენოორდი 3:0 ნაიმეგენი**

1:0, 2:0 ტომასონი (11, 16), 3:0 სმოლარეკი (83)

**პსვ ეინდჰოვენი 3:1 ვალვაიკი**

1:0 კეჟმანი (26), 1:1 გუდიონსონი (53), 2:1 ლუსიუსი (80), 3:1 ვან ბომელი (82)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ჰოფლანდი, ფაბერი, ლუსიუსი, ფოგელი, ვან ბომელი, ბუმა, რომედალი (კოლკა 71), ბრუგინკი (დე იონგი 78), კეჟმანი, ვან ნისტელროი (ბახოძე 78)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

30 000 მაყურებელი

**უტრეხტი 1:0 ტილბურგი**

1:0 ტანგე (8)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 29 | 21 | 7 | 1 | 60:17 | 70 |
| ფეიენოორდი | 29 | 19 | 2 | 8 | 58:28 | 59 |
| როდა | 29 | 15 | 7 | 7 | 51:33 | 52 |
| აიაქსი | 28 | 15 | 6 | 7 | 70:33 | 51 |
| ვალვაიკი | 29 | 13 | 10 | 6 | 39:26 | 49 |
| ვიტესი | 28 | 13 | 8 | 7 | 46:38 | 47 |
| უტრეხტი | 28 | 13 | 6 | 9 | 43:39 | 45 |
| ჰერენვენი | 28 | 10 | 11 | 7 | 44:33 | 41 |
| ტილბურგი | 29 | 11 | 8 | 10 | 49:43 | 41 |
| ბრედა | 28 | 11 | 7 | 10 | 36:38 | 40 |
| ნაიმეგენი | 29 | 8 | 13 | 8 | 33:40 | 37 |
| გრონინგენი | 29 | 8 | 7 | 14 | 33:43 | 31 |
| ალკმარი | 29 | 8 | 7 | 14 | 37:52 | 31 |
| ტვენტე | 28 | 7 | 9 | 12 | 38:55 | 30 |
| გრააფსხაპი | 29 | 8 | 3 | 18 | 38:58 | 27 |
| სიტარდი | 29 | 6 | 6 | 17 | 23:55 | 24 |
| სპარტა | 29 | 6 | 5 | 18 | 38:61 | 23 |
| როზენდალი | 29 | 4 | 2 | 23 | 34:78 | 14 |

## პორტუგალია

XXIX ტური

**ფეირეირა 2:1 მარიტიმუ**

1:0 რიბეირუ (13პ), 2:0 ევერალდუ სილვა (20), 2:1 ჰ. იოკანოვიჩი (36)

**ბენფიკა 1:0 გიმარაეში**

1:0 საბრი (30)

**ამადორა 1:2 ალვერკა**

1:0 გაუჩო გომეში (5), 1:1 რამირესი (36), 1:2 მანტორაში (61)

**ბეირა მარი 3:2 სალგეიროში**

0:1 მორაიში (29), 1:1 რიკარდუ სოუზა (45), 1:2 ბ. ალმეიდა (57), 2:2 ლობაუ (64პ), 3:2 რიკარდუ სოუზა (83)

**ლეირია 1:0 ჟილ ვისენტე**

1:0 ბირლუ (36პ)

**პორტუ 4:0 ავეში**

1:0 ნუნუ კაპუშუ (4), 2:0 ანდრადე (36), 3:0, 4:0 დომინგუში (87, 90)

**ბოავიშტა 1:0 სპორტინგი**

1:0 მარტელინიუ (89)

**ბრაგა 4:0 კამპომაიორენსე**

1:0 ლუჩენა (45), 2:0 ზე რობერტუ (59), 3:0 ლუჩენა (77), 4:0 ზე რობერტუ (89)

**ბელენენსეში — ფარენსე**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 29 | 19 | 8 | 2 | 51:16 | 65 |
| პორტუ | 29 | 19 | 4 | 6 | 57:23 | 61 |
| სპორტინგი | 29 | 17 | 4 | 8 | 50:32 | 55 |
| ბრაგა | 29 | 15 | 9 | 5 | 51:35 | 54 |
| ბენფიკა | 29 | 15 | 7 | 7 | 49:31 | 52 |
| ლეირია | 29 | 12 | 10 | 7 | 35:33 | 46 |
| ბელენენსეში | 28 | 12 | 8 | 8 | 33:27 | 44 |
| ბეირა მარი | 29 | 12 | 6 | 11 | 36:40 | 42 |
| ფერეირა | 29 | 10 | 11 | 8 | 37:30 | 41 |
| სალგეიროში | 29 | 12 | 3 | 14 | 35:43 | 39 |
| ფარენსე | 28 | 9 | 9 | 10 | 30:34 | 36 |
| ალვერკა | 29 | 10 | 6 | 13 | 38:44 | 36 |
| მარიტიმუ | 29 | 9 | 7 | 13 | 27:33 | 34 |
| ჟილ ვისენტე | 29 | 7 | 6 | 16 | 25:37 | 27 |
| გიმარაეში | 29 | 6 | 8 | 15 | 35:47 | 26 |
| კამპომაიორენსე | 29 | 5 | 11 | 13 | 26:50 | 26 |
| ავეში | 29 | 3 | 8 | 18 | 21:55 | 17 |
| ამადორა | 29 | 3 | 5 | 21 | 22:48 | 14 |

## საფრანგეთი

თასის ნახევარფინალი

**ამიენი (III) 0:0 (პენ. 4:2) ტრუა**

**სტრასბური 4:1 ნანტი**

## ბელგია

XXX ტური

**ბრიუგე 1:0 შარლერუა**

1:0 მენდოსა (57)

**ბეერსხოტი 3:1 ანტვერპენი**

1:0 პააგდორენი (14), 2:0 დაგანო (34პ), 2:1 ფატოკანი (74), 3:1 სევერენსი (77)

**აალსტი 1:2 ვესტერლო**

1:0 დე ვილდე (4), 1:1, 1:2 პელიჩი (21, 60)

აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, დე სადელერი (ვან დენ ბოში 69), არტსი, ეტჩი ობენი, ტემერმანი, რეიჯელი, კესტენსი (ჰერმანსი 69), ალბრეხტი (ჟეკობსი 56), დე ვილდე, ტიბო

მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი

4 000 მაყურებელი

**მეხელენი 2:2 ბევერენი**

1:0 ელიასი (37), 1:1 ვლამინკი (64), 1:2 სმიდი (70), 2:2 ვან ჰუტი (90)

**სტანდარდი 3:2 ლიერსი**

1:0 პრონსინეჩკი (83), 2:0 მორნარი (51), 3:0 დრაგუტინოვიჩი (53), 3:1 კავენსი (83), 3:2 ვან დოორენი (88)

ლიერსი: დემანი, ლაერემანსი, ჰოფკენსი, ვან მეირი, შოთი ლაძე, სომერსი, კლაესი, ლეენი, კავენსი, ვან დოორენი

მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

გაფრთხილება: შოთი ლაძე

გაძევება: შოთი ლაძე (39)

12 000 მაყურებელი

**ლოკერენი 2:2 გენკი**

0:1 დი გრეგორიო (33), 0:2 ტიისი (60პ), 1:2, 2:2 იანსენსი (80, 85)

**მუსკრონი 2:2 გენტი**

1:0 ბაკადალი (38), 1:1, 1:2 ჰოსამი (53, 75), 2:2 ბაკადალი (87)

**სენტ ტრუიდენი 1:1 ჰარელბეკე**

1:0 მბონაბუკია (73), 1:1 მედვედი (90)

**ლუვიე 0:1 ანდერლეხტი**

0:1 რაძინსკი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 30 | 21 | 8 | 1 | 74:24 | 71 |
| ბრიუგე | 30 | 20 | 9 | 1 | 74:23 | 69 |
| სტანდარდი | 30 | 15 | 10 | 5 | 67:36 | 55 |
| ბეერსხოტი | 30 | 16 | 3 | 11 | 55:40 | 51 |
| გენტი | 30 | 14 | 8 | 8 | 51:43 | 50 |
| ლოკერენი | 30 | 13 | 9 | 8 | 45:37 | 48 |
| ვესტერლო | 30 | 13 | 8 | 9 | 52:45 | 47 |
| მუსკრონი | 30 | 13 | 7 | 10 | 57:45 | 46 |
| ლიერსი | 30 | 12 | 6 | 12 | 42:40 | 42 |
| შარლერუა | 30 | 12 | 5 | 13 | 45:52 | 41 |
| გენკი | 30 | 10 | 8 | 12 | 40:41 | 38 |
| ანტვერპენი | 30 | 10 | 5 | 15 | 34:43 | 35 |
| ბევერენი | 30 | 8 | 8 | 14 | 26:54 | 32 |
| სენტ ტრუიდენი | 30 | 6 | 7 | 17 | 29:48 | 25 |
| აალსტი | 30 | 6 | 7 | 17 | 28:59 | 25 |
| ჰარელბეკე | 30 | 7 | 4 | 19 | 33:72 | 25 |
| ლუვიე | 30 | 4 | 11 | 15 | 25:49 | 23 |
| მეხელენი | 30 | 4 | 9 | 17 | 37:63 | 21 |

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აფრიკა

V ტური

**I ჯგუფი**

**ზამბია 1:1 ანგოლა**

**კამერუნი 1:0 ლიბია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 5 | 5 | 0 | 0 | 10:0 | 15 |
| ანგოლა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| ზამბია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| ტოგო | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| ლიბია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | 1 |

**II ჯგუფი**

**სიერა ლეონე 1:0 ნიგერია**

**ლიბერია 2:0 სუდანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 12 |
| სუდანი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:5 | 9 |
| ნიგერია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:3 | 7 |
| განა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| სიერა ლეონე | 5 | 1 | 0 | 4 | 1:10 | 3 |

**III ჯგუფი**

**სენეგალი 3:0 ალჟირი**

**მაროკო 3:0 ნამიბია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენეგალი | 5 | 2 | 3 | 0 | 8:1 | 9 |
| მაროკო | 5 | 2 | 3 | 0 | 5:1 | 9 |
| ეგვიპტე | 4 | 1 | 3 | 0 | 6:3 | 6 |
| ალჟირი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| ნამიბია | 5 | 0 | 2 | 3 | 1:9 | 2 |

**IV ჯგუფი**

**კოტ დივუარი 2:0 კონგო**

**კონგოს დრ 1:0 მადაგასკარი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| კოტ დივუარი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 10 |
| კონგოს დრ | 5 | 2 | 0 | 3 | 4:11 | 6 |
| მადაგასკარი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:5 | 3 |
| კონგო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

**V ჯგუფი**

**ბურკინა ფასო 4:2 მალავი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 9 |
| ზიმბაბვე | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბურკინა ფასო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| მალავი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |

## შვეიცარია

A ჯგუფი

II ეტაპი. VIII ტური

**სიონი 1:1 ციურიხი**

0:1 ჩაველაშვილი (9), 1:1 სირუფო (28)

ციურიხი: პასკოლო, ჟენერე, ფიშერი, ჩინაბა, კვენტინი, კებე, დუგლასი, დოს სანტუში (დელ სინიორე 46), ჯამარაული (მარაცი 77), ბიულმანი, ჩაველაშვილი (აკალე 72)

მწვრთნელი: ჟილბერ გრესი

7 600 მაყურებელი

**ლუგანო 4:1 ლოზანა**

0:1 შელიბიუკი (3), 1:1 გიმენეზი (31), 2:1 გასპოზი (36), 3:1 ბასტიდა (73), 4:1 გიმენეზი (90)

**გრასჰოპერი 4:3 სერვეტი**

1:0 ბატურინა (8), 2:0 ნუნიესი (21), 3:0 შაპუიზა (49), 3:1 პეტროვი (59), 3:2 ლაშორი (66), 4:2 შაპუიზა (81), 4:3 ობრადოვიჩი (90)

**სენტ გალენი 3:2 ბაზელი**

1:0 ცვისიგი (29), 2:0 ნიქსონი (46), 2:1 ჰუგელი (58), 2:2 ჰ. იაკინი (82), 3:2 ზელვეგერი (94)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 8 | 4 | 1 | 3 | 15:15 | 33 |
| ლუგანო | 8 | 3 | 2 | 3 | 14:12 | 32 |
| გრასჰოპერი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:7 | 32 |
| ციურიხი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:5 | 28 |
| ბაზელი | 8 | 2 | 4 | 2 | 9:9 | 27 |
| სერვეტი | 8 | 3 | 1 | 4 | 15:12 | 27 |
| ლოზანა | 8 | 2 | 2 | 4 | 8:18 | 26 |
| სიონი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | 25 |

II ეტაპზე ქულები განახევრებულია

## თურქეთი

29-ე ტური: რიზე — გალათასარაი 2:4; გენჩლერბირლიგი — ისთანბული 3:0; იეთფა — ქოჯაელი 4:3; ანთალია — ერზერუმი 1:0; იოზგათი — ბურსა 1:0; ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი 4:3; ადანა — ტრაბზონი 1:7; დენიზლი — ანკარაგიუჯიუ 2:0; ბეშიქთაში — სამსუნი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 29 | 20 | 4 | 5 | 73:35 | 64 |
| გალათასარაი | 29 | 20 | 4 | 5 | 64:30 | 64 |
| გაზიანთეფი | 29 | 17 | 7 | 5 | 59:34 | 58 |
| ბეშიქთაში | 29 | 17 | 5 | 7 | 57:42 | 56 |
| ტრაბზონი | 29 | 14 | 6 | 9 | 62:44 | 48 |
| ანკარაგიუჯიუ | 29 | 13 | 8 | 8 | 52:48 | 47 |
| სამსუნი | 29 | 12 | 7 | 10 | 46:41 | 43 |
| დენიზლი | 29 | 11 | 8 | 10 | 44:46 | 41 |
| გენჩლერბირ. | 29 | 12 | 3 | 14 | 37:43 | 39 |
| რიზე | 29 | 11 | 5 | 13 | 39:39 | 38 |
| ისთანბული | 29 | 10 | 7 | 12 | 42:49 | 37 |
| იოზგათი | 29 | 9 | 9 | 11 | 41:41 | 36 |
| ბურსა | 29 | 9 | 7 | 13 | 45:51 | 34 |
| ქოჯაელი | 29 | 8 | 10 | 11 | 43:50 | 34 |
| ანთალია | 29 | 9 | 7 | 13 | 40:49 | 34 |
| ერზერუმი | 29 | 5 | 4 | 20 | 30:68 | 19 |
| იეთფა | 29 | 4 | 6 | 19 | 39:70 | 18 |
| ადანა | 29 | 2 | 9 | 18 | 40:73 | 15 |

## ჩეხეთი

25-ე ტური: სპარტა — ბოჰემიანსი 1:0; ჟიჟკოვი — ბუდეიოვიცე 2:0; ბრნო — სლავია 0:2; ხანიკი — ლიბერეცი 0:1; იაბლონეცი — ბლშანი 0:2; სიგმა — სინოტი 3:2; ტეპლიცე — პლზენი 5:1; პრჟიბრამი — დრნოვიცე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 24 | 18 | 3 | 3 | 59:24 | 57 |
| სიგმა | 25 | 12 | 8 | 5 | 44:30 | 44 |
| პრჟიბრამი | 25 | 11 | 8 | 6 | 34:23 | 41 |
| ჟიჟკოვი | 25 | 11 | 8 | 6 | 38:33 | 41 |
| სლავია | 25 | 10 | 10 | 5 | 38:27 | 40 |
| ტეპლიცე | 25 | 12 | 3 | 10 | 41:29 | 39 |
| ლიბერეცი | 25 | 11 | 5 | 9 | 35:29 | 38 |
| დრნოვიცე | 25 | 9 | 7 | 9 | 28:28 | 34 |
| სინოტი | 24 | 7 | 9 | 8 | 32:30 | 30 |
| ბოჰემიანსი | 25 | 7 | 9 | 9 | 29:32 | 30 |
| ბლშანი | 25 | 7 | 8 | 10 | 23:29 | 29 |
| იაბლონეცი | 25 | 7 | 8 | 10 | 21:32 | 29 |
| ბრნო | 25 | 7 | 5 | 13 | 21:30 | 26 |
| ხანიკი | 25 | 6 | 8 | 11 | 25:37 | 26 |
| ბუდეიოვიცე | 25 | 5 | 7 | 13 | 29:50 | 22 |
| პლზენი | 25 | 3 | 6 | 16 | 22:56 | 15 |

## პოლონეთი

21-ე ტური: გროცლინი — ამიცა 1:1; ზაგლებე — გურნიკი 2:2; ვისლა — ოდრა 2:1; პლოცკი — პოლონია 0:1; რუხი — სტომილი 4:1; რადომიაკოვი — ვიძევი 1:0; შლიონსკი — კატოვიცე 0:1; ლეგია — პოგონი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 21 | 14 | 4 | 3 | 49:18 | 46 |
| ლეგია | 21 | 11 | 7 | 3 | 33:17 | 40 |
| პოგონი | 21 | 12 | 4 | 5 | 32:20 | 40 |
| პოლონია | 21 | 11 | 4 | 6 | 29:18 | 37 |
| კატოვიცე | 21 | 7 | 10 | 4 | 22:14 | 31 |
| ზაგლებე | 21 | 9 | 3 | 9 | 32:29 | 30 |
| ამიცა | 21 | 8 | 5 | 8 | 36:34 | 29 |
| რუხი | 21 | 8 | 4 | 9 | 31:32 | 28 |
| ვიძევი | 21 | 7 | 5 | 9 | 27:34 | 26 |
| ოდრა | 21 | 7 | 5 | 9 | 24:32 | 26 |
| გროცლინი | 21 | 6 | 7 | 8 | 23:25 | 25 |
| გურნიკი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:26 | 23 |
| შლიონსკი | 21 | 6 | 5 | 10 | 21:28 | 23 |
| სტომილი | 21 | 6 | 4 | 11 | 17:32 | 22 |
| რაძიონკოვი | 21 | 7 | 1 | 13 | 18:36 | 22 |
| პლოცკი | 21 | 5 | 3 | 13 | 23:42 | 18 |

# სარბიელი


## სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. II ბუნდესლიგა. გადადებული მატჩები

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 001 | ზაარბრიუკენი-ალენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 002 | როიტლინგენი-ქემნიცი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები

24 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 003 | ბარნლი-ტრანმერი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 23.45 | 004 | ფულემი-ვულვერჰემპტონი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 005 | გრიმსბი-ბლეკბერნი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 23.45 | 006 | უიმბლდონი-კრიუ | 1,5 | 3,4 | 6,5 |

### ინგლისი. II დივიზიონი, გადადებული მატჩები

24 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 007 | პიტერბრო-უოლსოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 008 | როვერსი-პორტ ვეილი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 23.45 | 009 | ლუტონი-როტერჰემი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 23.45 | 010 | სუონსი-რექსემი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 011 | ნოტსი-უიკომბი | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| 23.45 | 012 | ბრენტფორდი-კემბრიჯი | 1,95 | 3,3 | 3,3 |

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 013 | ნორთჰემპტონი-პორტ ვეილი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები

24 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 014 | მენსფილდი-კარდიფი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 015 | პლიმუთი-საუთენდი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 016 | ტორკი-დარლინგტონი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 23.45 | 017 | შრიუსბერი-იორკი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.45 | 018 | ჰალიფაქსი-ბრაიტონი | 2,5 | 3,4 | 2,3 |

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 019 | ლინკოლნი-კარლაილი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 020 | ბლეკპული-როჩდეილი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

### შვედეთი. გადადებული მატჩი

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 021 | იორებრო-იორგრიტე | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

24 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 501 | ეკვადორი-პარაგვაი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 04.00 | 502 | ვენესუელა-კოლუმბია | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 06.00 | 503 | ჩილე-ურუგვაი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 504 | იუგოსლავია-რუსეთი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.30 | 505 | ლატვია-სან მარინო | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 22.00 | 506 | მალტა-ისლანდია | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 23.00 | 507 | ირლანდია-ანდორა | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 508 | ირლანდია-ანდორა 0:4 | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 23.30 | 509 | ავსტრია-ლიხტენშტაინი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 510 | ავსტრია-ლიხტენშტაინი 0:4 | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 23.30 | 511 | ჰოლანდია-კვიპროსი | 1,08 | 7,0 | 14,0 |
| | 512 | ჰოლანდია-კვიპროსი 0:3 | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 01.00 | 513 | ტრინიდადი-მექსიკა | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 04.30 | 514 | აშშ-კოსტა რიკა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 05.00 | 515 | ბოლივია-არგენტინა | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 05.30 | 516 | იამაიკა-ჰონდურასი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 05.45 | 517 | ბრაზილია-პერუ | 1,2 | 5,6 | 10,0 |

### ამხანაგური მატჩები

24 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 518 | საქართველო-ისრაელი | ანგარიში – 5,0 | | |
| 21.00 | 519 | ირანი-კორეა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.30 | 520 | ეგვიპტე-კანადა | 1,6 | 3,3 | 5,3 |

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 521 | მოლდოვა-ესტონეთი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 522 | ხორვატია-საბერძნეთი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 20.00 | 523 | რუმინეთი-სლოვაკეთი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.15 | 524 | შვეიცარია-შვედეთი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.30 | 525 | პოლონეთი-შოტლანდია | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 22.15 | 526 | დანია-სლოვენია | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 22.15 | 527 | თურქეთი-ალბანეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.05 | 528 | ნორვეგია-ბულგარეთი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.30 | 529 | ჩეხეთი-ბელგია | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.30 | 530 | უნგრეთი-ფინეთი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.45 | 531 | საფრანგეთი-პორტუგალია | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.45 | 532 | იტალია-ს.აფრიკა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 00.45 | 533 | ესპანეთი-იაპონია | 1,2 | 5,6 | 10,0 |

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)

24 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 534 | მალტა-ისლანდია | 3,8 | 3,2 | 1,7 |
| 21.30 | 535 | ავსტრია-საფრანგეთი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 22.00 | 536 | ჰოლანდია-კვიპროსი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 537 | იუგოსლავია-რუსეთი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### კალათბურთი. 1/8 ფინალი

24 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 801 | ფილადელფია-ინდიანა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 | 802 | იუტა-დალასი | 1,3 | 12,0 | 2,8 |

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 803 | მილუოკი-ორლანდო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.30 | 804 | საკრამენტო-ფინიქსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 805 | ნიუ იორკი-ტორონტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.30 | 806 | ლეიკერსი-პორტლენდი | 1,2 | 12,0 | 3,5 |

### კალათბურთი. სუპერლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩი

26 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 807 | ეფესი-სპლიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |

### ჰოკეი. 1/8 ფინალი

24 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ვაშინგტონი-პიტსბურგი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

25 აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 902 | დეტროიტი-ლოს ანჯელესი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენოქს ლუისი წამოდგომას ცდილობს



ჰასიმ რაჰმანის ერთმა დარტყმამ ლენოქს ლუისს გონი და ტიტულები წაართვა

# სენსაცია!

## ჰასიმ რაჰმანმა ლენოქს ლუისი დაანოკაუტა

**ამერიკელი** ჰასიმ რაჰმანი, რომლის შანსებსაც გასულ პარასკევს 20-1 აფასებდნენ, დღეს მსოფლიოს ჩემპიონია. ბალტიმორელი მოკრივე WBA-ს, IBF-ის და IBO-ს ქამრებს ფლობს. სამხრეთ აფრიკაში, კარნავალ სიტიში გამართული ბრძოლის მეხუთე რაუნდში მან მარჯვენის ერთი დაკვრით გათიშა უპირობო ჩემპიონი, თანამედროვე კრივის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული პიროვნება, ბრიტანელი ლენოქს ლუისი.

როგორც ჩანს, მართალნი იყვნენ ის მიმომხილველები, რომლებიც ლუისს მოსამზადებელ პერიოდს უწუნებდნენ. უკვე მეორე რაუნდში გამოჩნდა, რომ აფრიკის ბოლოში, თანაც ზღვის დონიდან გვარიანად მაღლა მოკრივე ლუისს უჭირდა — იგი ხომ ბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა კარნავალ სიტიში, მაშინ, როდესაც რაჰმანი გარემოსთან სამი კვირის შეგუებული გახლდათ.

და მეხუთე რაუნდში, ლუისმა სულელურად ჩამოუშვა ხელები, რითაც წამიერად ისარგებლა რაჰმანმა. მერე ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ ბრიტანელმა ზუსტად ასე წააგო 1994 წელს ოლივერ მაკკოლთან. ის დამარცხება შაბათამდე ერთადერთი გახლდათ კარნავალ სიტის რინგზე თეატრალურად გაშხლართული მძიმეწონოსნისთვის.

თუმცა, ბრძოლის შემდეგ, პრესკონფერენციაზე ლუისი საკმაოდ მხიარული იყო და თავისი სიტყვა-პასუხით მალიმალ აუდიტორიის ტაშსაც იმსახურებდა:

„ხალხმა ზედმეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ რაჰმანი აქ ჩემზე სამი კვირით ადრე ჩამოვიდა. გარწმუნებთ, ეს არაფერ შუაშია. რაჰმანს უბრალოდ გაუმართლა. ერთხელ იღბლიანად მოიქნია ხელი. მე კი ზედმეტად მივეტმასნე ბოგირს.

მეორე მხრივ, ჰასიმის შემართებას და გამბედაობას პატივი უნდა მივაგოთ. მან ბევრჯერ კარგად ამუშავა ხელები, თუმცა მთელი ბრძოლის განმავლობაში ვგრძნობდი, რომ საქმე კარგად მიმყავდა და რომ არა ის მომენტი, უეჭველად მოვიგებდი.

ეგ არაფერი, მე დავბრუნდები. რევანშს როდესაც გინდათ მაშინ გავმართავ. თუ გნებავთ, დღესვე“.

მაშ ასე, ლენოქს ლუისი ჩემპიონი აღარაა, მაგრამ იცინის. ისიც კი თქვა, ეს რა უცნაური ნოკაუტი იყო, არაფერი მტკენიაო და რაჰმანს მეგობრულად მიუცაცუნა ხელი.

თუმცა, მთავარი ეს არ არის. მთავარი სხვა რამ გახლავთ — ლუისისა და ტაისონის ბრძოლა და ვინ იცის, ამ ჯერზე ქამრების დაკარგვით, იქნებ ბრიტანელს დიდი ჩხუბისკენ უფრო მოკლე გზაც გამოუჩნდეს.

მსოფლიოს უპირობო ჩემპიონის ტიტული კი ჯერჯერობით ჰასიმ რაჰმანისა იყოს.

**ტუტა სიხარულიძე**



# თიხნარის მბრძანებელი

მასტერსის სერია
მონტე კარლო (მონაკო)
თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $

**მეოთხედფინალი: გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:7 (1:7), 6:2, 6:4; ჰიშამ არაზი (მაროკო) — ტიმ ჰენმანი (8, ინგლისი) 7:6 (7:3), 2:6, 7:6 (7:2); სებასტიან გროჟანი (9, საფრანგეთი) — როჯერ ფედერერი (15, შვეიცარია) 6:4, 6:3; გილერმო კორია (არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 4:6, 6:3**

**ნახევარფინალი: კუერტენი — კორია 6:4, 6:2; არაზი — გროჟანი 6:4, 6:4**

**ფინალი: კუერტენი — არაზი 6:3, 6:2, 6:4**

ყველა ტურნირი რომ თიხნარზე ტარდებოდეს, ერთი ფინალისტის ვინაობა თითქმის მუდმივად წინასწარ იქნებოდა ცნობილი. ბრაზილიელ გუსტავო კუერტენს ყველაზე ნელ საფარზე აგერ უკვე მესამე წელია, ბადალი არ მოეძებნება. თუ პიტ სამპრასი უიმბლდონის ბალახზე მბრძანებლობს, გუგას სამფლობელო წითელი მიწაა — შარშან რომის მასტერსის სერიის ტურნირის ფინალში მაგნუს ნორმანთან დამარცხების შემდეგ მან ამ საფარზე ზედიზედ მეხუთე ტიტული მოიპოვა.

„ჩემზე ამხელა შთაბეჭდილება ტომას მუსტერის გარდა არც ერთი მოთამაშეს არ მოუხდენია. საოცარია, ისეთი წარმოდგენა მექმნება, თითქოს ბურთი მისთვის შენელებულ კადრში მოძრაობს, „გუგა“ ყოველთვის საჭირო დროს და საჭირო ადგილზე დგას, შენ კი დარბიხარ და დარბიხარ“ — ეს ბრაზილიელის მიერ ძლეული ჰიშამ არაზის სიტყვებია.

ფინალი ცალკარა გამოდგა. „გუგას“ ღრმა, მძლავრ დარტყმებს არაზი თავდავიწყებით და გაშმაგებით დასდევდა, მაგრამ ყოველი მომდევნო სპურტისთვის კიდევ უფრო მცირე დრო რჩებოდა და ადრე თუ გვიან ბრაზილიელის ფორჰენდ-ბექჰენდებისთვის თვალის გაყოლებაღა უხდებოდა. კუერტენმა თითოეულ ხელში მეტოქეს ორ-ორჯერ აართვა მოწოდება, ორსაათიან მატჩს კი თავისი მეცხრე ეისით დაუსვა წერტილი.



გუსტავო კუერტენს მთავარი ჯილდო მონაკოს პრინცმა ალბერტმა გადასცა

„სრულყოფილებასთან ასეთი სიახლოვით საკუთარი თავიც კი გავაკვირვე. რა შემიძლია დავუმატო? ძალიან მიხარია, რომ აქ გავიმარჯვე, რადგან მომდევნო ტურნირებზე შარშან მოპოვებული ქულების შენარჩუნებაზე ნაკლები სანერვიულო მექნება. თიხნარზე თამაშისას საოცარ თავდაჯერებულობას ვგრძნობ“ — განაცხადა დაჯილდოების ცერემონიალზე ბრაზილიელმა, რომელსაც 400 ათასი დაუბეგრავი დოლარი ერგო და მარატ საფინს მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსიც ჩამოართვა.

წლევანდელი შედეგებით „გუგა“ „ჩემპიონთა რბოლაში“ მეორე ადგილზე ალზევდა, თუმცა აქ ანდრე აგასის იმდენით ჩამორჩება, რომ დაწევის იმედიც კი არა აქვს: „ჩემთვის სეზონის ბოლოს პირველი ჩოგნის ვინაობა უკვე გადაწყვეტილია. მართალია, მონაკოში ვიმარჯვე და შეიძლება აქა-იქ სხვა ტიტულებსაც გამოვკრა ხელი, მაგრამ ვერც მე და ვერც ნებისმიერი სხვა მოთამაშე ანდრეს ველარ დავეწევით.“

არ იქნება ფინალისტ ჰიშამ არაზის დავიწყებაც. ჩია მაროკოელი ნიჭით ATP ტურზე, ალბათ, ერთი-ორს თუ ჩამოუვარდება, მაგრამ ღვთით ბოძებულის გამოყენება ვერაფრით ისწავლა. არაზი წლების მანძილზე ტურნირების მიმდინარეობისას ღამის კლუბებსა და დისკოთეკებზე დაიარებოდა და არანაირ სიამოვნებას არ იკლებდა, 1998-ში როლან გაროსის მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ კი 10-დღიანი (!) ღრეობა მოიწყო.

ყველაფერი რამდენიმე თვის წინ შეიცვალა, როდესაც კურდღისკბილება ჩოგბურთელმა მწვრთნელად ფრანგი ტიერი შამპიონი აიყვანა: „ის ნამდვილი მებრძოლი იყო და მეც მასწავლა, რა უნდა მეკეთებინა. ახლა გაცილებით დისციპლინირებული გავხდი, საღამოობით ადრე ვიძინებ, დილით კი ზოგჯერ ტიერი მაიძულებს, 7 საათზე ავდგე. თავიდან ეს ძალიან არ მომწონდა, მაგრამ ვხვდები, რომ საჭიროა და ხმას აღარ ვიღებ.“

შამპიონის ტაქტიკა რომ ამართლებს, გასულ კვირაში არაზის მსხვერპლთა ვინაობის გაცნობიდანაც დარწმუნდებით: ცაცია მაროკოელმა მონტე კარლოში მესამედ განთესილი მაგნუს ნორმანი, შარშანდელი ჩემპიონი სედრიკ პიოლინი (14), ტიმ ჰენმანი (8) და სებასტიან გროჟანი (9) დაამარცხა.

ჩარლტონი (აშშ)
FAMILY CIRCLE CUP
მწვანე თიხნარი
საპრიზო 1,2 მილიონი $

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ამელი მორესმო (7, საფრანგეთი) 7:5, 6:2; ჯენიფერ კაპრიატი (2, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:5, 6:4; კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) — ემი ფრეზერი (10, აშშ) 6:3, 6:4; მარლინ ვაინგარტნერი (გერმანია) — ამანდა კუტცერი (4, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7:6 (7:3)**

**ნახევარფინალი: ჰინგისი — მარტინესი 6:2, 6:2; კაპრიატი — ვაინგარტნერი 6:0, 6:2**

**ფინალი: კაპრიატი — ჰინგისი 6:0, 4:6, 6:4**

კვირას მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს სეზონის ყველაზე მტკივნეული მარცხისთვის შურისძიების შესაძლებლობა მიეცა — სამი თვის წინ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი 20 წლის შვეიცარიელს სწორედ იმდღევანდელმა მეტოქემ ჯენიფერ კაპრიატიმ ჩაამწარა.

მარტინას სისხლის აღება, ალბათ, ძალიანაც სურდა, მაგრამ მის იმედებს პირველმა ხელმა ცივი წყალი გადაასხა — 19 წუთში დასრულებულ სეტში მან ერთი გეიმის მოგებაც კი ვერ მოახერხა.

„წარსულში არაერთხელ მითქვამს, რომ ჯენიფერი შესანიშნავი მოთამაშეა და ყველაფრისთვის თავის მობმას თუ მოახერხებდა, მისი დამარცხება საოცრად ძნელი იქნებოდა. მან ყველას დაუმტკიცა, რომ ამჟამად მე, ლინდსი დევენპორტსა და დებ უილიამსებს არაფრით ჩამოგვივარდება“ — ასეთი იყო მატჩის შემდეგ ჰინგისის კომენტარი. ალბათ, უპრიანი იქნებოდა დაგვემატებინა, რომ ჩამოუვარდება კი არა, იქნებ ჯობნის კიდეც.

არაერთხელ უთქვამთ, რომ ჩოგბურთში წარმატების ლომის წილი ფსიქოლოგიაზეა დამოკიდებული და ამაში კაპრიატის მაგალითიც დაგარწმუნებთ. მელბურნულმა ტრიუმფმა ყოფილი ვუნდერკინდი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ბობოლებთან პაექრობა შეეძლო, უნარი და ჯანი კი ჯენიფერს ყოველთვის მოსდგამდა.

ჰინგისმა კვირას ყველანაირი ტაქტიკა და დარტყმა მოსინჯა კაპრიატისთან გასამკლავებლად, მაგრამ მეტოქის აბჯარში ხვრელი ვერსად აღმოაჩინა: ამერიკელი შურდულივით დარბოდა შემოკლებულების დასაწევად, მარტინას დარტყმებს ერთიორად გაზრდილი სიჩქარით აბრუნებდა ბადის მეორე მხარეს და როცა საჭირო იყო, ხანგრძლივ გათამაშებებში არც ცდებოდა და არც ილლებოდა.

სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩის ბოლოს ჰინგისმა მთელი შემორჩენილი ძალ-ღონე მოიკრიბა და გადამწვეტ ხელში 1:5-დან მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა, მაგრამ კაპრიატის დამარცხება ამ დღეს, ალბათ, შეუძლებელი იყო.

„ეს ყველაზე დიდი ტიტულია რაც კი აშშ-ში მომიგია — აღნიშნა ჯენიფერმა, რომელიც ამავე ტურნირის ფინალში 11 წლის წინ (14 წლისა) მარტინა ნავრატილოვასთან დამარცხდა — კიდევ ერთხელ დავუმტკიცე ხალხს, რომ ავსტრალიაში ჩემი გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა. ახლა როლან გაროსსაც ოპტიმიზმით ველი.“

ბუდაპეშტის (უნგრეთი)
ღია პირველობა
თიხნარი. საპრიზო 170 ათასი $

**ფინალი: მაგდალენა მალეევა (1, ბულგარეთი) — ენ კრემერი (2, ლუქსემბურგი) 3:6, 6:2, 6:4**

**ავთანდილ სვანიძე**

NBA. პლეი ოფი. პირველი წრე (ოთხ მოგებამდე)

# ფილადელფია მერე ნარჩენებს მრემა

## აღმოსავლეთი

21 აპრილი

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 0 |
| ინდიანა | 1 |

**ფილადელფია 78:79 ინდიანა**

**ფილედელფია: მაკვი (18), აივერსონი (16), მუტომბო (12 ქულა, 22 მოხსნა, 5 დაფარება)**
**ინდიანა: მილერი (17), როუზი (17), ბესტი (16 ქულა, 10 პასი), ონილი (12 ქულა, 20 მოხსნა)**

პლეი ოფი ჯერ ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, რომ პირველი სენსაციაც გამოცხვა. აღმოსავლეთში უძლიერესმა „ფილადელფიამ" შინ წააგო მერვე ნომრად განთესილ „ინდიანასთან" და დაკარგა მოედნის უპირატესობა, რის მოსაპოვებლადაც მთელი სეზონი წვალობდა.

„ფილედელფია" საკუთარი თავდაჯერებულობის მსხვერპლი გახდა. მასპინძლებმა რიგიანად დაიწყეს და ტაიმთა გასაყარზე 16-ქულიანი უპირატესობაც მოიპოვეს, რაც გამარჯვებისთვის საკმარისად ჩათვალეს და დაისაჯნენ კიდეც. ამ სეზონში დაჩიავებულმა, მაგრამ მაინც საკმაოდ ძლიერმა „ინდიანამ" მყისვე ისარგებლა მეტოქის მოდუნებით და თანდათან დაფარა სხვაობა. სტუმართა ბებერმა სნაიპერმა რეჯი მილერმა კი შეხვედრის დამთავრებამდე 2,9 წამით ადრე სამქულიანი ჩაუგდო მასპინძლებს და გამარჯვებაც თავის გუნდს ჩაუწერა. არადა, იმ დღეს მილერი საშინლად ისროდა, 17 ქულის დაგროვებას 21 სროლა დაახარჯა და აქედანაც მხოლოდ ხუთი ჩააგდო. მაგრამ, რაც მთავარია, გადამწყვეტ მომენტში არ უმტყუნა სიზუსტემ. და რას აკეთებდა ამ დროს მასპინძელთა ლიდერი, ლიგის პირველი მექულე ალენ აივერსონი? მას პირველ ნახევარში თუ კიდევ არა უშავდა, მეორეში სულ გამოეთიშა თამაშს და მეტოქეებთან კინკლაობით თუ იქცევდა ყურადღებას. საბოლოოდ მან შეხვედრა 16 ქულით დაასრულა, რაც მისი საშუალო შედეგიანობის ოდენ ნახევარია.

ცხადია, „ფილადელფიას" მარცხი ყველამ სენსაციად აღიქვა, მხოლოდ არა ძლეულთა თავკაცმა ლარი ბრაუნმა, რომელიც ადრე „ინდიანას" წვრთნიდა და ის გუნდი ააშენა, რომლის ნარჩენებთანაც 21 აპირლს „ფილადელფიამ" წააგო. „დაუშვებელია გუნდს, რომელშიც რეჯი მილერი და ჯალენ როუზი თამაშობენ, ისე შეხედო, როგორც განწირულს. მე მათ კარგად ვიცნობ. ისინი არასოდეს არ ნებდებიან. ბოლო-ბოლო ჩვენ მათთან პლეი ოფში შარშან და შარშანწინ წავაგეთ" — ამბობდა ბრაუნი ნამატჩევს.

| | |
|---|---|
| მაიამი | 0 |
| შარლოტი | 1 |

**მაიამი 80:106 შარლოტი**

**მაიამი: მაუზი (16), მურნინგი (14), ჯონსი (14)**
**შარლოტი: მაშბურნი (28), დევისი (23), ვესლი (17)**

„ფილადელფია სიქსერზი" ერთადერთი ბობოლა არ გახლავთ, რომელიც მასზე სუსტმა საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ შეარცხვინა. მოედნის უპირატესობა აღმოსავლეთში მესამე ნომრად განთესილმა „მაიამი ჰითმაც" დაკარგა, ამასთან პირწმინდად დაეჩაგვრინა მეტოქეს. ფლორიდელებმა წააგეს ცალ-ცალკე ოთხივე მეოთხედი და ჯამში 26 ქულის სხვაობითაც განადგურდნენ. მაიამელბს ახლა ამის მიზეზად გამთამაშებელ ტიმ ჰარდევეის ნატკენი ტერფი მოაქვთ. საპლეიოფოდ ჰარდევეიმ ვერ მოასწრო საბოლოოდ გამოშუშება, თორემ საერთოდ წავაგებდით თუ არა, ეგეც საკითხავიაო — ამბობენ ისინი. და ასეცაა, „ჰითის" შეტევების ორგანიზატორმა ვერც შეტევაში ივარგა და ვერც დაცვაში, რამაც მისი გუნდის პოტენციალი გვარიანად დასცა. „შარლოტი" ჩვეულებრივ ორი გამთამაშებლით თამაშობს და ორი ახალგაზრდა ჩაუქის, დევიდ ვესლის და ბაირონ დევისის წინაალმდეგ 35 წელს მიტანებულმა ჰარდევეიმ ვერაფერი გააწყო, მატჩიც სამი ქულით და ოთხი დაკარგვით გაასრულა. მაიამელებს ორი ყოფილი შარლოტელის — ედი ჯონსისა და ენტონი მეისონის დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ ვერც მათ ივარგეს, ჯამში ოდენ 18 ქულა მოინაგრეს. მათგან განსხვავებით, ყოფილ გუნდს რისხვად დაატყდა შარშან მაიამელი, წლეულს კი „შარლოტის" ლიდერი ჯამალ მაშბურნი და ფლორიდელთა მთავარ მარბიელადაც იქცა.

22 აპრილი

| | |
|---|---|
| მილუოკი | 1 |
| ორლანდო | 0 |

**მილუოკი 103:90 ორლანდო**

**მილუოკი: ვილიამსი (19 ქულა, 16 მოხსნა), ალენი (18), კასელი (16)**
**ორლანდო: მაკგრეიდი (33 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), გარიტი (14)**

„ფილადელფიისა" და „მაიამისგან" განსხვავებით, მოედნის უპირატესობა ტკბილად შეირგო ნბა-ს მისისიპის გადმოღმა ნახვერის კიდევ ერთმა ფავორიტმა „მილუოკი ბაქსმა". ამ შეხვედრაში გასაკვირი მხოლოდ ის იყო, რომ მილუოკელთა გამარჯვება ვეტერანმა თავდამსხმელმა სკოტ ვილიამსმა უფრო გამოჭედა, ვიდრე „ბაქსის" ლიდერთა — რობინსონ-ალენ-კასელის ტრიომ. ვილიამსმა 19 ქულა და 16 მოხსნა მოიხვეჭა. ორივე მაჩვენებელი სარეკორდოა მის კარიერაში, პლეი ოფებში და, ცხადია, მისგან მაქსიმუმ ამის ნახევარს თუ ელოდნენ. მის თანაგუნდელ რეი ალენს ვილიამსისთვის მონსტრი უწოდებია და უთქვამს, ეგ რომ არა, გაგვიჭირდებოდა მეტოქის გატეხვაო.

ისე, მეტოქეზე ანუ „ორლანდოზე", როგორც გუნდზე რა მოგახსენოთ, წინაალმდეგობა მხოლოდ ტრეისი მაკგრეიდის მხრიდან თუ იგრძნობოდა.

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი | 1 |
| ტორონტო | 0 |

**ნიუ იორკი 92:85 ტორონტო**

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (23), ტომასი (17 ქულა, 13 მოხსნა)**
**ტორონტო: დევისი (19 ქულა, 15 მოხსნა), ვილიამსი (19)**

ამ წყვილში ყველაფერი ისე დაიწყო, როგორც შარშან. გასულ პლეი ოფშიც „ტორონტომ" „ნიუ იორკთან" სერია 0:3 წააგო. მაშინ ტორონტოელთა ლიდერმა ვინს კარტერმა სადებიუტო შეხვედრაში 20 სროლიდან სამი ჩააგდო. იგივე განმეორდა ახლაც. სტუმართა ლიდერმა ოქრო ბიჭმა კარტერმა კვლავ ჩააფლავა თამაში, მისი 22 სროლიდან ხუთმა უწია მიზანს და კარტერს მხოლოდ 13 ქულა მოუგროვდა. მართალია, „დინოზავრთა" წინამძღოლს სხვები კარგად წამოეშველნენ, მაგრამ უქმად ხომ არც „ნიუ იორკი" იყო.

## დასავლეთი

21 აპრილი

| | |
|---|---|
| სან ანტონიო | 1 |
| მინესოტა | 0 |

**სან ანტონიო 87:82 მინესოტა**

**სან ანტონიო: დანკანი (33 ქულა, 15 მოხსნა)**
**მინესოტა: გარნეტი (25 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), ბრენდონი (16)**

„სან ანტონიო სფურზი" არა მარტო ამ სერიაში, არამედ სრულიად პლეი ოფში ფავორიტად ითვლება, თუმც ამ შეხვედრის მნახველი ამას ვერ იფიქრებდა. მინესოტელ „მგლებთა" ლიდერმა კევინ გარნეტი სანანტონიოელ ტიმ დანკანს ტოლ-სწორად ეპაექრა და არც მისი გუნდის გამარჯვება იქნებოდა მოულოდნელი. მასპინძლები პირველი ტაიმის შემდეგ 14 ქულით იგებდნენ, მაგრამ მესამე მეოთხედი 12:28 წააგეს და მდევრის როლში აღმოჩდნენ. ბოლო მეოთხედში „სფურზი" აშკარად უკეთ გაისარჯა, თუმც ისიც ვთქვათ, ამაში მეტოქეთა ერთ-ერთი ლიდერის ტერელ ბრენდონის ტრავმამაც წააზმარა ხელი.

| | |
|---|---|
| იუტა | 1 |
| დალასი | 0 |

**იუტა 88:86 დალასი**

**იუტა: მელოუნი (26), სტოქტონი (12 ქულა, 18 პასი)**
**დალასი: ფინლი (26), ნოვიცკი (20 ქულა, 12 მოხსნა), ნეში (20)**

„იუტა ჯაზმა" საპლეიოფო სერია გამარჯვებით გახსნა. ამაში განსაკუთრებული არაფერია და ეს არც არავის გაკვირვებია, მაგრამ ოკეანგალმა არ დარჩენილა ცნობილი თუ უცნობი საკალათბურთო მიმომხილველი, „იუტა" არ გაეკრიტიკებინოს. სპეციალისტთა კრიტიკა ძირითადად ერთი კაცის, ვინმე ჟაკ ვონის გარშემო იკვრებოდა, მას აქილიკებდა დიდი თუ პატარა. აი, ასეთი შემცვლელი ეზრდება სახელოვან მეპასე ჯონ სტოქტონსო, ამბობდა ყველა და თითს ამ ვონისკენ იშვერდა.

საქმე იმაშია, რომ ეს ვონი გამთამაშებელ ჯონ სტოქტონს ცვლის და „დალასთანაც" 38 წლის სტოქტონი რამდენიმე წუთით დაასვენა, „იუტას" კი ეს ლამის წაგებად დაუჯდა. „იუტა" მესამე მეოთხედის შუაწელს 13 ქულის სხვაობით იგებდა, მისმა მწვრთნელმაც მოხუცი მეპასე ახალგაზრდით შეცვალა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „დალასს" რამდენიმე წუთში დეფიციტი დაეფარა და მესამე მეოთხედის ბოლოსთვის 62:61 დაწინაურებულიყო. „ცხადია, მეც ვიცი, რომ ჟაკ ვონი ჯონის ღირსეული შემცვლელი ვერაა, მაგრამ მე ჯონს 48 წუთით ვერ ვათამაშებ. იგი მხოლოდ ერთი მატჩისთვის არ მჭირდება და, ბუნებრივია, ვინმეს უნდა შეეცვალა, თუნდაც რამდენიმე წუთით" — თქვა ნამატჩევს სლოუნმა.

„ჯაზმენთა" საბედნიეროდ, ვონის დამჩაგრავმა დალასელთა კანადელმა გამთამაშებელმა სტივ ნეშმა მოედანზე დაბრუნებულ სტოქტონს ველარაფერი მოუხერხა და გამარჯვებაც „იუტას" დარჩა.

22 აპრილი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1 |
| პორტლენდი | 0 |

**ლეიკერსი 106:93 პორტლენდი**

**ლეიკერსი: ონილი (24 ქულა, 20 მოხსნა), ბრაიანტი (28), ფიშერი (21)**
**პორტლენდი: ვოლესი (24), სტუდემაიერი (18), პიპენი (13)**

ჩემპიონმა „ლეიკერსმა" ტიტულის დაცვა მოსისხლე „პორტლენდის" ძლევით დაიწყო. „პორტლენდი" გაალმასებული იბრძოდა. სტუმრებმა „ლეიკერსის" გიგანტ ცენტრ შაკილ ონილს 21 სროლის მხოლოდ ერთი მესამედი ჩააგდებინეს, მაგრამ სამაგიეროდ, შაკმა კარგად ისროლა საჯარიმოები და თხუთმეტიდან ათი გამოიყენა, ამასთან მისმა დაბალმა თანაგუნდელებმა — კობი ბრაიანტმა და დერიკ ფიშერმა მეტოქის უკანა ხაზი აიკლეს და შარშანდელ ტრიუმფატორებს გამარჯვება არ გასჭირვებიათ.

პორტლენდელთა ერთ-ერთმა ლიდერმა სკოტი პიპენმა მატჩის შემდეგ ყველაფერი შაკს და მსაჯებს გადააბრალა, აქაოდა, მაგ დევმა ყველას იდაყვებით ცხვირ-პირი დაგვინაყა, მსაჯები კი ტყემალზე ისხდნენ და რას დაინახავდნენო. ეგენი მხოლოდ წუწუნებენ. ამის მაგივრად უჯობთ, კაცურად მეთამაშონო, ასეთი იყო შაკის პასუხი.

ასე თუ ისე, ჩემპიონმა ერთი ნაბიჯი გადადგა ღონიერი მეტოქის საბოლოოდ დასამარცხებლად, თუმც ჩვენ ვთქვათ, რომ მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა.

| | |
|---|---|
| საკრამენტო | 0 |
| ფინიქსი | 1 |

**საკრამენტო 83:86 ფინიქსი**

**საკრამენტო: ვებერი (27 ქულა, 15 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (13), დივაცი (13)**
**ფინიქსი: მარიონი (21 ქულა, 10 მოხსნა), კიდი (18 ქულა, 14 პასი), როჯერსი (18)**

ერთადერთი დასავლელი, ვინც მოედნის უპირატესობა დაკარგა, „საკრამენტო კინგზი" გახლავთ. მან ვერაფერი მოუხერხა მეექვსე ნომრად განთესილ „ფინიქს სანზს". არადა, „საკრამენტოს" შინაური სარბიელი „არკო არენა" ნბა-ში სტუმართათვის ყველაზე არასასიამოვნო დარბაზად ითვლება. რეგულარულ ჩემპიონატში აქ სტუმრებს მხოლოდ რვა თამაში მოუგიათ, რაც ნბა-ს რეკორდია, თუმც „ფინიქსმა" ეს არად ჩააგდო, ჯეისონ კიდის მეთაურობით აჯობა „მეფეებს" და 17 ათასი „ქვეშევრდომის" თვალწინ შეარცხვინა.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS

ფილადელფია — ინდიანა. რეჯი მილერი ფილადელფიელ ალენ აივერსონს გაექცა



REUTERS

ნიუ იორკი — ტორონტო. ლატრელ სპრიუელმა ტორონტოელ ვინს კარტერს სროლაში ხელი ვერ შეუშალა

# აზოტმა კაცი წააგო

## მარცხზე მეტად რუსთაველებს გაბისონიას დაკარგვა ეწყინათ

21 აპრილი. ვერის ბალი

**მაკაბი 119:111 თსუ**

ძირითადი დრო 103:103

25:33, 27:17, 19:33, 32:20, 16:8

**მაკაბი:** წოწელია (40), ანდღულაძე (22), შანიძე (29), სარიშვილი (12), დაჩუმი (13); კოქლამაზაშვილი, კრიხელი (3)

**თსუ:** ვეფხვაძე (5), ი. ბერიშვილი (22), მაისურაძე (19), ხეცურიანი (14), მაჭარაძე (16); ზანგურაშვილი (4), ახალკაცი (31)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზურაб აბაშიძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

21 აპრილი. ვერის ბალი

**ბასკო 103:79 აზოტი**

32:19, 16:19, 30:26, 25:15

**ბასკო:** როჯერსი (19), ორმოცაძე (20), ბეჟანიშვილი (14), ვ. ნაცვლიშვილი (24), კილაძე (6); მ. მარკოიშვილი (4), ნიკოლაძე, აბრამიძე (2), გ. ნაცვლიშვილი, კეშელავა (1), დროჟანოვი (13)

**აზოტი:** ჩაჩუა, გაბისონია (6), გოგობერიშვილი (14), ჯაფარიძე (13), შენგელია (15); ბაბიაშვილი (10), დანელიანი (2), ტურაშვილი (11), კოკოლიშვილი (6), ჯიმშელეიშვილი (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

21 აპრილი. ვერის ბალი

**სტუ 100:77 შევარდენი**

20:20, 24:12, 25:24, 31:21

**სტუ:** სულაძე (6), მიქაძე (11), ლოსაბერიძე (23), ჩუბინიძე (19), კორძაძე (6); ბ. ბერიშვილი (11), მდივანი (8), კეიდია (10), ოთიურიძე (6)

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (9), გ. ჩხეიძე (14), გიგაური (29), გელაშვილი (3), სუხიშვილი (16); გულხადარაშვილი (6), კაზანჯიანი, ნუცუბიძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

22 აპრილი. ვერის ბალი

**ბასკო 77:69 სტუ**

20:14, 9:21, 16:12, 32:22

**ბასკო:** როჯერსი (2), მ. მარკოიშვილი, ნიკოლაძე (6), კილაძე (17), ბეჟანიშვილი (10), აბრამიძე, გ. ნაცვლიშვილი (2), ვ. ნაცვლიშვილი (17), დროჟანოვი (14), ორმოცაძე (9)

**სტუ:** ბ. ბერიშვილი (4), კორძაძე (5), მდივანი (11), ხოშტარია (10), კეიდია (2), ოთიურიძე (4), ლოსაბერიძე (5), დავითულიანი (11), ჩუბინიძე (7), მიქაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

22 აპრილი. ვერის ბალი

**თსუ 91:89 შევარდენი**

18:24, 26:16, 26:26, 28:21

**თსუ:** მაისურაძე (18), ხეცურიანი (24), ზანგურაშვილი (2), ვეფხვაძე, მაჭარაძე (14), ი. ბერიშვილი (15), ახალკაცი (12), სანიკიძე (6)

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე (5), გ. ჩხეიძე (29), გიგაური (14), კაზანჯიანი (12), სუხიშვილი (24), გულხადარაშვილი (2), ნუცუბიძე (1), გელაშვილი (2), გოგუა

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

22 აპრილი. ვერის ბალი

**მაკაბი 88:99 აზოტი**

15:28, 22:17, 19:29, 32:25

**მაკაბი:** წოწელია (38), ანდღულაძე (18), შანიძე (3), სარიშვილი (6), დაჩუმი (16); კრიხელი (7), ტუჟანი, ჯანელიძე

**აზოტი:** ჩაჩუა, გოგობერიშვილი (8), კოკოლიშვილი (17), ბაბიაშვილი (27), შენგელია (21); დანელიანი (2), აბზიანიძე, ტურაშვილი, ჯაფარიძე (18), ჯიმშელეიშვილი (6)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე



ბასკო — აზოტი. გიგი ნაცვლიშვილი (№10) აზოტელი ზვიად ბაბიაშვილის წინააღმდეგ

**გიორგი ბიკაშვილი**

„ბასკო" — „აზოტის" ძველი ბრძოლებიც გვახსოვს და მათ გვერდზე ამ გუნდების შაბათის მატჩი სახსენებელიც არაა. ვერის ბალში შეკრებილმა ქომაგმა ვერ იხილა ის შემართება და სიმძაფრე, მათ ურთიერთჭიდილს მუდამ თან რომ ახლავს. ქვეყნის ჩემპიონმა „ბასკომ" ამჯერად ყველაფერში აჯობა რუსთავის „აზოტს", რომელიც ვინძლო შეგნებულადაც არ შეებრძოლა ზღვისპირულ კლუბს. გამორიცხული არაა, რომ მძიმე ნახევარფინალური სერიის წინ „აზოტის" მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ გუნდის დასვენება ამჯობინა.

თუმცა ყოველივე ოდნავადაც ვერ აკნინებს „ბასკოს" კარგ თამაშს, ბათუმელები მობილიზებულნი წარსდნენ მეტოქის წინააღმდეგ და „აზოტი" რას ფიქრობდა, სულაც არ ანაღვლებდათ. თანაც ტომარაძის გუნდს რევანში სწყუროდა, შინაურ ფრონტზე ათთვიანი წაუგებელი სერია ხომ ამას წინათ სწორედ „აზოტმა" შეაწყვეტინა „ბასკოს".

„აზოტმა" ვერც ამ მატჩში დაიხმარა ორი წამყვანი მოთამაშე — არჩილ ჟღენტი და მიხეილ ბერუაშვილი. ორივე კალათბურთელს ტრავმები აწუხებთ, თუმც სავარაუდოა, რომ ნახევარფინალისთვის მწყობრში ჩადგებიან. ამ მხრივ „ბასკოს" უფრო რთულად აქვს საქმე. ამ გუნდს ლევან ქარაბაკი სეზონის ბოლომდე გამოაკლდა, „აზოტთან" მატჩში დავით უსტიაშვილიც ვერ ვიხილეთ.

საწყისი წუთები თანაბარ ბრძოლაში გაილია. ანგარიში კახა შენგელიამ გახსნა, „აზოტის" ცენტრმა ფარქვეშიდან ჩაგდებულს ზუსტი საჯარიმოც მიაყოლა, რადგან მასზე ვალერი კილაძე დაჯარიმდა. „ბასკომ" მალევე უპასუხა მეტოქეს, ჯერ გაუთანაბრა, მერე წინაც გავიდა და უფრო ორგანიზებული თამაშის წყალობით სოლიდური უპირატესობის მოპოვებაც შეძლო. ჩემპიონმა ძირითადად კარგი დაცვითი თამაშით მოახერხა ყოველივე, რუსთაველ გუნდს ბათუმურმა საკუთარი ფარის მისადგომი საიმედოდ გადაუკეტა და საწყის ხუთ წუთში ვიცე-ჩემპიონი ოდენ 5 ქულას გამორჩა. ბათუმელები კი უკვე თხუთმეტს იყვნენ.

„აზოტმა" ვერც წუთშესვენებით შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მეტოქის მჭიდრო დაცვას ვერაფერი დაუპირისპირა და მალე კიდევ უფრო თვალშისაცემად ჩამორჩა მოწინააღმდეგეს. „ბასკოს" წინამძღოლი უდავოდ ამერიკელი ჯეფ როჯერსი იყო. იგი აზრიანად უძღვებოდა თავისიანთა იერიშებს და სწრაფ პირველ შეტევაშიც დაუყოვნებლივ ერთვებოდა. „აზოტი" კი მსაჯებთან კამათს უფრო დიდ ენერგიას ახმარდა. რუსთაველები გაუთავებლად უპროტესტებდნენ გადაწყვეტილებას მსაჯებს და ხშირად სამართლიანადაც, მაგრამ ყოველივეს ოთარ ხმელიძის გუნდისთვის სასიკეთო არაფერი მოუტანა.

მეორე მეოთხედშიც ანალოგიური სცენარით გაგრძელდა შეხვედრა. „ბასკომ" ვახტანგ ნაცვლიშვილისა და ჯეფ როჯერსის წყალობით ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა და ერთხანს სხვაობა 20-ქულიანიც გახდა — 45:25. „აზოტი" ამის მერეღა გამოერკვა, რაც ძირითადად ირაკლი ჯაფარიძის დამსახურება იყო. რუსთაველთა თავდამსხმელმა თავისი გუნდის ზედიზედ სამი შეტევა დააგვირგვინა და მეორე ტაიმისთვის თანაგუნდელები იმედიანად განაწყო.

შესვენების შემდეგ „ბასკო" 10-ქულიანი მარაგითღა წარსდგა მეტოქის წინაშე. ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად „აზოტმა" ზონური დაცვა ირჩია, მაგრამ გამოცდილი როჯერსი არ დაბნეულა და რუსთაველთა ტაქტიკას სწრაფი პასი დაუპირისპირა. ამ მეთოდმა გაამართლა, რუსთაველთა დაცვა დანაწევრდა და, ცხადია, „აზოტს" „ბასკოსთან" მიახლოვების საშუალებაც მოესპო.

მოგვიანებით „აზოტი" ფსიქოლოგიურადაც გატყდა. მსაჯმა ზაზა მაჩალაძემ სეხნია გაბისონია მეხუთედ დააჯარიმა და მერე სათადარიგოებში ჯდომაც არ დაანება, მოედნიდან გააგდო. გაბისონიას გინება იქ მყოფთაგან არავის გაუგია, თუმც მაჩალაძე ირწმუნება, კალათბურთელის ლანძღვა არ მომჩვენებიაო. „აზოტისთვის" ალბათ ეს უფრო მტკივნეული აღმოჩნდა, ვიდრე წაგება, რადგან უეჭველი დისკვალიფიკაცია, შესაძლოა, გაბისონიას ნახევარფინალურ სერიაშიც გადაჰყვეს.

ყოველივე ამით „ბასკომ" კარგად ისარგებლა. ჯარიმისა და გაძევებისთვის ბათუმელებმა 4 საჯარიმო ისროლეს და ოთხი ქულაც შეიმატეს, მისმა მეტოქემ კი წინააღმდეგობის გაწევის სურვილი დაკარგა.

ბოლო მეოთხედში ყველაფერი გარკვეული იყო, მაყურებელი ვახტანგ ნაცვლიშვილის ეფექტური ჩატენვებით თუღა შეიქცევდა თავს...

**გიორგი ბიკაშვილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 30 | 29 | 1 | 2938:2214 | 59 |
| აზოტი | 30 | 24 | 6 | 2580:2285 | 54 |
| სტუ-ჯეოსელი | 30 | 19 | 11 | 2751:2581 | 49 |
| მაკაბი | 30 | 15 | 15 | 2761:2510 | 45 |
| თსუ | 30 | 11 | 19 | 2609:2789 | 41 |
| შევარდენი | 30 | 7 | 23 | 2261:2521 | 36 |

შევარდენს დაკლებული აქვს ერთი ქულა

**ნახევარფინალი**

27 აპრილი

სტუ-ჯეოსელი — აზოტი 16.00

28 აპრილი

მაკაბი — ბასკო 14.00

აზოტი — სტუ-ჯეოსელი 16.00

29 აპრილი

აზოტი — სტუ-ჯეოსელი 16.00

(თუ საჭირო გახდა)

1 მაისი

ბასკო — მაკაბი

2 მაისი

ბასკო — მაკაბი

(თუ საჭირო გახდა)





ალექსანდრე მოდებაძე



ოთარ თუშიშვილი

# ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო ვარჯიშ-ვარჯიშ ჩვენია

**ბუდაპეშტში,** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის 44-ე ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ქართველ ფალავანთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა კობა ლოჩოშვილმა გვითხრა, კონტინენტის პირველობაზე ასპარეზობა ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს, მით უმეტეს, არც ევროპის ჩემპიონები გვაკლია და არც პრიზიორებიო. მაგრამ აბა, ვინ იტყვის უარს იმაზე, თუ მათი რაოდენობა გაიზრდება? ჰოდა, კვირას გასრულებულ ევროპის ჩემპიონატიდან ჩვენთვის სასიხარულო ინფორმაცია შევიტყვეთ. ქართველმა ფალავნებმა სამივე ხარისხის მედლები მოიპოვეს. ელდარ კურტანიძემ (97 კგ) კონტინენტის პირველობა მეოთხედ მოიპოვა (სხვათა შორის, პირველადაც ამას ბუდაპეშტში მიაღწია). მან ფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე ქართული სკოლის აღზრდილი, საქართველოს პრიზიორი, ხუთი წლის წინ ჩრდილო მეზობლებთან გადაბარგებულ გიორგი გოგშელიძეს სძლია. ალექსანდრე მოდებაძე (130 კგ) ვერცხლის მედალს დაეუფლა და ოთარ თუშიშვილი (63 კგ) — ბრინჯაოს.

ისე, ვარჯიშ-ვარჯიშ ევროპის ოქრო-ვერცხლს და ბრინჯაოს თუ მოვიპოვებთ, ამასთან ერთად გუნდურ მე-III ადგილსაც დაჭიკავებთ, ამას რა სჯობს!

**გიგა გურასაშვილი**

## შედეგები

**თავისუფალი ჭიდაობა**

ევროპის ჩემპიონატი
ბუდაპეშტი (უნგრეთი)
19-22 აპრილი

54 კგ: 1. გენადი ტულბია (მოლდოვა); 2. ამირან კარტანოვი (საბერძნეთი); 3. არმენ მკრტიჩიანი (სომხეთი)

58 კგ: 1. ზოლტან ბანკუტი (უნგრეთი); 2. ვასილი ფედორიშინი (უკრაინა); 3. ალექსანდრ კარნიცკი (ბელარუსი)

63 კგ: 1. სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგარეთი); 2. სოსლან თომაევი (რუსეთი); 3. ოთარ თუშიშვილი (საქართველო)

69 კგ: 1. აჰმეთ გიულჰანი (თურქეთი); 2. ირბეგ ფარნიევი (რუსეთი); 3. ნიკოლა პასლარი (ბულგარეთი)

76 კგ: 1. ბუვაისა საიტიევი (რუსეთი); 2. მიროსლავ გოჩევი (ბულგარეთი); 3. არპად რიტერი (უნგრეთი)

85 კგ: 1. საიდ საიდოვი (რუსეთი); 2. დავით ბიჩინაშვილი (უკრაინა); 3. ბეიბულათ მუსაევი (ბელარუსი)

97 კგ: 1. ელდარ კურტანიძე (საქართველო); 2. გიორგი გოგშელიძე (რუსეთი); 3. ალექსანდრ სერმანოვი (ბელარუსი)

130 კგ: 1. დავიდ მუსულბესი (რუსეთი); 2. ალექსანდრე მოდებაძე (საქართველო); 3. სვენ ტილე (გერმანია)



REUTERS

რუსი საიდ საიდოვის (მარჯვნივ) და უკრაინელი დავით ბიჩინაშვილის ფინალური ორთაბრძოლა


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

# ტულუმ ნახა და მოიგო

**შაბათ-კვირა** მარათონებით უხვი დღეები იყო. ევროპის ოთხ ქალაქში ათასობით ადამიანმა გაირბინა 42 კილომეტრი და 195 მეტრი, ბევრმაც ვერ გაირბინა, მაგრამ ჩვენ უფრო პირველი კატეგორიის სპორტსმენები გვაინტერესებს. დავალაგოთ მარათონები პრესტიჟის მიხედვით (ლონდონი, როტერდამი, ჰამბურგი, ბელგრადი) და მივყვეთ.

ალბიონზე ციოდა, ამიტომ კენიელი ქალი ტეგლა ლორუპე სტარტზე რომ შედგა, ტრავმირებული ზურგი და ბარძაყი ერთად ასტკივდა. მსოფლიოს რეკორდის ავტორი გულმოდგინედ ცდილობდა ტკივილის დაოკებას და პირველ 5 კილომეტრზე ორჯერ გაჩერდა მასაჟისთვის. შემდეგ ლორუპეს ტკივილი გაუყუჩდა. იგი ცქვიტად გაიქცა და სადღაც 35-ე კილომეტრის იქით მთავარ ჯგუფში გაერია, მაგრამ უკვე ცხადი იყო: პირველ ადგილს ველარ გაქაჩავდა, მარტო პრესტიჟისთვის უნდა ებრძოლა. ლორუპე ასეც მოიქცა და ბოლოს მე-8 ადგილზე გავიდა, ხოლო მისი ვარჯიშის ამხანაგი ჯოის ჩეპჩუმბა ცოტა ხნით ადრე ცხარედ ქიშპობდა კარიერაში მესამე ლონდონის მარათონის მოგებისთვის. ალბათ უამინდობის გამოც იყო, რომ შესამჩნევად წინ ერთი მანდილოსანიც ვერ გაიჭრა. მოწინავე ჯგუფში ერივნენ 10 ათას მეტრზე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და კროსში სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი ეთიოპიიდან დერარტუ ტულუ (ვინც მარათონს ახლა ამულამებს), ჩეპჩუმბა და სახელოვანი რუმინელი ლიდია სიმონი, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დაიკავა. ასე შეჯგუფებულად გავიდნენ სტაიერები თითქმის ფინიშის სწორზე და აქ ტულუმ აიწყვიტა, სპრინტზე გადასულმა დაღლილი კონკურენტები უმალ რამდენიმე მეტრით ჩამოიტოვა და ენერგიულად გარბოდა დასკვნითი ხაზისკენ, როცა ორი მაყურებელი გადმოუხტა. იმათ ცუდი არაფერი გაუკეთებიათ, ეგ იყო, კინაღამ მორბენალს შეეჯახნენ და მისი პირველობა საეჭვოდ გახადეს, მაგრამ ტულუმ შეძლო გვერდის აქცევა და გამარჯვება, უწესოები კი მარათონის ორგანიზატორთაგანმა დევიდ ბედფორდმა (ერთ დროს 10 ათას მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენი იყო) და მისმა კოლეგამ გააძევეს. ჩეპჩუმბამ მეორეობაც დაკარგა, რუსმა სვეტლანა ზახაროვამ გაუსწრო. სიმონი მეოთხე ადგილზე გავიდა.

ბარაქალა ტულუს! მარათონის ხამი იყო და უცებ თვით ლონდონის მარათონი მოიგო. ბარაქალა პოლ ტერგატსაც, ვისზეც ტულუზე ნათქვამი ვრცელდება. ტერგატმა ლონდონში პირველობას ვერ მიაღწია, მაგრამ დებიუტში მეორე ადგილიც გვარიანი შედეგია, ვაჟთა რბოლის გმირი კი მაროკოელი აბდელკადერ ელ მუაზიზი გახდა. ეს პიროვნება ლონდონში თავს მყუდროდ გრძნობს, ოთხი წელია, მარათონი არ გამოუტოვებია და საჩინო შედეგებს უჩვენებს. 1998-ში არაბი 100 მეტრით დაწინაურდა და ესპანელმა აბელ ანტონმა ძლივს გაუსწრო, ანუ მეორე ადგილი. შემდეგ წელს ელ მუაზიზმა უფრო გამწარებით ირბინა და გაიმარჯვა, ხოლო საუკუნის ბოლო მარათონზე პორტუგალიელ ანტონიო პინტუს დისტანციის რეკორდის დამყარება დასჭირდა არაბისთვის ორი წამით გასასწრებად. მოკლედ, მეორე, პირველი, მეორე და ამ მიმდევრობით წლეულს ისევ პირველი ადგილის ჯერი იყო. ელ მუაზიზმა მიმდევრობას სიმეტრია შეუნარჩუნა. მისი სარბენი ტაქტიკა ჯიქურია, ერთხელ გაქანდება და ფინიშამდე სულმოუთქმელ მირბენას ცდილობს. კვირასაც, როგორც კი გზის ნახევარი ამოიწურა და გასავათებული „კურდღლები“ ფავორიტებს ჩამოეცალნენ, ელ მუაზიზი არაბული ცხენივით გაჭენდა, მაგრამ კვალში ედგნენ ტერგატი, პინტუ, ანტონი, კენიელი იაფეტ კოსგეი, სამხრეთაფრიკელი ჰენდრიკ რამაალაა — სულ დარჩეული მორბენლები და ელ მუაზიზმა დროულად მოისაზრა, რომ 21 კილომეტრის ტემპის დაუგდებლად გარბენას ვერ შეძლებდა, ხოლო მდევრები ზუსტად იმას უცდიდნენ, როდის დამუხრუჭებდა ლიდერი, რომ მისთვის გადაევლოთ. არაბმა „ტაუერ ბრიჯის“ სიახლოვეს ტემპი დააგდო (წინგავარდნიდან ცოტა ხანში) და ლიდერთა ჯგუფში გაერია. 35 კილომეტრის შემდეგ ელ მუაზიზმა მეორედ და საბოლოოდ შეუტია და მისი მიყოლა ტერგატის გარდა ვერავინ შეძლო. მერე არაბმა ეული კენიელი შედარებით იოლად გატეხა და ფინიში მასზე წუთითა და 4 წამით ადრე გადალახა, თან ხალხს ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა. მესამე იყო პინტუ, პორტუგალიელი სტაიერი, რომელიც აგერ 7 წელია, ლონდონის მარათონს უპოდიუმოდ არ ტოვებს. 21-ე ადგილზე გავიდა ნიჩბოსნობაში ხუთზგის ოლიმპიური ჩემპიონი სტივ რედგრეივი, რომელიც მეუღლესთან ერთად ფინიშს მიმდგარი მხოლოდ ერთი შეხედვით ჰგავდა რაჭველს ცნობილი ფილმიდან. სხვაფრივ რედგრეივმა რიგიანად ირბინა, ხუთ საათს ჩამოსცდა და თავის მეორე ნახევარსაც ერთი წამით გაუსწრო. „მომავალ წელს უკეთ მომზადებული ვირბენ — შენიშნა რედგრეივმა, ვისაც რახანია დიაბეტი აწუხებს — ჯერჯერობით ამ შედეგსაც არა უშავს“. მისი დრო 4:55,35 იყო.

როტერდამის ამინდი ლონდონისას არ ჰგავდა, მზე ბეჯითად ანათებდა და კენიელებს აღდგომა ედგათ. ვაჟთა პოდიუმი უკლებლივ მათ შეავსეს და ქალებშიც კენიელმა დიდი ჯაფის ფასად იმარჯვა. ჯოზეფატ კიპრონო თვისტომებთან ერთად მთელი გზა ხელმძღვანელობდა მარათონის მამრ მონაწილეთა მრავალრიცხოვან არმიას, ბოლო 5 კილომეტრი კი მარტომ ირბინა, ისევე როგორც სუზან ჩეპკემეიმ ქალთა დისტანცია თავიდან ბოლომდე. ერთი ლონდონის მარათონს ვერ შეეწყვნენ კენიელები, თორემ სხვაგან... თუმცა ხანდახან სხვაგანაც უჭირთ. მაგალითად, კვირასვე ჰამბურგის მარათონი ესპანელებმა და გერმანელებმა (ქალებმა) დაინარჩუნეს. სამართლიანობისთვის აღვნიშნავთ, რომ არც ერთ ელიტარულ კენიელს ჰამბურგში არ ურბენია.

ბელგრადის მარათონისა შედეგები იხილეთ.

**დავით ბულუა**




დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ლონდონის მარათონის გამარჯვებულებთან მისვლა არ დაიზარა

### ლონდონის მარათონი

ვაჟები

1 აბდელკადერ ელ მუაზიზი (მაროკო) 2:07,11; 2 პოლ ტერგატი (კენია) 2:08,15; 3 ანტონიო პინტუ (პორტუგალია) 2:09,36

ქალები

1 დერარტუ ტულუ (ეთიოპია) 2:23,57; 2 სვეტლანა ზახაროვა (რუსეთი) 2:24,04; 3 ჯოის ჩეპჩუმბა (კენია) 2:24,12

### როტერდამის მარათონი

ვაჟები

1 ჯოზეფატ კიპრონო (კენია) 2:06,50; 2 კენეტ ჩერიოტი (კენია) 2:07,15; 3 სემი კორირი (კენია) 2:08,14

ქალები

1 სუზან ჩეპკემეი (კენია) 2:25,45; 2 მასაკო კოიკე (იაპონია) 2:28,28; 3 ნადია ვინბერგი (ჰოლანდია) 2:30,27

### ჰამბურგის მარათონი

ვაჟები

1 ხულიო რეი (ესპანეთი) 2:07,46; 2 ფაბიერ კორტესი (ესპანეთი) 2:07,48; 3 სიმონ ლოპიე (კენია) 2:11,04

ქალები

1 სონია ობერემი (გერმანია) 2:26,12; 2 ლუმინიტა ზაიტუსი (გერმანია) 2:28,44; 3 კატრინ ვესელი (გერმანია) 2:29,42

### ბელგრადის მარათონი

ვაჟები

1 მლუკელი ნობანდა (სამხრეთ აფრიკა) 2:15,11; 2 ჯიმი მუინდი (კენია) 2:15,19; 3 სილვესტერ მლეკო (სამხრეთ აფრიკა) 2:15,28

ქალები

1 კრისტინა პომაცუ (რუმინეთი) 2:29,29; 2 კონსტანტინა დიტა (რუმინეთი) 2:33,30; 3 მეტაპ სიზმაზი (თურქეთი) 2:38,16



NHL. სტენლის თასი. პირველი წრე (ოთხ მოგებამდე)

# ლემიე ცემეს

### აღმოსავლეთი

20 აპრილი

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 4 |
| კაროლინა | 2 |

**ნიუ ჯერსი 2:3 კაროლინა (1:2 0:0 1:1)**

0:1 ვასიჩეკი 11 (2); 1:1 გომესი 12 (2); 1:2 კაპანენი 16 (2); 1:3 ონილი 46 (1); 2:3 ჰოლიკი 60 (4)

**კაროლინა 1:5 ნიუ ჯერსი (0:2 1:1 0:2)**

0:1 ელიაში 15 (2); 0:2 ბროლინი (16 (2); 1:2 ტანაბე (26 (2); 1:3 მაკეი (38 (2); 1:4 მაკეი 46 (3); 1:5 მოგილნი 55 (2)

ზედიზედ მესამედ გმირობა ველარ ჩაიდინა კაროლინამ. საამისოდ ძალა არც მთლიანად გუნდს, არც მის სასწაულმოქმედ მეკარე არტურს ირბეს ეყოთ. მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე მატჩში ნიუ ჯერსის უპირატესობა აშკარა იყო, ლატვიელმა გოლკიპერმა 37 დარტყმა მოიგერია, ხოლო მისმა პარტნიორებმა ლამის ყველა შანსი გამოიყენეს. მაგრამ მეექვსე შეხვედრაში ფავორიტმა უტიფარ მეტოქეს უმალ მიუჩინა ადგილი. მას შემდეგ, რაც „ეშმაკებმა“ პირველივე ცდაზე აამოქმედეს თავიანთი მრისხანე იარაღი — რიცხვმრავლობა და დაწინაურდნენ, ნათელი გახდა, რომ კაროლინას აღარაფერი ეშველებოდა. საბოლოოდ ასეც მოხდა. ბობი ჰოლიკისა (3 პასი) და რენდი მაკეის (2 გოლი) ძალისხმევით ნიუჯერსელებმა საქმე მოითავეს და თასის მეოთხედფინალში ტორონტოს შეხვდებიან.

21 აპრილი

| | |
|---|---|
| ბუფალო | 4 |
| ფილადელფია | 2 |

**ბუფალო 8:0 ფილადელფია (4:0 2:0 2:0)**

1:0 გრეტონი 3 4); 2:0 გილმორი 14 (2); 3:0 ოდეტი 18 (2); 3:0 ანდრეიჩუკი 19 (1); 5:0 დოუმონი 24 (1); 6:0 ჰაინცი 27 (2); 7:0 დოუმონი 43 (2); 8:0 გრეტონი 57 (ნ)

ფილადელფიელი რომან ჩეხმანეკისთვის ბრწყინვალედ ჩატარებული სეზონი კოშმარით დასრულდა. 30 წლის მეკარემ, რომელიც მხოლოდ ასაკის გამო ვერ გახდება ახალბედათათვის განკუთვნილი „კოლდერ ტროფის“ მფლობელი, მისდა სამწუხაროდ, სწორედ ბოლო მატჩი ჩააფლავა. მატჩი, რომელშიც მისი გუნდის პლეი ოფში გასვლის ბედი წყდებოდა.

24 წუთის განმავლობაში ჩეხმანეკმა 9 დარტყმიდან 5 (!) გაუშვა და ადგილი ბრაიან ბუშეს დაუთმო. ფილადელფიამ ესოდენ დაძაბული 5 მატჩის შემდეგ კრახი განიცადა. ყოველ გოლში ჩეხ მეკარეს გარკვეულწილად ბრალი მიუძღვის, რადგან ყველა ერთნაირად გაუშვა. ბუფალოს თავკაცებმა შენიშნეს, რომ იგი ძალიან ხშირად იჩოქებს მუხლებზე და შეგირდები დაარიგეს, შაიბა სულ ზედა კუთხეებში ურტყითო. მათაც ჩინებულად შეასრულეს დავალება და საბრალო ჩეხმანეკს სულ „ცხრიანები“ დაუცხრილეს. მისმა სახელოვანმა თანამემამულემ, დომინიკ ჰაშეკმა კი (24 მოგება) ეს მატჩიც საუცხოოდ ჩაატარა და კარიერაში მე-6 საპლეიოფო შათაუტი მიითვალა.

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი | 2 |
| პიტსბურგი | 3 |

**ვაშინგტონი 1:2 პიტსბურგი (0:2 1:0 0:0)**

0:1 ფერენსი (7 (1); 0:2 ლემიე (8 (3); 1:2 გონჩარი 31 (1)

ამ სერიაში პიტსბურგის თავკაცი ივან ჰლინკა ჯერჯერობით თავის ვაშინგტონელ კოლეგა რონ უილსონს სჯობნის. მისი დამოძღვრილი „პინგვინები“ დაცვასა და კონტრშეტევებზე აკეთებენ აქცენტს. ეს ჩეხური სისტემა, რომელიც ბოლო წლებში ყველგან ამართლებს, აქაც გამართულად მუშაობს. მარიო ლემიეც (გოლი და პასი) კარგად მოერგო ამ ტაქტიკას და მესამე მატჩის დარად, პიტსბურგს პირველივე პერიოდში მოაპოვებინა უპირატესობა, რომელიც სტუმრებმა ბოლომდე შეინარჩუნეს. განაწყენებულმა მასპინძლებმა შეხვედრის მიწურულს ჩხუბი ატეხეს, რომლის დროსაც ლემიესაც გვარიანად მოხვდა.

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| სან ხოსე | 2 |
| სენტ ლუისი | 4 |

**სან ხოსე 1:2 სენტ ლუისი (0:0 0:2 1:0)**

0:1 სტილმანი 36 (2); 0:2 დემიტრა [illegible] (1); 1:2 სტიუარტი 53 (1)

სენტ ლუისმა, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა. „ბლუზმენებმა“ შეძლეს მეტოქის სტუმრად ძლევა და საქმე მეშვიდე მატჩამდე არ მიიყვანეს (შეგახსენებთ: შარშან სან ხოსემ სწორედ მეშვიდე შეხვედრაში მოუგო სერია სენტ ლუისს). ბოლოს და ბოლოს, დედლაინზე შეძენილმა მოთამაშეებმაც თქვეს თავიანთი სიტყვა. ჯერ კორი სტილმანმა გამოიყენა რიცხვმრავლობა, მერე კი კეიტ ტკაჩუკმა ზუსტი პასით პავოლ დემიტრა აზეირა. ეს ყველაფერი 52 წუთის განმავლობაში მოხდა და გაოგნებულმა მასპინძლებმა, გარდა ერთი საპასუხო შაიბისა, ველარაფერი მოახერხეს. კვლავ უნიათოდ ირჯებოდა სანხოსელთა რიცხვმრავლობა (არც ერთი გოლი სერიაში). ლიდერებმაც, ოუენ ნოლანმა და ტეემუ სელიანემ, ერთად მხოლოდ ერთი გოლი მიითვალეს. მაიკ რიჩი ლომივით იბრძოდა, მაგრამ მატჩის მიწურულს მისი საუკეთესო შანსი მეკარე რომან ტურეკმა გააუვნებლა.

| | |
|---|---|
| ედმონტონი | 2 |
| დალასი | 4 |

**ედმონტონი 1:3 დალასი (1:0 0:0 0:3)**

1:0 რ. სმიტი 5 (3); 1:1 ჰალი 49 (1); 1:2 ნუინდაიკი 58 (2); 1:3 მოდანო 60 (3)

დალასმა ედმონტონს ზედიზედ მეოთხედ გადაუღობა გზა. აქამდე ამ უაღრესად დაძაბული სერიის უკლებლივ ყველა მატჩში მეტოქეთა უპირატესობა მხოლოდ ერთი შაიბით განისაზღვრებოდა, ოთხჯერ ოვერტაიმიც დაინიშნა. მაგრამ დალასს უფრო ეყო ნერვები და დააჩოქა კიდეც მოწინააღმდეგე. ედმონტონი 49 წუთის განმავლობაში წინ იყო, ანგარიშის გაორმაგების შანსიც ჰქონდა (ზედიზედ ორჯერ რიცხვმრავლობაში აღმოჩნდა), მაგრამ რად გინდა. დალასის გამოწრთობილმა ლიდერებმა მაინც თავისი გაიტანეს. ჯერ იყო და ბრეტ ჰალმა აჯობა დაწოლილ ტომი სალოს, შემდეგ კი ჯო ნუინდაიკი საჭირო მომენტში საჭირო ადგილას გაჩნდა და 58-ე წუთზე გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. ედმონტონი იმითღა თუ მოიფხანს გულს, რომ დალასთან ბოლო ოთხწლიან პაექრობაში ახლა ყველაზე ღირსეულად იბრძოლა.

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 2 |
| ლოს ანჯელესი | 3 |

**დეტროიტი 2:3 ლოს ანჯელესი (0:1 0:1 2:1)**

0:1 პალფი 2 (2); 0:2 ლაპერიე 22 (1); 1:2 კოზლოვი 41 (4); 1:3 დედმარში 42 (1); 2:3 ჩელიოსი 53 (1)

ამ სერიას კი სენსაციის სუნი უდის. წინა მატჩში განცდილმა გაუგებარმა მარცხმა დეტროიტელები, როგორც ჩანს, შოკში ჩააგდო. გონს რომ ჯერ ვერ მოსულან, ამ შეხვედრის პირველ ორ პერიოდშიც გამოჩნდა, როცა მასპინძლებმა გულზე ხელი დაიკრიფეს და მაყურებლის გულისწყრომაც დაიმსახურეს. მართალია, ბოლო მესამედში ვიაჩესლავ კოზლოვმა ცოტათი გამოაცოცხლა გუნდი, მაგრამ ადამ დედმარშმა, რომელიც წინა სეზონებში კოლორადოში ასპარეზობდა და დეტროიტთან ძველი ანგარიშები აქვს, ზიგმუნდ პალფისთან ერთად გარღვევა წამოიწყო და ზუსტი დარტყმით მასპინძელთა იმედები დაასამარა.

**სამველ ლარიბიანი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბაღრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

## იტალია

### XXVII ტური

### ლეჩე 3:3 მილანი

1:0 ლუკარელი (34პ), 1:1 ბირჰოფი (37), 1:2 შევჩენკო (41), 2:2 ვუგრინეცი (46), 3:2 სავინო (67), 3:3 კალაძე (90)

ლეჩე: კიმენტი, დაინელი, ვიალი, სავინო, ბალეარი (პივოტო 40), ჯორჯეტი, პიანჯერელი, ტონეტო, კოლონელო (კონტიკიო 82), ვუგრინეცი, ლუკარელი (ინგესონი 82)

მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი

მილანი: ს. როსი, ჰელვეგი, როკე ჟუნიორი, მალდინი, კოკო, გატუზო (გულიელმინპიეტრო 73), სერჯინიო, კალაძე, ჯუნტი, შევჩენკო, ბირჰოფი (ხოსე მარი 68)

მწვრთნელი: ჩეზარე მალდინი

გაფრთხილება: ლუკარელი, კოკო, ტონეტო, ვიალი, ჯუნტი

20 600 მაყურებელი

### პარმა 0:0 იუვენტუსი

პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი (სენსინი 12), ფ. კანავარო, სერჟიუ კონსეისაუ, ლამუში, ალმეიდა, ჟუნიორი, მიკუ (აპია 52), დი ვაიო, ამოროზო (ფუზერი 80)

მწვრთნელი: რენცო ულივიერი

იუვენტუსი: ვან დერ სარი, ტუდორი, იულიანო, მონტერო (ფერარა 46), პესოტო, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, ზიდანი, დელ პიერო (ფონსეკა 74), ფ. ინძაგი (ტრეზეგე 69)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ალმეიდა, ლამუში, ტაკინარდი, ფერარა, სენსინი, ტუდორი, სერჟიუ კონსეისაუ

29 173 მაყურებელი

### ინტერი 4:2 ფიორენტინა

1:0, 2:0 ვიერი (11, 39პ), 3:0 დალმა (43), 4:0 ჰაქან შუქური (56), 4:1 ბრესანი (64), 4:2 კიეზა (78)

ინტერი: ფრეი, ჩირილო, სიმიჩი, ბლანი, გრეშკო, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (კოუ 88), დალმა, ზეედორფი (ფარინოსი 60), ვიერი, ჰაქან შუქური

მწვრთნელი: მარკო ტარდელი

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ლასისი (მიატოვიჩი 42), ადანი, მორეტი, მარკო როსი, კოისი (ბრესანი 57), ჯ. ამოროზო, დი ლივიო, ნუნუ გომეში (ლეანდრო 75), კიეზა

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

51 662 მაყურებელი

### უდინეზე 1:3 რომა

0:1 მონტელა (38), 0:2 ტომაზი (46), 0:3 ნაკატა (67), 1:3 სოზა (77)

უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, ჯენო (ალბერტო 46), ელგერა, ვალემი, მანფრედინი (დიასი 24), ფიორე, სოზა, მუცი (იაკონტა 69)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

რომა: ანტონიოლი, მანგონე, ალდაირი, ძებინა, კაფუ, ტომაზი, ემერსონი (დი ფრანჩესკო 88), კანდელა, ნაკატა (კ. ძანეტი 82), მონტელა (დელვეკიო 82), ბატისტუტა

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ვალემი, ელგერა, დიასი, გარგო, სოტილი, მანგონე, მონტელა

24 000 მაყურებელი

### ლაციო 2:1 ვიჩენცა

1:0 სიმეონე (35), 2:0 კრესპო (86), 2:1 ჟედა (89)

ლაციო: პერუცი (მარკეჯანი 33), პანკარო (ნეგრო 75), ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, ფავალი, პობორსკი, სიმეონე, ბარონიო, ნედველი (კლაუდიო ლოპესი 46), ხ. ვერონი, კრესპო

მწვრთნელი: დინო ძოფი

ვიჩენცა: სტერკელე, კარდონე, მარკო ბურელიო, ტომაზი, კომოტო, სომეზე (მაჯო 64), კროვარი, ფირმანი (ჟედა 56), დაბო, ძაული, ტონი

მწვრთნელი: ჯოვანი გალი (თანაშემწე)

გაფრთხილება: კარდონე, კომოტო

45 000 მაყურებელი

### პერუჯა 2:2 ატალანტა

0:1 ვენტოლა (25), 1:1 ტედესკო (33), 1:2 დონი (70პ), 2:2 ანი (90)

პერუჯა: ტარდიოლი, სოლიანო (გინაზუ 72), რივალტა, დი ლორეტო, ზე მარია (პეტრაკი 74), ჯოვანი ტედესკო, ლივერანი, ბაიოკო, პიერი, ვრიზასი, საუდატი (ანი 46)

მწვრთნელი: სერსე კოზმი

ატალანტა: პელიცოლი, პრევიტალი, კარერა, ლორენცი, კ. ძენონი, დუნდიერსკი, დონი, ქამპინალი, მორფეო (განცი 89), პინარდი, ვენტოლა (ნაპი 85)

მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი

გაფრთხილება: დონი, ლორენცი, რივალტა, პრევიტალი, ლივერანი, მორფეო, დუნდიერსკი, ვრიზასი, ანი, პინარდი

8 000 მაყურებელი

# გარმონი და ლაციო

### ბოლონია 4:2 ბარი

0:1 პოჯი (4), 1:1 სინიორი (13), 2:1 ლოკატელი (50), 3:1 სინიორი (54პ), 3:2 ოსმანოვსკი (76), 4:2 ხულიო კრუზი (85)

ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, პადალინო (ბია 46), გამბერინი, ნერვო, ოლივე ლიმა, ტარანტინო, ლოკატელი (მარესკა 75), სინიორი (ჩიპრიანი 87), ხულიო კრუზი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

ბარი: გრეგორი (ნარჩიზო 23), საიდი, სიბილანო (დელ გროსო 59), ინოჩენტი, მაცარელი, კოლაუტო (პეროტა 46), ბელავისტა, ანდერსონი, ოსმანოვსკი, კასანო, პოჯი

მწვრთნელი: ეუჯენიო ფასკეტი

გაფრთხილება: ანდერსონი, ნერვო, ფალკონე, ოსმანოვსკი

20 000 მაყურებელი

### ნაპოლი 1:1 ბრეშა

1:0 ამოროზო (47პ), 1:1 ბაჯო (90)

ნაპოლი: ფონტანა, ბალდინი, კიროვა, ფრეზი, ბაჩინი (საბერი 72), მაგონი, პეკია, მატუზალემი (იანკულოვსკი 46), პინედა, ედმუნდო, ნ. ამოროზო

მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო

ბრეშა: სრნიჩეკი, ბონერა (ტარე 60), კალორი, გალი, დიანა, ა. ფილიპინი, ბიზოლი, ე. ფილიპინი (ორლანდინი 72), კ. ესპოზიტო, რ. ბაჯო, უბნერი (მარინო 82)

მწვრთნელი: კარლო მაცონე

გაფრთხილება: ფრეზი, პინედა, ბიზოლი

50 000 მაყურებელი

### ვერონა 0:3 რეჯინა

0:1 დიონიჯი (19), 0:2 კოცა (42), 0:3 მამედე (90)

ვერონა: ფერონი, ოდო, ფრანჩესკეტი (ადაილტონი 45), აპოლონი, ტეოდორანი, სალვეტი, იტალიანო, მაცოლა (ჯ. კოლუჩი 54), მელისი, მუტუ, ბონაცოლი (ჯილარდინო 69)

მწვრთნელი: ატილიო პეროტი

რეჯინა: ტაიბი, ჟირანეკი, ვარგასი, სტოვინი, ვაკარი, ბრევი, მამედე, მორაბიტო (მეცანო 85), კოცა, დიონიჯი (ძანჩეტა 90), მარაცინა (და კოშტა 76)

მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა

გაფრთხილება: მაცოლა, კოცა, აპოლონი

გაძევება: კოცა (44), ადაილტონი (71), აპოლონი (86)

14 684 მაყურებელი

„რომა“ და „იუვენტუსი“ ტურიდან ტურზე გარმონივით უახლოვდებიან და შორდებიან ერთმანეთს. საბოლოოდ რით დასრულდება, ეს გაწიგამოწი კაცმა არ იცის, თუმცა ინტრიგა დიდია და მასზე ფიქრი და მსჯელობა სახალისო. 27-ე ტურში, ლიდერსა და მდევარს შორის მანძილი კვლავ



REUTERS პარმიდან

ზინედინ ზიდანმა „პარმას“ კარს ვერაფერი დააკლო

გაიზარდა. „რომამ“ უდინეში 3:1 მოიგო, ხოლო „იუვენტუსმა“ პარმაში 0:0 ითამაშა და 6 ქულით ჩამორჩა ერთი კვირის წინ თითქოსდა ხელის გაწვდენაზე დატოვებულ კონკურენტს. ამასობაში კი, ჩემპიონმა „ლაციომ“, რომელიც შესაშური დაჟინებით ინარჩუნებს მესამე ადგილს, შინ „ვიჩენცა“ დაამარცხა 2:1 და „სკუდეტოს“ მოპოვების თავისი წილი შანსი შეინარჩუნა.

„ლაციოს“ „რომასა“ და „იუვენტუსის“ ხმაურიანი შეკუმშვა-გაფართოების ფონზე მართალია მათ თანაბარ ფავორიტად არ განიხილავენ, მაგრამ ბრძოლაში მის მონაწილეობას საკმაოდ სერიოზული ინტრიგა ახლავს. ჩავხედოთ ცხრილს და ყველაფერი ნათელი გახდება, მაგრამ თუ ცხრილი უკმაყოფილების გრძნობას მაინც დაგვიტოვებს, მაშინ კალენდარსაც შევავლოთ თვალი: შემდეგ ტურში „ლაციო“ „რომას“ მასპინძლობს!

ბუნებრივია, „ლაციოსა“ და „რომას“ სტუმარ-მასპინძლობა ძალიან პირობითი საქმეა, „სტადიო ოლიმპიკო“ ორივესთვის მშობლიურია, მაგრამ... მოდით, ისევ ცხრილს ჩავხედოთ.

...„რომა“ უდინეში ფრანჩესკო ტოტის გარეშე ჩავიდა, მაგრამ „თილისმის“ არყოლას ფაბიო კაპელოს გუნდისთვის ბევრი არაფერი უვნია. 39-ე წუთზე დამიანო ტომაზის დარტყმა მასპინძელთა მეკარე ლუიჯი ტურჩიმ მოიგერია, თუმცა მოგერიებულს ვინჩენცო მონტელამ კარის ხაზს გადაღმა ამოაყოფინა თავი.

ტომაზისა და მონტელას დუეტმა ტაიმთა გასაყარზე მეორე შედეგი გამოილო: მონტელამ ჩააწოდა, ტომაზიმ კი ანგარიში გააორა.

66-ე წუთზე რომაელებმა მესამეც შეაგდეს. ბრაზილიელმა კაფუმ უკანა ძელთან მიაწოდა იაპონელი ჰიდეტოში ნაკატას პასი, მან კი ტურჩის მილმა დაარტყა ზუსტად.

„უდინეზემ“ 78-ე წუთზე მცირედ დაიკმაყოფილა თავმოყვარეობა: რობერტო სოსამ თავურით შეამცირა სხვაობა.

„იუვენტუსმა“ კი პარმაში დიდი ბრძოლვინვა გადაიტანა, მაგრამ მასპინძელთა ჩაწნულ-ჩახლართულ დაცვას ვერაფერი მოუხერხა. შეტევით ძირითადად ტურინელები უტევდნენ, მით უფრო, მეორე ტაიმში, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, უშედეგოდ. ერთ ეპიზოდში ჯანლუკა ძამბროტას დარტყმა პარმელმა მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა საუცხოოდ მოიგერია. ორი კარგი შანსი ჰქონდა შეცვლაზე შესულ ფრანკ დავიდ ტრეზგეს. ეს ბოლო 10 წუთში მოხდა, ოღონდ პირველად ბურთი მაინც და მაინც ბუფონს დაუმიზნა, ხოლო მეორედ კარში დარტყმის ნაცვლად პასის გადაწოდება არჩია.

„პარმას“ საუკეთესო მომენტი პირველი ტაიმის მე-20 წუთზე ჰქონდა, როდესაც საბრი ლამუშიმ ხარიხას გაარტყა ბურთი.

დინო ძოფის „ლაციომ“ კი ასე გაიმარჯვა: 35-ე წუთზე არგენტინელმა დიეგო სიმეონემ კარელ პობორსკის დარტყმის შემდეგ ძელისგან ასხლეტილი ბურთი თავით დაუცველ კარში შეაგდო, ხოლო 85-ე წუთზე მეორე არგენტინელმა, ერნან კრესპომ სეზონში თავისი მე-19 გოლი გაიტანა. ამ ორ გოლს შორის რამდენიმე ეპიზოდში საუცხოოდ ითამაშა „ვიჩენცას“ მეკარემ, ჯორჯო სტრეკელემ, ხოლო შეხვედრის ბოლო წუთზე სტუმარმა ბრაზილიელმა ჟედამ, რომელიც მოედანზე შემცვლელად შევიდა, თავურით შეაგდო ერთი საპასუხო გოლი.

„ატალანტამ“ პერუჯაში ორი გაიტანა და ამდენივე გაუშვა. მსაჯის წამატებული წუთები რომ დაიწყო, ბერგამოელები იგებდნენ, მაგრამ კორეელმა იუნგ ჰვან ანმა, რომელსაც „პერუჯა“ ფაქტობრივად არასდროს ათამაშებს, სერია A-ში თავისი პირველი გოლი შეაგდო და ქულაც გადაარჩინა.

ასევე წამატებულ წუთებში გაიტანა „ბრეშამ“. ის ნეაპოლში 1:0-ს აგებდა, როდესაც რობერტო ბაჯომ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა. ეს „ბრეშას“ მე-11 ფრე გახლდათ.

წამატებული წუთების თემა ამით არ ამოწურულა, თუმცა დანარჩენს „ლეჩე“ — „მილანის“ შეხვედრის მიმოხილვაში, ცალკე მოგახსენებთ.

**ბაბუნა ძიძია**



REUTERS უდინედან

უდინეზე — რომა. გაბრიელ ბატისტუტას შეჩერება
იოლი საქმე რომ არ არის, საკუთარ თავზე მასპინძელმა იოჰან ვალემმაც გამოსცადა

## სერია B

### XXXII ტური

### ჩიტადელა 2:0 კალიარი

1:0 კავერძანი (36), 2:0 სტურბა (47)

### კოზენცა 3:2 ტრევიზო

0:1 ზმანიო (21), 1:1 ძამბანა (45პ), 2:1 პარიზი (49), 2:2 როკი (59), 3:2 ლენტინი (90)

### ემპოლი 4:2 კროტონე

1:0 დი ნატალე (5), 2:0 მაკარონე (13), 2:1 პალარინი (25), 3:1 მაკარონე (33), 4:1 ბრეშანო (65), 4:2 სიპრიენი (90)

### მონცა 1:2 სიენა

0:1 სკაჩალუგა (27), 1:1 ალთუ (32), 1:2 ტირიბოკი (53)

### პესკარა 0:2 კიევო

0:1 კორადი (19), 0:2 კოსატო (70)

### პისტოიეზე 1:1 სალერნიტანა

1:0 ბაიანო (38), 1:1 დი მიკელე (52)

### სამპდორია 2:0 რავენა

1:0 ვერგასოლა (78), 2:0 ლუიზო (82)

### ტორინო 1:1 ჯენოა

1:0 შვოკი (54), 1:1 კარბარელი (68)

### ანკონა 0:2 პიაჩენცა

0:1 კაჩა (18), 0:2 რასტელი (54)

### ვენეცია — ტერნანა

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 32 | 18 | 6 | 8 | 41:21 | 60 |
| კიევო | 32 | 16 | 11 | 5 | 44:28 | 59 |
| ტორინო | 32 | 17 | 7 | 8 | 38:29 | 58 |
| ვენეცია | 31 | 15 | 11 | 5 | 50:34 | 56 |
| სამპდორია | 32 | 14 | 13 | 5 | 45:27 | 55 |
| კოზენცა | 32 | 16 | 7 | 9 | 38:33 | 55 |
| ტერნანა | 31 | 13 | 11 | 7 | 47:30 | 50 |
| კალიარი | 32 | 12 | 11 | 9 | 47:34 | 47 |
| ემპოლი | 31 | 13 | 8 | 10 | 38:35 | 47 |
| კროტონე | 32 | 14 | 5 | 13 | 42:46 | 47 |
| ანკონა | 32 | 13 | 7 | 12 | 45:44 | 46 |
| სიენა | 32 | 9 | 12 | 11 | 34:40 | 39 |
| ჩიტადელა | 32 | 9 | 11 | 12 | 35:45 | 38 |
| ჯენოა | 32 | 8 | 13 | 11 | 37:35 | 37 |
| პისტოიეზე | 32 | 9 | 9 | 14 | 41:44 | 36 |
| სალერნიტანა | 32 | 8 | 10 | 14 | 29:35 | 34 |
| ტრევიზო | 31 | 6 | 9 | 16 | 30:46 | 27 |
| მონცა | 32 | 7 | 4 | 21 | 31:63 | 25 |
| პესკარა | 32 | 3 | 12 | 17 | 26:44 | 21 |
| რავენა | 32 | 3 | 13 | 16 | 24:50 | 21 |

## სერია C1/A

31-ე ტური: ალბინოლეფე — ვარეზე 1:2; ალესანდრია — რეჯანა 0:0; ალძანო — კომო 0:2; ბრეშელო — ლუმეცანე 2:3; ჩეზენა — კარარეზე 3:2; ლეკო — სპალ 2:1; ლუკეზე — ლივორნო 1:0; პიზა — მოდენა 1:1; სპეცია — არეცო 2:0

## სერია C1/B

31-ე ტური: ასკოლი — ლოდიჯანი 3:1; დი სანგრო — აკილა 1:0; კატანია — ტორესი 2:0; ფ. ანდრია — სავოია 0:1; ჯულიანოვა — ფერმანა 4:2; მესინა — პალერმო 1:0; ნოჩერინა — ბენევენტო 0:2; პეზარო — ატლეტიკო 0:2; ვიტერბეზე — აველინო 1:3

| № | | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რომა | 27 | 19 | 5 | 3 | 53:24 | 29 | 62 | 13 | 10 | 3 | 0 | 26:10 | 16 | 33 | 14 | 9 | 2 | 3 | 27:14 | 13 | 29 |
| 2 | იუვენტუსი | 27 | 16 | 8 | 3 | 45:21 | 24 | 56 | 13 | 9 | 3 | 1 | 26:9 | 17 | 30 | 14 | 7 | 5 | 2 | 19:12 | 7 | 26 |
| 3 | ლაციო | 27 | 17 | 4 | 6 | 49:28 | 21 | 55 | 14 | 10 | 2 | 2 | 28:12 | 16 | 32 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:16 | 5 | 23 |
| 4 | პარმა | 27 | 12 | 8 | 7 | 39:22 | 17 | 44 | 14 | 7 | 4 | 3 | 24:9 | 15 | 25 | 13 | 5 | 4 | 4 | 15:13 | 2 | 19 |
| 5 | ატალანტა | 27 | 10 | 11 | 6 | 33:23 | 10 | 41 | 14 | 4 | 7 | 3 | 13:10 | 3 | 19 | 13 | 6 | 4 | 3 | 20:13 | 7 | 22 |
| 6 | მილანი | 27 | 10 | 11 | 6 | 44:38 | 6 | 41 | 14 | 8 | 5 | 1 | 32:17 | 15 | 29 | 13 | 2 | 6 | 5 | 12:21 | -9 | 12 |
| 7 | ინტერი | 27 | 11 | 8 | 8 | 38:34 | 4 | 41 | 13 | 7 | 5 | 1 | 21:11 | 10 | 26 | 14 | 4 | 3 | 7 | 17:23 | -6 | 15 |
| 8 | ბოლონია | 27 | 11 | 6 | 10 | 38:37 | 1 | 39 | 14 | 9 | 2 | 3 | 22:15 | 7 | 29 | 13 | 2 | 4 | 7 | 16:22 | -6 | 10 |
| 9 | ფიორენტინა | 27 | 8 | 12 | 7 | 45:39 | 6 | 36 | 13 | 7 | 3 | 3 | 27:18 | 9 | 24 | 14 | 1 | 9 | 4 | 18:21 | -3 | 12 |
| 10 | პერუჯა | 27 | 8 | 9 | 10 | 36:40 | -4 | 33 | 14 | 5 | 5 | 4 | 21:17 | 4 | 20 | 13 | 3 | 4 | 6 | 15:23 | -8 | 13 |
| 11 | უდინეზე | 27 | 10 | 2 | 15 | 40:47 | -7 | 32 | 14 | 7 | 0 | 7 | 27:24 | 3 | 21 | 13 | 3 | 2 | 8 | 13:23 | -10 | 11 |
| 12 | ლეჩე | 27 | 7 | 9 | 11 | 34:45 | -11 | 30 | 14 | 5 | 5 | 4 | 22:24 | -2 | 20 | 13 | 2 | 4 | 7 | 12:21 | -9 | 10 |
| 13 | ბრეშა | 27 | 6 | 11 | 10 | 31:37 | -6 | 29 | 13 | 4 | 6 | 3 | 15:14 | 1 | 18 | 14 | 2 | 5 | 7 | 16:23 | -7 | 11 |
| 14 | ვიჩენცა | 27 | 7 | 7 | 13 | 29:40 | -11 | 28 | 13 | 5 | 4 | 4 | 17:16 | 1 | 19 | 14 | 2 | 3 | 9 | 12:24 | -12 | 9 |
| 15 | ნაპოლი | 27 | 6 | 10 | 11 | 26:37 | -11 | 28 | 14 | 4 | 6 | 4 | 16:16 | 0 | 18 | 13 | 2 | 4 | 7 | 10:21 | -11 | 10 |
| 16 | ვერონა | 27 | 6 | 6 | 15 | 29:49 | -20 | 24 | 13 | 6 | 3 | 4 | 17:19 | -2 | 21 | 14 | 0 | 3 | 11 | 12:30 | -18 | 3 |
| 17 | რეჯინა | 27 | 6 | 5 | 16 | 21:42 | -21 | 23 | 13 | 4 | 4 | 5 | 9:15 | -6 | 16 | 14 | 2 | 1 | 11 | 12:27 | -15 | 7 |
| 18 | ბარი | 27 | 5 | 4 | 18 | 23:50 | -27 | 19 | 13 | 5 | 1 | 7 | 15:19 | -4 | 16 | 14 | 0 | 3 | 11 | 8:31 | -23 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 19 |
| კრესპო (ლაციო) | 19 |
| კიეზა (ფიორენტინა) | 17 |
| ბატისტუტა (რომა) | 15 |
| ვიერი (ინტერი) | 14 |
| უბნერი (ბრეშა) | 13 |

### XXVIII ტური

28 აპრილი

რეჯინა — ნაპოლი
ვიჩენცა — პარმა

29 აპრილი

ატალანტა — ბოლონია
ბრეშა — ინტერი
რომა — ლაციო
იუვენტუსი — ლეჩე
ბარი — პერუჯა
ფიორენტინა — უდინეზე
მილანი — ვერონა

იტალიის ჩემპიონატი
ოცდამეშვიდე ტურის მატჩი

## ლეჩე 3:3 მილანი

კახა კალაძე: 90 წუთი

# კალაძე: ფიგურა-ფიგარო!
# KALADZE E'UN GRANDISSIMO GIOCATORE

**თამაში** იწურებოდა, „ლეჩე" „მილანს" 3:2-ს უგებდა და თითქოს მოვლენებს აკონტროლებდა კიდეც, ფხიზლად იყო. მსაჯმა დრო წაამატა და ამ წამატებულ დროში, მასპინძელთა ნახევარის, მარცხენა ფრთაზე, უფრო მოედნის სიღრმისკენ, მილანელთა სასარგებლოდ ჯარიმა დანიშნა. საჯარიმო ჯუნტიმ შეასრულა, უფრრო სწორედ, ბურთი „ლეჩეს" მეკარის, კიმენტის წინ ჩააგდო, სადაც სტუმრების მე-13 ნომერმა, კახა კალაძემ მას დავარდნა არ აცადა, ნახევარბრუნით თავის შორიახლოს მიწას დაჰკრა, იქიდან ავარდნილი კი პირდაპირ ცხრიანად წოდებულ კუთხეში შევარდა — 3:3.

ამრიგად, საქართველოს ნაკრების წევრმა ახალ გუნდში ახალი, მხსნელის მისია იტვირთა.

ჩეზარე მალდინიმ ლეონარდოსა და ბობანის გარეშე მოთამაშე მილანელები კვლავ 4-4-2 სისტემით დარაზმა. თავდასხმაში ბირჰოფი და შევჩენკო ჰყავდა, ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე კი 18 მარტის შემდეგ პირველად დაბრუნდა ჯენარო გატუზო. ზურგის ტკივილის მიუხედავად, დაცვაში ჩვეული როლი იტვირთა ჰელვეგმა.

თამაშის პირველი მონაკვეთი მილანელთათვის ძნელი და მასპინძელთათვის ფრიად შთაგონებული გამოვიდა. შავ-წითლებმა ერთ ხეირიან შეტევას ვერ მოაბეს თავი, ხოლო 34-ე წუთზე გოლიც გაუშვეს: ლუკარელი როკე ჟუნიორმა წააქცია, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. თერთმეტი მეტრიდან თავად ლუკარელიმ შეაგდო.

ოთხ წუთში სტუმრებმა გათანაბრება მოახერხეს. კოკოს ჩაწოდებულ კუთხურს ბირჰოფი გამოეხმაურა და 28 იანვრის შემდეგ პირველად გაიტანა.

41-ე წუთზე „მილანი" შევჩენკომ დააწინაურა. სერჟინიოს მოხერხებული შეტევა უკრაინელმა განაგრძო და სეზონში თავის მე-19 გოლიც შეაგდო.

მეორე ტაიმის დაწყება და თავსხმა ერთი იყო. ისეთი წვიმა წამოვიდა, მსაჯმა, ბორიელომ პროჟექტორების ანთება მოითხოვა, ხოლო 20 წამში „ლეჩემ" ანგარიში გაათანაბრა. დავორ ვუგრინეცმა საჯარიმოს კიდესთან ბურთი მოათვინიერა და მარცხენა ფეხით ცხრიანში დაუმიზნა.

ამის შემდეგ მილანელებმა ცოტა წაიფაფხურეს, რასაც იმავ ვუგრენეცის საჯარიმო დარტყმა და ცოცხალი კედლიდან ასხლეტილის ძელისთვის მორტყმა მოჰყვა, ხოლო კიდევ ერთ წუთში, მორიგი ჯარიმის დროს სტუმარ მცველებს უყურადღებოდ ალბერტო სავინიო დარჩათ და მანაც შემთხვევით ისარგებლა — 3:2.

ხოლო, რა მოხდა ბოლოს, დასაწყისში მოგახსენეთ.

„კალაძე ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა" — თქვა პრესკონფერენციაზე „მილანის" მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ — „ის კარგად ართმევს თავს საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მისთვის უჩვეულო ფუნქციას ვავალებთ. სამწუხაროდ, დღეს ნახევარდაცვაში გვიჭირს და კალაძეს ხან ალბერტინის, ხან ამბროზინის და ხან რედონდოს საქმის კეთება უხდება".

„მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კი მოკლედ თქვა: „კალაძე დიდებული, მრავალმხრივი და სტაბილური მოთამაშეა. მის მიერ ბოლო ორ თამაშში გატანილი ორი გოლი მისი უდიდესი ნიჭის დასტურია"

ტელეკომპანია „რაი უნოს" ექსპერტებმა „მილანის" ფეხბურთელებს ასეთი შეფასებები მისცეს: როსი 6; ჰელვეგი 6; როკე ჟუნიორი 5; მალდინი 6; კოკო 6; გატუზო 5; ჯუნტი 6; კალაძე 6,5; სერჟინიო 7; ბირჰოფი 5,5 (ხოსე მარი 6); შევჩენკო 6,5.

მწვრთნელმა, ჩეზარე მალდინიმ 6,5 ქულა დაიმსახურა.

**ბაჩუნა ძიძია**



კახა კალაძე და ანდრეი შევჩენკო


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთაც და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14




„სელტიკმა" ორი კვირის წინ მოპოვებული ჩემპიონის თასი გუშინწინ ჩაიბარა

# ნუ დასცინი თავსაო...

## შოტლანდია

II ეტაპი. XXXIV ტური

**დანდი 0:3 რეინჯერსი**

0:1 უოლესი (4), 0:2 ფლო (16), 0:3 ალბერტცი (27)

დანდი: ლენგფილდი, ხიზანიშვილი, კოინი (დელრიო 59), ტვიდი, გარიდო, არტერო (რომანო 46), რაე, ნემსაძე, კარანსა, სარა, მილნი (კაბალიერო 53)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

რეინჯერსი: კლოსი, ამორუზო, კონტერმანი, უილსონი, რიკსენი, ფერგიუსონი (თუგაი 68), უოლესი, ალბერტცი, ნუმანი, დოდსი (ფერნანდესი 59), ფლო (მილერი 80)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

10 687 მაყურებელი

**სელტიკი 1:0 ჰართსი**

1:0 მორავჩიკი (68)

**აბერდინი 1:0 დანფერმლაინი**

1:0 სტავრუმი (31)

**ჰიბერნიანი 1:1 კილმარნოკი**

0:1 კოკარი (11), 1:1 ლიბრა (35)

**მაზერუელი 0:1 სენტ ჯონსტონი**

0:1 სილა (63)

**„პირველ** 15 წუთში მეტოქეს ორი საჩუქარი მივართვით. „რეინჯერსმაც" შეიფერა და ცხადია, ამის მერე შანსი აღარც მოუცია" — „დანდის" მოთამაშე-მწვრთნელი ივანო ბონეტი დალონებული იყო.

არადა, შაბათს მშობლიურ „დენს პარკზე" თამაში მასპინძლებმა ყოველგვარი რიდის გარეშე, შეტევებით დაიწყეს, თუმცა გლაზგოელთა პირველივე შეტევამ დამსწრე საზოგადოება შოკში ჩააგდო: „რეინჯერსის" ინგლისელმა ლეგიონერმა როდ უოლესმა უიოლესად მოატყუა სტივენ ტვიდი და ანგარიში გახსნა.

დანდელებმა კვლავ შეუტიეს და საპასუხო გოლის გატანის შანსი ჩვენი ნაკრების კაპიტანს მიეცა. უფრო სწორად, ნემსაძემ თავად შეიქმნა შანსი, როცა სტუმართა საჯარიმომდე ჩვეულად „წაიცეკვა" (დანდელი მიმომხილველის თქმით), მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი გერმანელ შტეფან კლოსს მკერდში მოხვდა. ამის მერე თავის გამოჩენა ხუან სარასაც შეეძლო, მაგრამ „რეინჯერსის" წინა სტუმრობისას ორი პენალტის გამფუჭებელმა არგენტინელმა ეს მომენტიც ისევე გაუშვა ხელიდან, როგორც მომდევნო ორი.

სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგის მეორე საგზურის მაძიებელმა „რეინჯერსმა" რიგით მეორე შეტევაც შედეგიანად დაასრულა. ტვიდი ამჯერად ბარი ფერგიუსონმა მოატყუა, ამის გამჭოლ პასს კი ლამის საკუთარი საჯარიმოდან გამოქცეული ტორე ანდრე ფლო შეეგება. ნორვეგიელმა ავსტრალიელი კრის კოინი გააბითურა და ბურთი ლენგფილდის კარში შეაცურა, რითაც თავის ანგარიშზე მე-11 რეინჯერსული გოლი მიითვალა.

12 წუთში, რომლის დროსაც სარამ ზემოთ ნახსენები ორი სახიფათო მომენტიც გააცუდა, მასპინძელთა კარში მესამე გოლიც შევარდა — უოლესმა იორგ ალბერტცს დაუგორა და გერმანელმაც დაამტკიცა, რომ სქოთურ ლიგაში ერთ-ერთი უძლიერესი დამრტყმელია.

ბონეტი აქეთ ეცა, იქითაც და ზურაბ ხიზანიშვილი, რომლის მარჯვენა ფრთაზეც გლაზგოელებს არაფერი გამოსდიოდათ, დაცვის ცენტრში გადაისროლა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ უკვე 27-ე წუთზე დაფიქსირებული ანგარიში მატჩის ბოლომდე აღარც შეცვლილა. ეგ კი არა, ხიზანიშვილმა შეხვედრის მიწურულს წინაც წაიწია და შეცვლაზე შესულ ფაბიან კაბალიეროს პრესტიჟის გოლის გასატანად შანსიც შეუქმნა, მაგრამ ვერც ამ არგენტინელმა იხეირა. და საერთოდ, როგორც „დანდის" ვებ-გვერდის მიმომხილველი წერს, „ჭაბუკი ზურა იმ დღეს ერთადერთი ნათელი წერტილი იყო გუნდის უსახური თამაშის ფონზე". არ დაგავიწყდეთ, ის ჯერ 19 წლისააო — ეიმედება ჟურნალისტს.

„მეტოქეს რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ მესამეც რომ გავიტანეთ, ყველაფერი დამთავრდა. ჩვენთვის თითოეულ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა მეორე ადგილი შევინარჩუნოთ" — თქვა მატჩის შემდეგ მშრალად დარჩენილმა კლოსმა, რომლის წყალობითაც „რეინჯერსმა" მდევარ „ჰიბერნიანს" უკვე 11 ქულით გაასწრო და ძნელი სავარაუდოა, ეს სხვაობა დარჩენილ ხუთ ტურში გაანიავოს.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველაფერი ცნობილია, შემდეგ ტურში ჩემპიონიცა და ვიცე-ჩემპიონიც ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებიან: სეზონის ბოლო გლაზგოურ დერბიში „რეინჯერსს" პრესტიჟის აღდგენის შანსი ეძლევა.

მანამდე „სელტიკი" ზეიმობს. ორი კვირის წინ გაჩემპიონებულმა კათოლიკეებმა პრემიერლიგის უმთავრესი ჯილდო გუშინწინ, „ჰართსთან" მოგებული შეხვედრის შემდეგ ჩაიბარეს. სხვათა შორის, მასპინძელთა გახარებულმა კაპიტანმა პოლ ლამბერტმა სამადლობელ სიტყვაში კბილი რეინჯერსელ ალბერტცსაც გაჰკრა (ამან თქვა, „რეინჯერსია" წლეულს ცუდ ფორმაში, თორემ „სელტიკი" დიდი ვერაფერი გუნდიაო): „34 თამაშიდან 29 მოვიგეთ და ჩემპიონობა ღირსეულად მოვიპოვეთ. ვინც სხვანაირად ფიქრობს, თავის თავს დასცინის".

ედინბურგელების კარში კი ერთადერთი გოლი შეცვლაზე შესულმა, 36 წლის სლოვაკმა ლუბომირ მორავჩიკმა შეაგდო ჰენრიკ ლარსონის პასით. თავად შვედი ბევრს ეცადა, სეზონში თავის 50-ე გოლი სწორედ ამ საზეიმო დღეს გაეტანა, მაგრამ სტუმართა ფინელმა გოლკიპერმა ანტი ნიემიმ არ დაანება.

**გიგა ძოძუხიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 34 | 29 | 4 | 1 | 82:24 | 91 |
| რეინჯერსი | 34 | 23 | 4 | 7 | 63:31 | 73 |
| ჰიბერნიანი | 34 | 17 | 11 | 6 | 53:26 | 62 |
| კილმარნოკი | 34 | 14 | 8 | 12 | 40:45 | 50 |
| ჰართსი | 34 | 13 | 8 | 13 | 52:45 | 47 |
| დანდი | 34 | 11 | 8 | 15 | 47:44 | 41 |
| დანფერმლაინი | 34 | 11 | 8 | 15 | 32:49 | 41 |
| აბერდინი | 34 | 9 | 12 | 13 | 38:48 | 39 |
| მაზერუელი | 34 | 11 | 6 | 17 | 37:49 | 39 |
| სენტ ჯონსტონი | 34 | 9 | 11 | 14 | 36:48 | 38 |
| დანდი იუნ. | 33 | 5 | 8 | 20 | 30:58 | 23 |
| სენტ მირენი | 33 | 5 | 4 | 24 | 21:64 | 19 |

## დანია

25- ტური: ოლბორგი — ბრონდბიუ 2:2; მიდტიულანდი — ჰერფიოლგე 2:0; ლიუნგბიუ — სილკებორგი 0:2; ოდენსე — ჰადერსლევი 3:1; კოპენჰაგენი — აკადემისკი 0:0; ორჰუსი — ვიბორგი 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდტიულანდი | 25 | 13 | 7 | 5 | 44:33 | 46 |
| სილკებორგი | 25 | 12 | 10 | 3 | 38:27 | 46 |
| ბრონდბიუ | 25 | 13 | 5 | 7 | 58:33 | 44 |
| კოპენჰაგენი | 25 | 11 | 10 | 4 | 37:20 | 43 |
| ვიბორგი | 25 | 11 | 6 | 8 | 41:29 | 39 |
| ლიუნგბიუ | 25 | 11 | 5 | 9 | 35:41 | 38 |
| ოდენსე | 25 | 10 | 4 | 11 | 39:35 | 34 |
| ოლბორგი | 25 | 8 | 9 | 8 | 37:36 | 33 |
| ორჰუსი | 25 | 8 | 4 | 13 | 38:50 | 28 |
| აკადემისკი | 25 | 5 | 11 | 9 | 32:33 | 26 |
| ჰერფიოლგე | 25 | 5 | 8 | 12 | 29:47 | 23 |
| ჰადერსლევი | 25 | 1 | 5 | 19 | 24:68 | 8 |

## Copa Toyota Libertadores '2001

ლიბერტადორესის თასი 2001

VI ჯგუფი. V ტური

**ვასკუ და გამა (ბრაზილია) 3:2 დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვასკუ და გამა | 5 | 5 | 0 | 0 | 13:4 | 15 |
| ამერიკა | 5 | 3 | 0 | 2 | 8:9 | 9 |
| პენიაროლი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:7 | 4 |
| დეპორტივო ტაჩირა | 5 | 0 | 1 | 3 | 3:10 | 1 |

ბრაზილიის „ვასკუ და გამა" და კოლუმბიის „ამერიკა" გავიდნენ მეორე ეტაპზე

VIII ჯგუფი. V ტური

**დეპორტივო კალი (კოლუმბია) 4:1 ორიენტე პეტროლერო (ბოლივია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 5 | 5 | 0 | 0 | 7:2 | 15 |
| კობრელოა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| დეპორტივო კალი | 5 | 2 | 0 | 3 | 10:8 | 6 |
| ორიენტე პეტროლერო | 5 | 0 | 0 | 5 | 4:12 | 0 |

არგენტინის „ბოკა ხუნიორსი" გავიდა მეორე ეტაპზე